

ლიტერატურული გაზეთი

№71 30 მარტი - 12 აპრილი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



**LEIPZIG
BOOK FAIR
2012**

**Georgian Authors'
Readings**

AT FORUM INTERNATIONAL

Zurab Lezhava

March 15 / 10:30 / Hall 4, C504

Ana

Kordzaia-

Samadashvili

March 16 / 12:00 / Hall 4, C504

Tamta Melashvili

March 17 / 16:30 / Hall 4, C504

**GEORGIAN
NATIONAL
STAND
D309/Hall 4**



ლია სტურუა

რას იმარტივია!

ბაზარს ლემის სუნი აქვს
და ხურმის ფერი,
აქვე ზღვა წევს,
ჰორიზონტის

შპალერიან კედელთან –
საიმედო სივინროვე
ალისფერ რესპუბლიკათა კავშირში...
იმპულსებზე ჩაცმული სიცხე,
ჯიბში, პურის ყუასავით,
ანთროპომორფიზმი

მოზარდებისთვის:
ატმის ხეს ზღარბები ასხია ამიტომაც,
სუფთა ფურცლების შიშს
სვამენ, რძესავით.

რას შეეფარები?

დეკადანსის მწყალობელი

დრო წასულა,
მისი კომპეტის უმისამართობაც
დეპრესიის რესპუბლიკათა კავშირში,
აქვე ზღვა რომ არ იწვეს,
ჰორიზონტი არ გავდეს კედელს,
შინაურს, შპალერიანს,
მათხოვრები ხახვის ფეხებზე

არ დადიოდნენ,
ბაზრის პათოსს წელში არ წყვეტდნენ,
ამ საიმედო სივინროვესაც...

ახალ წელს ვუახლოვდებით,
საგანგებოდ დაბამბული

ბინა რადიკულიტზე,
ტკბილ-მჟავე

ფიქრები დღესასწაულზე
აქა-იქ ლექსში...

სიმართლე, ნარკოზის ქვეშ,
მაინც ბასრი,

რამდენიმე საგანს

სისხლი წამოუვიდა...

სიტყვები

ვერ უთანხმდებიან ერთმანეთს:
ერთის ძვერა არ ემთხვევა

მეორის ანთებას

ორი ანთება ერთად თუ შეეძელი,

გულის ცეცხლი გამომივა,

ის, უწინდებური,

წინააღმდეგ მარტოობის და შიშის

და მეტაფიზიკური

თამაშის კლიტებთან...

III

მედეა მეტრეველი

საქართველო 2012 წლის ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

ლაიფციგის წიგნის ბაზრობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შემდეგ სიდიდით და მნიშვნელობით გერმანიაში მეორეა. ფესტივალის ისტორია მე-17 საუკუნიდან იწყება და ყოველწლიურად მარტის თვეში ტარდება. სწორედ ამ დროს ათასობით უცხოელი გამომცემელი, მწერალი თუ მკითხველი ლაიფციგში იყრის თავს და წიგნის ბაზრობაზე, ქალაქის სხვადასხვა ლიტერატურულ სალონსა თუ კაფეში და წიგნის მაღაზიაში სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას.

2012 წლის 15-18 მარტს ამ წიგნის ფესტივალზე საქართველო პირველად წარსდგა ეროვნული სტენდით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით ქართველ გამომცემლებთან ერთად გაემგზავრა სამი ქართველი ავტორი — ზურაბ ლეჟავა, ანა კორძაია-სამადაშვილი და თამთა მელაშვილი. ქართველმა მწერლებმა წიგნის ბაზრობაზე მწერლებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ფორმატში მიიღეს მონაწილეობა და გერმანელი გამომცემლებისა და სტუმრებისთვის თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს. ქართველ ავტორებს მოდერაციას უწევდა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე. ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ოფიციალურ გახსნაზე ლაიფციგის მერმა ბურკჰარდ იუნგმა თავის მისასალმებელ სიტყვაში საგანგებოდ აღნიშნა ფესტივალზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუასა და ქართული დელეგაციის ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ.



II



გერმანელ მკითხველს წელს პირველად მიეცა საშუალება, გასცნობოდა ქართველი დებიუტანტი მწერლის თამთა მელაშვილის ნაწარმოების — „გათვლა“ — გერმანულენოვან გამოცემას, რომელიც შვეიცარიული გამომცემლობა Unionsverlag-ის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 2012 წელს შვეიცარიაში გამოიცა (მთარგმნელი ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი).

ლაიფციგის წიგნის ფესტივალზე ქართულმა დელეგაციამ (რომლის შემადგენლობაშიც ვიყავით მე — კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელმძღვანელი, მწერლის სახლის დირექტორი ნატალია ლომოური და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ხელმძღვანელობით ოფიციალური შეხვედრები გამართა ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დირექტორ ოლივერ ცილესთან, ბერლინის გოეთეს ინსტიტუტის პრეზიდენტ კლაუს ლემანთან, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტ ტობიას ვოსთან და გერმანულ ჟურნალისტებთან და გამომცემლებთან. აღნიშნული შეხვედრებისა და პრეზენტაციების მიზანს გერმანულენოვან ქვეყნებში თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და იმ ერთგვარი ვაკუუმის შევსება წარმოადგენდა, რომელშიც თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ქართველი მწერლები ბოლო ათწლეულების განმავლობაში იმყოფებოდნენ.

წიგნის ბაზრობაზე უცხოელი დამთვალიერებლისა და მკითხველის ინტერესი ქართული სტენდის და ქართველი ავტორების მიმართ მართლაც დიდი იყო — ქართულ სტენდთან ოთხი დღის განმავლობაში ოფიციალური შეხვედრები მიმდინარეობდა გერმანიაში წიგნისა და ლიტერატურის სფეროში მოღვაწე ცნობილ და გავლენიან გამომცემლებთან, ლიტერატურის კრიტიკოსებსა და ჟურნალისტებთან (Hannes Hintermeier — „Frankfurter Allgemeine Zeitung“, Hubert Winkels — Deutschlandradio / „DIE ZEIT“, Jan Feddersen — „Tagesszeitung“, Richard Kämmerlings — „Die Welt“, Lothar Müller — the German „Guardian“).

მედა მეტრეველი

საქართველო 2012 წლის ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე



უცხოელი დამთვალიერებლის განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემულმა ორენოვანმა წიგნებმა, რომლებიც ქართული გამოცემების ნიმუშებთან ერთად სპეციალურად იყო წარმოდგენილი საქართველოს ეროვნულ სტენდზე.

ქართველი ავტორების პრეზენტაციების პარალელურად 17 მარტს წიგნის ბაზრობაზე გაიმართა გერმანიაში მცხოვრები და გერმანელი მკითხველისთვის უკვე კარგად ცნობილი ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის ორი პრეზენტაცია. ჰამბურგში მოღვაწე ქართველი ავტორი,

დრამატურგი და რეჟისორი ნინო ხარატიშვილი ახალი თაობის წარმატებულ გერმანულენოვან მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება. სამწუხაროდ, მისი შემოქმედება ქართველი მკითხველისთვის ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა ახლო მომავალში, იმედს ვიქონიებთ, რომ გერმანულენოვანი ქართველი მწერლის წიგნებს ჩვენი მკითხველები ქართულად გაეცნობიან.

„ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის ტრადიცია მრავალ წლებშიც გაგრძელდება და უფრო მასშტაბური გახდება. თუმცა, ქართული წიგნისა და ლიტერატურის სფეროში ქართული მხარის 2012 წლის პროგრამა-

მაქსიმუმში ჯერ კიდევ შესასრულებელია — 2012 წლის ოქტომბერში სამინისტრო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის უფრო მრავალფეროვან და საინტერესო ფორმატზე მუშაობს“, — აღნიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ. ამასთანავე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით 2012 წლის მაისში თბილისის წიგნის მე-14 საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში 22-23 მაისს გაიმართება ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი უცხოელი და ქართველი გამომცემლებისთვის, მთარგმნელებისა და მწერლებისთვის. აღნიშნული ფორუმი გოეთეს ინსტიტუტისა და ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით ოცამდე უცხოელ სტუმარს უმასპინძლებს. ფორუმში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს უცხოელმა გამომცემლებმა დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ლიტერატურული ფორუმ-დიალოგის საპატიო სტუმრები იქნებიან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე-პრეზიდენტი ტობიას ვოსი და ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დირექტორი ოლივერ ცილე.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ უცვლელ პრიორიტეტად რჩება ქართული წიგნისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. 2011-2012 წლებში სამინისტროს „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ ქართველი ავტორების 15-მდე უცხოენოვანი წიგნი და კრებული დაფინანსდა და მომავალშიც უცხოელ გამომცემლებთან თანამშრომლობით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება. წიგნის საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა, ქართული ლიტერატურის თარგმანების ხელშეწყობა, უცხოელი მკითხველისთვის ქართველი ავტორების პრეზენტაციების გამართვა საზღვარგარეთ და ლიტერატურის სფეროში სხვა მასშტაბური პროექტების განხორციელება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მომდევნო წლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.





ლია სტურუა

გრძნობის ორგანოები ძველებურად მუშაობენ,
 მარტო შეხების გრძნობა გამოიქმნება,
 ხელებზე კანის აგლეჯასავით,
 სისხლის წრეხაზით ვარ
 შემონერვილი შენს გარშემო.
 ამ ფერზე მოდიან,
 შუქის და ჰემოგლობინის
 დანაკლისის ივსებენ:
 თავზე — დროშა,
 პირიდან — ძახილის ნიშანი —
 ასეთი ლირიკა!
 გონიერი ანატომია რატომღა ინგრევა?
 ლოგიკაში ბზარი გაუჩნდა?
 ცივად დაინყო გაზაფხული
 ყელის ჩახვევით, ბზიკებით სახსრებში,
 ყველა საკუთარ თავს უღრმავდება...

MEMENTO MORI!

მოლოდინისგან სულ გაშავდი,
 თვალში მაყვლის ბუჩქი ამოგივიდა
 მარცხენაში, მარჯვენაში ხედავ
 მზეს როგორ იყოფენ, ზომიერს,
 ტემპერატურიანი — ძალღებს,
 ბავშვებს — ხეებში გაცრილი, საუკეთესო,
 შენკენ — ფეთქებადი ხასიათით მობრუნებული
 დაჯექი და მაგნიტური დღეების
 კალენდარი წერე,
 თუ არა, სისხლძარღვებში გაგებლართებათ
 შენ, შენისთანებს,
 გადასაფერთხი ნამცეცხვებით შეგროვილებს
 მაგიდის კუთხეში,
 ამის გამო სევდიანებს,
 სევდაზე მანიფესტების შემთხვევებს,
 თვითონ ველარ აფრიანებს,
 ამ დროშებით სასაფლაო
 მოდის ქალაქში
 ცოტა ხანი სულზეც იფიქრონ!

ყველაფერი გვერდიგვერდ:
 სახლი, უფსკრული, ფეხი,
 ბოძით რომ უნდა იდგეს,
 მაგრამ უფსკრულისკენ მიდრეკილება
 ახასიათებს, ამ უკანასკნელს
 ბალახი ახურავს, ანუ ტყუილი,
 ხეები ფესვს ვერ იკეთებენ,
 ქარს ორიენტირი არ აქვს:

უფსკრული რომ სახლში შემოიტანოს,
 მის სიმართლეში ჩაგახედოს?
 ფრენას ვინ გაირდებოდა?
 ე.წ. დედის კალთა?
 მეგობრებისგან — ანგელოზებს,
 კლასიკური ფრთიანობის გარეშე?
 ბალახიც ისეთი საგნობრივი ჩანდა,
 ნამოკარი ფეხი და ვარდები,
 სახის ადგილზე
 ხელებს არავინ არ გაფარებს,
 ტკივილს ელოდები...

თვალეში შუბლს ზემოთ ამდის,
 ტვინით უნდათ ყურება,
 ვერ ჩამოვქაჩე თავის ადგილზე.
 გულზე როცა მეკეთა,
 უცნაურ რამეს ხედავდნენ:
 მოჭრილი ხე რომ,
 ჯერ კიდევ, თბილია,
 ხელები - ბრმა, რეცეპტორებს
 ფრჩხილებით აჭრიან
 როგორ უნდა სითბოს დანახვა?
 მაღალი დო-ს სახურავიდან
 ყინულის ლოლუები თუ არ დალიე,
 ანგინაზე მესხანძრეებს არ დაუძახე,
 გლანდების წითელი ლოგო არ მიეცი...
 ამიტომ შეთანხმდნენ ტვინთან?
 თუ ცულის პირზე სისხლი რომ ჩანს,
 იმის გასამართლებლად?

ხასიათიდან გამომდინარე,
 რომელიც ჩემს განივ ქრილში
 თუ გამოჩნდება,
 ნითლად აღშფოთებული:
 უსამართლობით, ქვეშ-ქვეშ ტკივილებით,
 წყალნაღებული სიტყვებით,
 სულიც არ უნდა მქონდეს
 უხიფათოდ მფრინავი,
 იდეალურად შეთანხმებული
 ზემდგომ ძალებთან,
 უფრო, ხიჭვივით შერჭობილი
 საყოველთაო უნივერსალში...
 ცას ხორცი არ აქვს,
 იქიდან ვილა ამომადრობს!

თარიღი

თოვლის მეშინია,
 როგორც უსახურავო სახლს,
 მაგრამ როცა თოვლის იქით
 შენ ხარ!
 ჩაი, ყოველდღიური რეჟიმის ნაწილი,
 მზეს უფრო გავს, ვიდრე მდულარე წყალს,
 როცა მაგიდაზე ორი ჭიქა დგას...
 თვალეში ამეფსო მუზეუმებით,
 გაკრეჭილი ბალებით, მათხოვრებით,
 ცრემლივით რომ ამოვილო
 და წინ დაგიდო,
 მაინც მკითხავ რატომ დავაგვიანე?
 მარტო ამ შეკითხვისთვის
 ღირს დაბრუნება
 შუბლების ორი ქვით
 მიბჯენა ერთმანეთზე,
 სხვა დანარჩენი რბილია,
 ემოციებით მართული...
 მუზეუმი ბალს თუ შეასკდა,
 მე შუაში, სახე გამიხდება
 დაჭმუჭნული ვაშლივით,
 ველარ გაგიტლი
 რომელიმე საღამოს მონყენილობაში...
 რატომ?
 ეს შეკითხვაც ყელზე შევიბი,
 როგორც მიძიმე და ჩამძირავი
 2002 წლის 16 მარტს...

სივარტის მომენტი

დილას რომ გავიღვიძებ
 და ვარ არავინ, ამება,
 სანამ ხელ-ფეხს ავიკრეფ,
 ყავას მოვნახავ
 სახელის და გვარის გასახსენებლად,
 შაქარს ნიჭის შენარჩუნებისთვის,
 სახეზე საფეთქლებს გავიმკვეთრებ,
 თეთრი ალმებივით
 — ბოლომდე ნუ გადამივლით!
 ტანის ნამტვრევებიდან,
 სადაც გენი მიზის
 და რაღაც მეტაფორული სისულელები,
 ერთი-ორი ბავშვი კიდევ აშენდება,
 თავზე გუმბათს დაიდგამენ,
 უნივერსიტეტის სტატუსს მიიღებენ
 და გააჭენებენ
 რამდენი კმ სიგიჟით ქვემარტებამდე?
 როცა, იქვე, აკადემიურობას უცხოებენ, პურივით,
 ამებაში მარისს ურევენ —
 ბიბლიის მომენტი
 აბა, თავზევით რომ ძალა აღარაა,
 სულ იმაზე აპელირება?
 ბოლოს, მაინც, იქიდან გადახტომა
 ჭურის სიმშვიდესა და
 ცის სიმკაცრეს შორის რაც გიჟდება,
 იმხელა ტყუილში...



რად არის რა, რატომ ვარ მონყენილი? არადა, რამდენი საქმე მაქვს. საქმე რა, ჩემი საქმე ახლა სწავლაა, მაგრამ რა ჩემი საქმეა სწავლა? არ ვარ დღეს რაღაც სწავლის იმტახზე. რაღაც, ლექსიაზე წასვლა მეზარება. ალბათ, ფაქულტეტის დეკანი ცოფებს ყრის ახლა, სად არისო. მაგარი ტიპია. როგორი, იცი? აი, ცხვირს რო დაა-ცემინებს, მილიონი, რომ ეტყვი და ის კი, პაპალამო კი არა, 10 პროცენტით, გიპა-სუსხებს. პირველ დღეს გასაუბრება გვექონდა და გვეუბნება, თქვენ ხართ ყველაზე კარგი პროფესიის ხალხი და თანამდებობისო, თან პოხოდუ მე მიყურებს. ვა, ვფიქრობ, მინისტრებმა ხომ არ დავინიშნეთ? უფთხარი კიდეც და რაღაც ფერი შეეცვალა. არა, ჯერ არაო, ჯერ თქვენი თანამდებობა და რამე სტუდენტობა და სწავლაო, გაზეთივით ალაპარაკა. მერე საითათოდ გამოგვკითხა ყველას რაღაცები. მშობლები რას აკეთებენო, რომ მკითხა, ვუპასუხე, მამა სკოლაში დადის და დედა ბავშვთა ბაღში-მეთქი. კინაღამ ინფარქტი მიიღო. აბა, ჩემი რა ბრალია, თუ მამა სკოლის დირექტორი მყავს და დედა — ბავშვთა სახლის. მერე კი გავა-იასნე, მაგრამ მაინც ახლა რაღაც ცუდი თვალთ მიყურებს. არადა, ერთი თვალი შავი აქვს და მეორე ლურჯი და გაიგე, რომელია ცუდი. რაღა ის და რაღა ალექსანდრე მაკედონელი. თან სახელა-დაც ალექსანდრე, გვარად ფიფია. სულ მინდა ვკითხო, მამამისს ფილიპე ხომ არ ქვია და დედამისს ოლიმპიადა, მაგრამ მერიდება. თან რაღაც არა მგონია, იმიტომ რომ არასპორტული ტანი აქვს — თუმცა რა შუაშია. დაბალია და ჯმუხი. შეიძლება ერთხელ, აი, თუნდაც ექსკურსიაზე რომ წავალთ, მაშინ ვკითხო, მერე რა, თვითონაც ხო მკითხა მშობლებზე. ხო, ექსკურსიაზე წავალთ, დაგვიპირდა და ფეხბურთი უნდა გეთამაშოთო. სიცლით კინაღამ ჩავებჭირდი და რა გაცივებსო, მეკითხება და მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და რაღაცა გადამცდა-მეთქი — რა შუაში იყო. ნეტა ალექსანდრე მაკედონელი თუ თამაშობდა ფეხბურთს. ეს არ ვიცი, მაგრამ მაგრად მაინტერესებს ალექსანდრე ფიფია როგორ თამაშობს. დაბალია, მაგრამ პრინციპში მარადონაც დაბალი იყო და ჯმუხი და ფეხბურთის მეფობაზე კი ქონდა პრეტენზია და, მგონი, ეკუთვნოდა კიდეც. ექსკურსიაზე ვნახავ, რა მარადონაცაა. თვითონ ალექსანდრე ფილოსოფიას გვასწავლის. ერთხელ გვე-კითხება, თქვენთვის სამყაროს აღქმა და შეცნობა როდის მოხდა, როდის გაიაზ-რეთ, რომ ადამიანი ხართ და ის მომენტი თუ გახსოვთო. ერთი ჯგუფელი მყავს, მალხაზა და იმან სამშობიარო სახლიდან სახლში რომ გამოიჩვენა, ტო ესტ, მემ-ვიდე დღიდან უკვე შევიმეცნე სამყარო და მივხვდი, რომ ადამიანი ვიყავი, იქედან მახსოვს ყველაფერი... მერე ჩემი ჯერი იყო. მე პირადად ის მახსოვდა, საბავშვო ბაღში როგორ მოვიდნენ ერთად დედა და მამა ჩემს წასაყვანად და მერე რესტორან-ში როგორ ვიქიდივით. მაგრამ ეს არ მითქ-ვამს, ალექსანდრეს უფთხარი, პირველად ქალთან რომ ვიყავი, მაშინ მოხდა ჩემს მიერ სამყაროს აღქმა და შეცნობა. ისეთი კარგი აღქმა იყო, იმ დრომდე კი მახსოვ-და რაღაცები, მაგრამ მერე უკვე ყვე-ლაფერი დამავიწყდა-მეთქი. ეს რომ ვთქვი, ჯგუფელებმა ისეთი სიცლი (ბი-ჭები) და ნიკვინი (გოგოები) ატეხეს, ალექსანდრემ — ნადი გარეთო. ნამოვ-დი. ხმას არ მცემდა სამი კვირა...

საქმე უნახავს და ვარსკვლავების წმენდა დაუნყია, ცაზე კი არა, მინაზე. ასფალტზე რა, თუ ქვაფენილზე ჰოლივუდის ვარსკ-ვლავები რომ არის ჩამწკრივებულ-ჩაბე-ტონებული, იმათ წმენდს და ტელევი-ზიამაც კი გადაიღო. აი, თბილისი ავიღოთ, გასანმენდის მეტი რა არის, ჰოდა, საქმეც გინახავს... შეიძლება ტელევიზორშიც მოხვედ... ბოლო-ბოლო, ხო ჩვენც გვყავს ვარსკვლავები ფილარმონიის წინ. წმინდ-ოს ვილადა და იქნება დასაქმებული... რა იდეები მომდის?! არა მომდის, მომდის, მაგრამ რა ვუყო, ეს რომ არ ვიცი... მოიცა ერთი მამიდეტს შევხვინავო, რაღაც მომენატრასავით... — მამიდა! — ხო, გიორგი, შვილო, როგორ ხარ? — მამიდა, ჰანიაკი არ ატეხო ახლა იცოდე, ავადაა მამა, თვალი ატიკვდა დილით და სასწრაფოთი წავიყვანეთ! — საიდან მოვიფიქრე ახლა ეს?! არა უშავს, ცოტას ინერვიულებს მერე ვეტყვი რომ ვხუმრობ. — ეს რა მითხარი, ხუმრობ, ბიჭო? — ნეტავი ვხუმრობდე! ექიმმა, ისეთი დაავადებაა, თუ დროზე არ ამოიღო ერთი

ბოდა უცებ, იყო ერთი ყოყინა და უვილ-ხვილი და გადახვევა-ჩახუტება ახალი წელივით. ამ ახალმა მთავრობამ ეს სიხ-არულიც წაართვა ხალხს... — ალბათ ახლა მამიდეტი ერთმანეთში ლაპარაკობენ... მგონი, ვისმინ კიდეც... — გულიკო, შენ ხარ? — მე ვარ. ეთერ, როგორ ხარ, გენ-აცვალე? — მე რა მიჭირს. გოგო, ქართლოსის ოპერაცია რომ ჭირდება, თვალის, გაიგე? — გაიგედი! დაო, ეს რა მითხარი? — გიორგიმ დამირეკა ნელან, სასწრაფოს წაუყვანია დილით! — ვაი ჩემს თავს, მერე? — მერე სამ საათზე ოპერაციას უკეთე-ბენ... თუ ერთი თვალი არ ამოუღეს, მეორეზეც გადავა დაავადება და მთლად დაბ-რმავდებო... — ეს რა მითხარი, რატომ მინა არ გამისკდება! — გოგო, ჩვენი ლამაზი ძმა ცალთვა-ლა ვერ წარმომიდგენია, ნეტა მოვმკვ-დარიყავი და ეს არ გამეგო! — ტირილი მინდა, ქალო... — ღმერთო, ეს რა დაგვემართა?


— გაგიჟდი, რატომ აქამდე არ მითხ-არი? — არ უთხრა, ინერვიულებსო! — ახლავე მივდივარ! — ახლა მთავარია მანქანა ნელა ატაროს. უცებ გამახსენდა, მანქანა ზეთს ჭამს და პროფილაქტიკაში უნდა მივიყვანო, რომ ამბობდა. ე. ი. ტაქსით მივა, ავარია გამ-ოირიცხა... მაინც შემეშინდა. — მამა, ახლა ნარკოზის ქვეშ ყავთ, ჩქარა არ იარო... მაინც კაიფშია, ვე-რაფერს გააგებინებ... — ხო, კარგი, არ ვივლი ჩქარა... — აკი მანქანა პროფილაქტიკაში უნდა მივიყვანო... — ვერ მოვასწარი... * * *

ეზოზი ჩავედი. იქვე კორპუსთან გრიშა იდგა თავის ნითელ „ვოლკვაგენ-თან“. მეზობელია. ადრე ტურისტულ ფირ-მაში მუშაობდა მძღოლად, თითქმის მთე-ლი ვეროპა და აზია მოიარა. რაღა ის და რაღა ალექსანდრე მაკედონელი. მერე რა, რომ იმას ცხენი ყავდა, ბუცეფალს. გრი-შას სამაგიეროდ „მერსედესის“ ავტობუსი ყავდა და ხარის თავი ქონდა მიხატული და მასაც ბუცეფალს ეძახდა. ახლა დაბ-ერდა და ტაქსაობით ერობა, ამ მანქანას „ჰიტლერონას“ ეძახის. მართლა ქალივ-ით უყვარს და ეფერება. ლამის ჯვარი დაიწეროს, მითუმეტეს, რომ ცოლი სამი წლის წინ გარდაეცვალა. დილით ისე არ დაძრავს, საჭეს თუ არ აკოცა. ერთხელ ავარიას რომ გადაარჩინა მანქანამ, საჭეზე კი არა, ბორბლებზეც უკოცნია. ერთი ნაკანრი არ აქვს არც ჰიტლეროვ-ნას და არც გრიშას. ერთხელ მიყვებოდა, ჰიტლერს შეკვეთა მიუცია ფრანგ ინჟინ-ერ პორშესთვის, რაიმე კარგი მანქანა გამოიკეთე, გრიშას უნდა გავუზავნოო. რაღა, მე ასე მომიყვა. ასე გრიშა ჰიტლ-ერის სიძე გამოიყვა. მაგრამ სულაც არ არის ფაშისტი, იმიტომ, რომ პატარები ძალიან უყვარს. ასე ტაქსაობით შევიღ-ვილღისთვის ფულსაც აკეთებს, კვირაო-ბით ცირკში და ზოოპარკშიც დაყავს და რამე... პატარა რომ ვიყავი, ტარებაც მას-წავლა, მამა ყოველთვის უარს მეუბნებო-და, რამე არ მოინიო...

საავადმყოფომდე გრიშამ მიმიყვანა. გზაში მოუყვირა თვალის ამბები. მაგარი ანგლი ვილადა ხარო. გრიშა, არ დამტო-ვო, თუ კაცი ხარ, რა იცი, სიმართლეს რომ გაიგებს მამაჩემი, რა ხასიათზე დადგება, ან მამიდეტი თვალის ექიმის მაგიერად გულის ექიმთან არ გახდნენ წასაყვანი-მეთქი. გრიშამ, არაო, მამაშენს ვერ დავე-ნახებები, ხო იცი, როგორ პატივს ვცემო, შენ თავს შენ თვითონ მიხედეო. ყველას მივასწარი. მერე გულიკო მოგარდა კარ-გი მართონელივით, შემეცოდა ცოტა. სამაგიეროდ როგორ გაუხარდება, რომ გაიგებს, რომ ვიხუმრე... — გიორგი, შენ ხარ მამიდა? ძლივს მოვედი, საშინელი ტაქსი იყო, ძლივს და-დიოდა. სად არის ქართლოსი? შეიყვანეს უკვე საოპერაციოში? — კი. აი, ეთერი მოვიდა... — როგორ არის ქართლოსი? — საოპერაციოშია უკვე, — თან ვფიქრობ, ახლა გზაშია და მერას მთა-ველვებს. მართლა რამე მოუვიდეს, რა მეშველებს. სად ვნახო ასეთი მეორე მამა... — გიორგი, მამიდა! გადავწყვიტე, ჩემი თვალი ჩავუხვავ ქართლოსს, ექიმი უნდა ვნახო! — შენ კი არა, მე უნდა ჩავუხვავ თვალი, ხო მივილაპარაკეთ!

— რა თვალის ჩასმაზე საუბრობთ? კი მაგრამ, მამაჩემს არ ეკითხებით?! — უცებ მამაც გამოჩნდა, აირტონ სენა-სავით მოაგვლეა ლამის ჩემი ხნის „ნოლსემი“. — აი ქართლოსიც... მოიცათ, ეს ფურ-ცელი დაიტოვეთ, წამლებია ჩამონერილი, რაც ექიმმა დაუნიშნა. მე გავალ ერთი, ექიმი უნდა ვნახო! — ქართლოს, საიდან მოხვედი? შენ ფეხზე ხარ? აკი საოპერაციოშიაო? — მე რა მიჭირს, ეთერ! გულიკო, გენ-აცვალე, რომელი თვალი გტიკვია, ბიჭმა ნარკოზის ქვეშ არისო, რომ არაფერი გემ-ჩნევა? — მე მტიკვია თუ შენ უნდა გაგიკეთონ ოპერაცია? — როგორ თუ მე? — გიორგი! სად არის ის საზიზლარი ბიჭი?! — აი, ეს ფურცელი დამიტოვა, წამლებია ჩამონერილი, რაც გვჭირდე-ბაო... ...ისე რა კარგი მამა მყავს, ეს რომ ჩემ-მა შვილმა გამიკეთოს (შვილი არა კვატა, ჯერ ცოლიც არ მყავს, გიჟი კი არა ვარ, ეფერე ახლა ყოველდღე ერთსა და იმავე

ლევან ლორია
**მე, მამაჩემი, ორი მამიდა
და ორი ალექსანდრე**



თვალი, შეიძლება საერთოდ დაბ-რმავდესო! — ნეტა გული არ დაუსუსტ-დებოდეს... — ახლა თუ ტელეფონიდან რაიმეს ნაქცევის ხმა გავიგონე, ნაღდი მამიდაა. მართლა ცუდად არ გახდება... რა არის ახლა, ძმის ერთი თვალის გულისთვის ხო არ მოკვდება, ცალთვალა იყო კუტუზოვი და რა უქნა ორთვალა ნაპოლეონს... — ეს რა მითხარი, მომიკვდა თავი, ეს რა მითხარი... — ხო, კარგი, დანყნარდი ახლა, მამამ არ უთხრა ეთერის და გულიკოს — შეემი-ნდებათო! — მერე? — გადავრჩი, გული არ და-სუსტებია... — გითხარი მაინც. გულიკო მამიდას შენ უთხარი, რა! მინდოდა თქმა, მაგრამ... — კარგი, დაფურეკავ... სად უკეთებენ ოპერაციას... — თვალის კლინიკა რომ არის ორ-თაჭალაში, იქ! — აუცილებელია თვალის ამოღება? ეს რა მითხარი, ეს რა მესმის?! — კაი, მამიდა, არ ინერვიულო. რომ არ ამოუღონ, დაავადება მეორე თვალზე გადავაო... — ამას მე ვერ გადავიტან, — ვაი, ცუდადა მგონი საქმე... — ხო კარგი ახლა, მამიდა, ამიტომ კი არ მითქვამს! ცალთვალა იყო კუტუზოვი... — რაის კუტუზოვი, ახლავე მივდივარ, როდის არის ოპერაცია დანიშნული? — დღეს სამ საათზე... — უიმე, ეს რა დღე გამოითენდა, გამო-სავალი არ არის? ცალთვალა დარჩება ჩემი ლამაზი ძმა? უი, ეს რა დღე გამოითენ-და... — მგონი, მაგრად შევტოპე. არა უშავს, ცოტას ინერვიულებს, მთავარია, მერე როგორ გაუხარდება, მამაჩემს რომ ორივე თვალი საღი ექნება... ომი და უბედურება რომ იყო, უშუქობა და უგაზობა, რა მა-გრად უხაროდა ხალხს შუქი რომ აინთე-

— ეთერი, რას ვიზამ, იცი? ექიმს უნდა ვთხოვო ჩემი თვალი ჩაუსვას, ხო აკეთე-ბენ ახლა ასეთ ოპერაციას. — შენი რატო უნდა ჩაუსვას, შენ დიდი თვალები გაქვს, იმას კიდე პატარა, ჩემ-ნაირი თვალები აქვს! — გაგიჟდი, გოგო, შენ შავი თვალები გაქვს, იმას კიდე ჩემნაირი, ლურჯი ფერის... — ამას ვერც შეამჩნევენ! — ძალიანაც შეამჩნევენ! — ახლავე ტაქსს გამოვიძახებ და მივდივარ! — მეც მივდივარ... მგონი, ახლა სულაც არ ვარ მონყენი-ლი... გამიარა. აზარტში შევედი. მამიდე-ბი ალბათ ახლა ერთმანეთს ასწრებენ, ვინ პირველი მივაო. არადა, ერთი საბურთა-ლოდან მოდის, მეორე — ვაკიდან. ნეტა რომელი მიასწრებს. გასწრებაზე თავისე-ბური ფილოსოფიური თეორია აქვს ალექსანდრეს — ფიფიას, მაკედონელს კი არა. ამასწინათ გვიმტიკვებდა, რაციონა-ლისტურ კონცეფციური ნორმებით სწრაფად მორბენალი ატილევსი, ოლიმპი-ური ჩემპიონი და რამე, ვერაფრით ვერ გაასწრებს სირბილში უკუო. მაგარია ალექსანდრე. მართლა კუ მაგი და კურ-დელი. მოიცა, კაცო, რა დროს ალექსან-დრეა, ოპერაცია „თვალი“ უნდა გავაგრ-ძელო. ერთი, მამაჩემსაც დაფურეკო... — მამა, შენ ხარ? — ხო, შვილო, არ მცალია! ჩქარა მითხ-არი, რა გინდოდა? — რა დღე გულზეა, მოიცადოს ცოტა... შევაფუცხუნო... — ეთერი მამიდამ, გულიკო მამიდას თვალი ატიკვებია და ოპერაციას უკეთე-ბენო... არ უნდოდათ, შენ გაგეგო! — ეს რა მითხარი, შვილო, სად არის ახლა? — ორთაჭალაში რომ თვალის კლინი-კაა, იქ. — როდის უკეთებენ ოპერაციას? — დღეს, სამ საათზე!

...ისე რა კარგი მამა მყავს, ეს რომ ჩემ-მა შვილმა გამიკეთოს (შვილი არა კვატა, ჯერ ცოლიც არ მყავს, გიჟი კი არა ვარ, ეფერე ახლა ყოველდღე ერთსა და იმავე

ქალს, ალბათ, მაგარი მოსაწყენია), მოკლავ, იასნია. აი, ახლა მივალ და დარწმუნებული ვარ, არც მიყვრება. დე-დაჩემი გამიფიქრებოდა, მგონი, ნევროზი აქვს, ალბათ ბავშვების გადაძვინივ. იმის ოფოფებს რა აიტანდა! კიდევ კარგი, იმას არ დაურეკეს. ამას წინათ სახლში ბურთს ვკენწლიდი, არა და რომელი მარადონა მე ვარ, ჰოდა, იაპონური ლარნაკი გავტყუე. ეწყინა, არ ხარ შენ ჩემი შვილი, საყვარელი ლარნაკი როგორ გამოიტყუო, ასეთი ორი მქონდა სულს. ამასობაში მამაც შემოვიდა და მამა, მე თქვენი შვილი არ ვარ ვარ-მეთქი, ვეკითხები. საიდან მოიტანე, გაუკვირდა. ბურთით იაპონური ლარნაკი გავტყუე და დედა გამომიხედა-მეთქი. მამამ აიღო და მეორეც გატყუა, ლარნაკის დედაც და... მერე აღარ გააგრძელა. ალბათ, საერთაშორისო სკანდალს მოერიდა. მგონი, პირველად შეიგინა... დედამ, რა უნდა გელა-პარაკოთ, გიჟები ხართ ორივე და ტირილი დაიწყო, მერე მე და მამამ ძლივს დავაწყნარეთ... უფრო სწორად, მე ვაწყნარებდი ორივეს, იმიტომ, რომ ორივე ტიროდა... რა გულჩვილი მშობლები მყავს...

— შვილო, ასე ხუმრობა შეიძლება? ამათ რომ რამე მოსვლოდა, რას აპირებდი?
— ხო, კარგი, მამაჩემო, რამდენი ხანია, ერთად არ მინახხართ? ხოდა, შეგკრიბეთ ერთად!
— წლებს რომ აგროვებ, ცოტა ჭკუაეც ხო უნდა დაა-გროვო?

— ქართლოს, ძმაო, შენ დამარცხდი: არცით არ დათვრეო, სიგარეტი არ მოწიო და სხვას ჯიბეში ხელი არ ჩაუყო, ხუმრობა არ აგიკრძალავს! — მამაჩემს მაგრად მოწონს ძმას რომ ვეძახი, ჩაიცინებს.
— ესაა, ბიჭო, ხუმრობა? ტაქსის მძღოლმა, სასწრაფო ხომ არ გამოვიძახო, ფერი არ გადევთო?! — ეს გულიკო მამიდაა...

— მოეწონე, მამიდა, იქნებ?!
— გაქრი შენ, მოგეწონე კი არა მთელი გზა ვტიროდი...
— ცრემლი გულს ამშვიდებს, თვალებს წმენდს...
— გული რომ ხელში მეჭირა?!
— ადრენალინის გამოყოფა აძლიერებს იმუნურ სისტემას...
— გაგაადრენალინებ, ბიჭო, მე შენ! — ეს ეთერია, — დაგვიხედა გულები და იძახის, იმუნურ სისტემას გიძლიერებთო!


რა მექნა?! გადავხევი მამიდას, გამოვიწყვი ვითომ ამით დანაშაული. ამ მოწყენილობის უამს არა უშავს, გავერთე... მამამ, არ მომეკაროო. მაინც ჯიგარია, კოცნის გარეშეც. მერე რაკი ერთად ვართ, სადმე პური ვჭამოთო — პურის ჭამას რესტორანში ქეიფს ეძახის. მამიდებმა, ადრე, პატარა რომ იყავი, შენ გვანვალეზბდი, ახლა შენი ვაჟბატონი, თუ გინდათ, თქვენთან ერთად პური ვჭამოთ, ჯერ ეკლესიაში წავიდეო... დედაც მოვიტაცეთ ბავშვთა სახლიდან. მერე მანქანაში სამივე სამ ხმაში უყვებოდა თვალის ამბავს. დედას ამჟამად არ უჭირა, იცინოდა. მერე ვარკვეთილის ასახვევთან ხიდის ქვეშ ცხვარი აყიდინეს მამაჩემს, შეგწიროთ, ღმერთს მადლობა ვუთხრათ, რომ ყველას თვალები გვაქვსო... ცხვარი ქაშუეთში მივიყვანეთ. მშვიდი თვალები ქონდა და სევდიანი, ალბათ, მამა აბრამის ბატკანსაც ასეთი თვალები ექნებოდა...

—დიდება მამასა, ძესა და სულიწმინდასა... “
— მამა, ნახე ცხვარს რქაზე სანთლები ჩაუქრა!
— კარგი, გიორგი, ჩუმად იყავი...
— მამაო დავით, სანთლები ჩაქრა, შეიძლება კვლავ ავანთო?!
— ხო ხედავ, განიშნა, ხელს ნუ მიშლი, ჩუმად იყავი...
— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავ სახელი შენი... “
— მამა, ნახე სანთლები თავისით აინთო...
— გოგოებო, დაინახეთ, სანთლები როგორ თავისით აინთო?!
— ხო...

მერე ცხვარი ეკლესიის ეზოში გავუშვით და ბალახის ჭამა დაიწყო. ეკლესიის დამხმარე შენობიდან ვიღაც კაცი გამოვიდა გაბრაზებული... იცით, ამ ბალახში რამდენი გვაქვს მიცემული... მოკიდა ცხვარს ხელი და წაიყვანა... ჩვენ წამოვედით. უკან არ მიმიხედავს, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ცხვარი ჩვენსკენ იყურებოდა...

...ხო, რესტორანში. იქ ვინ დამხვდა, არ იცით?! გეტყვი და შეიძლება არც დამიჯეროთ! დეკანი, ალექსანდრე! ვიღაც სიმპათიურ ქალბატონთან იჯდა და სანთლად იყო დაღვრილი და შაქარივით იყო დამტკბარი. თავიდან თვალებს არ დაუფიქრე, მაგრამ ცალი თვალი ლურჯი და ცალი თვალი შავი ადრე ალექსანდრეს ქონდა, მაკედონელს და ახლა აქვს ჩემს დეკანს, ალექსანდრე ფიფიას. ხო, კიდევ, მამიდებს უნდოდათ, მამაჩემსაც ასე ქონოდა. მაგრები მყვანან ორთავე. ალექსანდრე გატაცებით უხსნიდა რაღაცას ქალს, დარწმუნებული ვარ, ეგ ზისტენციალიზმზე უყვებოდა რამეს, რაც, როგორც გვითხრა, ფილოსოფიურად ადამიანის ყველაზე ღრმა კუთხით წვდომის მცდელობაა თურმე. მამაჩემს ორი ბოთლი შამპანურის ფული შევანერე და ალექსანდრეს გავუგზავნე, ფიფიას, აბა, მაკედონელს ხომ არ გავუგზავნიდი?

ოფიციალტმა რომ მოახედა, იმ სუფრიდან გამოვიგზავნესო, რაც შემეძლო ზრდილობიანად მივე-სალმე. მგონი, მიცნო, რავი, ორივე თვალით, შავითაც და ლურჯითაც შემომხედა, გაიბღინა-გაილიმა და იმანაც კარგი ძმაკაცივით ამინა ხელი...



დაბიუტი

ლევან ინაური

პირობა

შემოდგომის შიშველ ღამეს ეძინება მთვარეს. ოქტომბერი ველარ უძლებს წამოქროლილ ქარებს, რომლის სუნთქვა გამეტებით ხეებს ისე არხევს, თითქოს ცოტაც და აღვეხსაც ააციკვებს ვალსებს.

ნელ-ნელა და ჩქარა-ჩქარა ჭრელად ღებავს ფოთლებს შემოდგომა ფერთა ფუნჯით და ახსენებს რტოებს, რომ ნოემბერს ვერ აჩერებს, როგორც ლომის ბოკვერს, რომ დღეებით მოგონებად სექტემბერი მოკლეს.

ბაღებს თითქოს სიცივისგან შეპარვიათ შიში. ახლაც ახსოვთ რთველისაგან სურნელება ხილის. მონატრების მღელვარება დაიფარა ფიქრით მას შემდეგ, რაც ღრუბელმა ცა ააცრემლა წვიმით.

ანწყომ უკან მოიტოვა ფოთოლცვენის გამა. დაუბერა კვლავ, იმატა სუსხიანმა ქარმა. შემოდგომა უსიმწვანოდ ბოლო ფოთლებს ფანტავს და ბუნება ფრთხილად იწყებს დაზამთრების ხატვას.



ისევ მოვიდა ღამე გვიანი, კვლავ მომაკითხა სევდის ქარებმა და მწარე მსხვერპლი, როგორც მიზანი, ამ სამყაროდან ფიქრით გაქრება.

ისევ ჩამოთოვს კრწანისის ველზე და გაათეთრებს ვარდისფერ მიწებს. ჩემთვის სიმორე ნიშნავს მკვლელობას და შენთვის — მარტის ნამიან იებს.

დღეს მომილოცეს შობა ფიქვებმა და მომასევედეს ფიქრთა ტრიალი, შენთვის ზაფხული ახლა იწყება, მსუბუქი სულის მჩატე ფრიალი.

იანვრის თვეში შემცივდა ისე, რომ მარტობამ გაყინა ლავა. შენ საკუთარ ბედს გაყვები ისევ და ეს ლექსები წარსულში წავა.

განთიადს მიღვა

ვარდისფერმა ზმანებამ ღამით არ დამანება და სიზმარი გამეკცა სადღაც სევდის შორეთში, მოგონებით ძნელია წარსულის დამარცხება, შედარებით ადვილი — ტანჯვა ამ სიცოცხლეში.

ოკეანის ტალღებმა ფიქრის ზღვარი გაკვეთა. შენთან ყოფნის ოცნება დასალიერს მიტაცებს. უფერული ცა-მინა დაჭრილივით წაიქცა, ვუმზერ მხოლოდ უსულო, შემლილივით მირაყებს.

სივრცის მარადისობა პორიზონტებს აორებს. გარინდული ბუნება ფეთქავს მშვენიერებით. შენი და სილამაზის ჰარმონია მაცოცხებს. მსურს, რომ მთელი სამყარო ვხატოთ ჩვენი ფერებით.

კვირალამე მწველია, უშენობა — სიშორე. ირგვლივ უცხო ხმებია ნანამები სიჩუმით. ოცნებების თეატრში დავვეებ რეჟისორებს, ჩემს ოცნებას მხატვარი ხატავს ლურჯი სიმუქით.

მარტობის კვენსაში ღამე სიმწრით გათენდა და ზმანებაც გათეთრდა სინამდვილის ფარსებში. ალიონის მწვერვალზე უფალი გამახსენდა და იმედმაც ინათა მოელვარე ფანჯრებში.

მსუბუქი ზედაპირი

ჯადოსნური საღამო და მზის ჩასვლა საამო, სივრცისპირმა გაალო პორიზონტის კარები. დამავინყდა სიმწარე და მომწუსხა სიმწვანემ, განვალეზულ მინაზე ჩადგა მძლავრი ქარები.

გავყურებდი სიშორეს მოვარვარე შუქების მზის სხივებით ანარეკლ დამშვიდებულ ტალღებზე. პეიზაჟს ვერ ვამჩნევდი სევდას გაპირქუშების და სულ აღარ ვფიქრობდი სულიერად დაღლაზე.

გაირინდა ბუნება, შენ გამოჩნდი მალღობზე. თითქოს ფერთა გამაში იღებება განცდები. შენთან ტკბობის ოცნება მე ველარ დამალონებს და რითმების თამაშით ამ სამყაროს გაცვდები.

უკვლავი რწმენა

საუკუნოდ მწყურვალე მივადგები წყაროებს, თითქოს მომეშუქება იმედი გადარჩენის. გადარეულ არსებას ნეტავ ბედი მწყალობდეს და წყურვილი არ იყოს ჩემი ყრუ განაჩენი.

ჩემთან ფიქრით ღამდება და ტანჯვებით თენდება, არარსებულ მხარეში ვეძებ მაინც არსებულს. დაბერებულ სიზმრების ცივი თოვლი არ დნება და ტკივილებს მიმრავლებს ისეც გაათასებულს.

ფერთა მუქი ნათება შუალამის მაშფოთებს, შავ განცდათა მორევი შიში არ მიაძვება. ჩემი ავი ზმანება მაჩვენებს ეშაფოტებს და წვალების წვეთებით სულში დამიღამდება.

საუკუნო ვაება დაშვება მინაზე, მწუხარების მდინარეს აადიდებს წვიმებით. ჩემო მამა უფალო, შენი შვილი მინამე, რომ სიბნელის წამებად ჯერ არ გავიწინებ.

გადაივლის გოდება მღელვარების მწვერვალებს და ნალვლიან ღრუბლებში დაეცემა კამარა. მე, ოცნებით შოპენი, წარმოსახვით ვნერ ვალსებს, მაგრამ ღმერთმა მარტოდენ პოეზია მაცამარა.



დასაწყისი №60-70

ჯერ ის იყო და, დიად თავსხმაში დარჩენილები სახურავებზე ადრენენ, მაგრამ იწევდა მალღობრივად მისხანე წყალი, და ზემოდანაც სადღისებრივით ესობოდათ მჭრელი წვეთები წყლისა იმათ და ყოფილი რიქშა-დომბასი სრა-სასახლე რამ, აიიისა – „განსასუენებელი“ ერთდროს და ზოგ-ზოგ გამოჩეულად პირმოთნ-მლიქენელთა ქლესად-ლაქუცთა მისალე-ბიც და მიმლებიც და მიუღებელიც და ნა-მინამსა სათქველფი და ამოსაყორე და თქლათქლუფით სასხვლა და ტყვერომა თავი და თავი სასათქვეფოში-იმ და მაგრამ შენაძენი ვითომცადა-ეს როგორის დიდის უმზობით ვერ იფარება ჯერჯერობითი ნყლით-გარდუვალის? – თავრეტ-დასხმულელებს და მხოლოდ ახლადა და აქლ მიხვდნენ იმათი ჭკუით გამასხარავებულ და გაპამულავებულ-ვითო ნოეს იმა-კი-დობანისა იმ დიად არსს მაგრამ რომელი კიდობანისა კარი მათ ასე მწარედ დაუგ-მანა თურმე მამა-უფალმა და მათთვისაც კიდობანი გადარჩენის გაღებულკარი და ჯერ შედარებით საზრიაანები-ვითო გაცურდნენ იმა-კიდობანისაკენ ხოლო მათ შორის მუზიკებისა ვითომცოდნე რიქშა-იშკა რომელიცა რომ იმა-კიდობანის დაბრუნებას და მისი როგორ მჭიდროდ დახმული კარის გაღებას რამოდენსამე საკრავის (– დოლი, ცალხმა ბუკი და დიპლიპიტო და ა.შ.) თხოვდა ახლა თვით მისთვისაც კი, იმა ცერცეტი ბოროტისათვის ანუ უფუნურისათვის ყოვლად, მარადმონყალეს, უფალს, ხოლო მან, ღმერთმა,

„ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყვი თქვენ: არა გიცნი თქვენ“, რადგან ისინი, თავთ-იშაკაიანა, იყვენ კაცები-უფუნურნი, და ემსგავსნენ იმას „რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა. და გარდამოღბნა წვიმაჲ მოვიდეს მდინარენი... და ეკუთვნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად“,

და როდენ ხანს (მათე IX, 36) ეწყალე-ბოდა იგინი „რამეთუ იყენენ დამაშურალ და დაცვიენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“, მაგრამ მწყემსი კეთილი როგორ სუმუდამ ჰყავდათ მათ მაგრამ არა-ისმინეს არაფერი, მისი, ნოესმა გარდამ, და, როგორც თვით მისმა ძემ, ერთადერთმა, როგორ-ერთგულმა მამის, გაიმეორა მისი ნათქვამი, რომ, ვინც რომ არ იცნა ის, არც თავად ი გ ი იცნობს მათ გაჭირვების უამს:

და „რომელმან უფარ-მყოს მე (მათე X, 33) ნინაჲუ კაცთა, უფარ-მყეო იგი მეცა“ და რამდენგან ეს, ბიბლიაში, და, მაგრამ სად იყო კარის გაღება და ასევე აბა სად-სადღა იყო ის თავდაპირველი ზარი და ძრწოლა მერე და მერე რომ ელოდათ, –

არ შეისმინა, არა, ღმერთმა ნაგვიანები მათი, მუდარა:

და როცა ჩანვა ყოველი სახლი იყო ეს თუ ცრუ-სასახლე და პოსეიდონის ცრუ-ვტყარიც რომ გადაფარა წყალმა ახლად ღილადა ოკეანეშიც ტივტივებდნენ და ტივტივებდნენ რაღაც დროებით, მაგრამ ვაიდ-დროებით ღვითთ-განანირი კი არა და არამედ თავიანთ-თავით როგორ ძალიან განწირული-ეს ადამიანები კი არა და, არაადამიანები:

ერთხანს რომ მანინც რის ვაი-ვაგლახ-ით რამწარედ შავი ლიფლიფითა ტივტივებდნენ და როგორსიმწრით და-ცურაობდნენაცკი როგორ ძალიან ზარდაცემული ეს ვითო-ადამიანები, მაგრამ იმათი ვაი-ვიში უშველებელი და დევერხ-ანული დედოზარობით შეძრწუნებული თავზარდაცემობა უკიდველი მაშინ შეიქნა როცა რომ როგორ უსასტიკესად საზარელი თევზები-ისი-პირანიაები რომ-ლებიც ადამიანს ჯერ ყოველ ნასვრეტში, განსაკუთრებით კი ერთგან უძვრებიან და რამწარედ ღრღნიან, ღვეჭენ და ტყვერენ და კიტრიკოს კი, სწორედ მისსა-იმაში ვაე-ბად შეჭრილ პირანისას ნაბასრუბილ-ბარზე როგორ-ბალღამით გაახსენდა არამცთუ თვით ყოფილ-ერთხანსამარდი ანიჩქა მერე კი მასზე შემხედრებული თავისითავიც და თვით მოხსნილიცაც რომ გაახსენდა – ის სამურთაქედ სათაქები ანიჩქა და, ზღაოდა ასე: ჰოიივ, ანიჩქავ შებედნიერო!!!, შენ მაგნოლის ყვავილების სუნში ჩაძალდი და მე ვი-კითხოოო როგორ აჰხხ ესრა უბედურ მარინ-მარსკვლაზე დაბადებულმა მეეე, ავააიჰხხ!!! – და იყო როგორ დიდ-დიდ

პირთა თანამდებობებით და მათი ქვეშევ-დომებისა ც განურჩევლად როგორ ძალიან გაა-დიდებულ პირთა ღმერთნი და ღრჭალი კბილთა და კიტრიკოკო ამასაც ვედარ ახერხებდა პატარა ხანში რადგან სწორედაც ცრუ-ხახაში, ტყუილ-სიყალ-ბის მაფრქვეველში შეუძვრა ისი-პირანია, მტკნარ მდინარეთა თევზი და ახლა კი როგორ-დიდწყლებით შემოტყორცნილი ოკეანეში, ნათხში მაგრამ რომელი ყველი აბა ის იყო ის კინტირიკოკო არამედ სხარ-ტად მძვირვარ პირანია რა გამეტებით გადაუდრდნა ხმისმიერების თაღლით-სიმები და პირანიაები, ამ მლაშე წყალში მოხვედრილი მდინარისა-წყალთ თევზე-ბი ხომ რა-გამეტებით დაეძებდნენ მტკ-ნარ ხორცსა და სისხლს და კიჭამდნენა მაგრამ იმ უამრავი კიბორჩხალებით გა-უღენთილი ლუგუმი ხორცი აიიმათაც, პირანიაებს მანინცდამანინც არ მოსწონ-დათ მაგრამ როგორღაც სიმწარისადმი-ზრდილობითი მანინც ღრღნიდნენ და მანინცა ჰმსჭამდნენ და უშველებელი ზვი-გენები კი, რომლებიც ახლაც ოკეანეთა გამწმენდელებად ითვლებიან ისევე



როგორც მგლები ტყისა დაავადებულ ცხოველებისაგან მაგრამ თუ მგლები მშ-ვიდად-უბინოდ იყენენ კრავებთან, ახლა, კიდობანში, ის გარეულა-ზვიგენები კი ცალფეხს როომ მოაჭამდნენ ერთ მსხ-ვერპლს მერე მეორეს უფატრავდნენ მუცელს და გრძელ ნაწლავებს ღვეჭდნენ და ღვეჭდნენ იმ ზვიგენურის კბილებითა და ვის რად დაგიდევდნენ – ერთ დროს როგორსა პირ-ტან-„მშვენიერ“ დანან-ევრებულ-გადახლეჩილ ნაყამას ჯერ-ჯერობითულ-მონარჩენებზეც ვერ გაიგებდი მთლად რასხად-რახსი სალე-ბავებით ჰქონდა მოხატული სხეულის რარიგ უზადრუკი ნაკუნები თუ თავისი სისხლით-რახსით, ვე,

და თითან ფრთხილებ-შეგუებულთა ალხანა-ჩალხანასაც კი მთლადაც ნამდ-ვილად ვერ დაემართათ კარგისაქმე, რა მოიგეს რო, იმა-ფრთხილური შემგუე-ბლობით,

და ოკეანეში ერთადერთს ვისაც არ უჭირდა პოსეიდონი იყო ესი რასაკვრვე-ლია რადგან „დიადი“ პოსეიდონა აკი სუ-ლაც არ იყო და არ არსებობდა როგორც ასეთი და არმყოფს კიდე? – აბა როგორ-ღა გაუჭირდებოდა, ჰა?

ხოლო მის ქურუმს, ადრე მი-ნისქვეშეთით მხოხავს-ძალიან, ტიბეტი-საკენ, რა უღმობელად დაენია პირანიაე-ბიანი წყალი ისეთი? – რომელი რისხვა თუნდ მისმირი, ადრე,

და როგორ მწარედ, უსაზარლესად „იგუემენ იგინი სიბრძოთა“ რადგან იმათ-ავიანთი დემონკრატულ „თავისუ-ფლებით“ – ამორჩეულთ და ვითომდა-ცა ნებადართულით და თვით ესაც კი ჯერ რა იყო რადგანაც მანინც ამ-დროებით-ამ და ამიტომ მხოლოდღა რაღაც-დროებითი მხოლოდ სასტიკოდ იყო ეს და თვით ესაც კი, ჯერ რა იყო რაცრო ელოდათ – „და ნარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნოსა“ – მარადიულში, უკუნისამდე,

– ესეც ხომ მათე XXV-დანაა, და ნეტა არა-ამაოდ, ჩვენთვის,

და ატლანტიდელებიდან ყველაზე დიდხანს ვინც შესცქეროდა, პირდაღმე-ჯილი, ღვთის ამ ვრცელრისხვას? – რაღათქმაუნდა დომბა-რიქში, თი-

თან-ვიირშაკა იყო, ისი, მისი სასახლე აკი ყველაზედ მაღლა, მაღლობზე იდგა, და, ჯერკი მხოლოდ იმაზე შეკრთა დაინახა-რა რომ ბოსტნეული ნადგურდებოდა, მი-ჰქონდა წყალს მაგრამ იმხნევა, ძანაცვირმა (რომლებიც აკი არ შრო-მობდნენ, მაშინ, იკბინებოდნენ მხოლოდ) თავისითავი: „ერთი სტაფილოს ოხერიდ-ედაც, კომბოსტიანა ვატირე“-ო, მერე ხეხილი, განსაკუთრებით ბანანები და გუ-ლაბიფხალი და ანანისი და ამისთანანი შეენანა მაგრამ კი – „ინდოსტანდინ მონ-ვატანიეფ, ბლომავერცხლი ჯიბეზედჯი-ბად არ მიჭყავის თუ, რა“-ო, – რა იცოდა თუ შუამდინარეთს, ეთიობიას და სხვა(ც-სუბვერ ქვეყნებს იგოვ დალუპვა და მიმე წყევა მთლად დასაქცევადა, რა აღგავად, ადგათ, – მთელ ხმელს, ადამი-ანთაგან რარიგ ნაბილწულ მიწაზე, რამდენხობით რომ ითმენდა, ძან, მინაკეთილი და, გვიხ-აროდა ჩვენ არამცთუ კეთილნაყოფიანი ხეები არამედ მთლად უნაყოფო ხეების დანვა-როგორიჩანახშირება რა შევბას გვგვრიდა ოღონდ სრულიად უ-მადლო-ბოდ, –



კი! და – „ეგ არაფერი, – სიმხნევისათვის გაიფიქრავა ბოროტის რარიგ დამ-ტარებულ-მატარებელმა პადრედაც, რიქ-შამ, მაგრამ ჯერკიდევ გამწარებულად მოდგაფუნე ღორდაბურვაკთა დანახ-ვაზე, – ვაჰრა სუკეები რა ყაურმები მიაქვ პოსეიდ... არა უშავ-რა, ზღვის პადარკები (– საჩუქრებო; ნობათიო...) ხომ მანინც მუდამ გვექანება“-ო ხოლო მერეკი-რომ მითომცადადაპოსეიდონით მიშვებული პი-რანიები – უპირველესი მტაცებელი არ-სებულთაგან ხმელსა თუ წყალში, – იმათ-თა ჯგროით-აურაცხელით მხოლოდდ ხე-რხემალდარჩომილი ორაგულების და ქაშაყების და ღორჯოთა და შავპირებისა და კიბორჩხალებ-ზვიგენების – პირანი-ათვის განურჩეველების, პირისგემოთი, იმათ ფხათა და ხერხემალოთა ნარჩენ-ნაფლეთნი რომ მიირიყა მის სასახლემდე, ლილაქვიანის, პადრესისა „ვაჰ ესა წვიმა აღარა ჰხუმრობს, ვეჰ“ გაიფიქრა ასე შმო-რიანგულში და მეტი საქმე არა ჰქონდა მის სასახლემდე ჯერკიდე მინაზედ მოჭ-რილსა და მავედრებელ კარგაბლომა ხალხს – გაგვიდევ კარი, ავივივი შენს სი-მალემდეო და ის მერე რა რო ატაბებუ-ლი ჩვილუბით რომ აცოდებდნენ, თავს, ესენი-მანინც შეიბრალო, მაგრამ:

„თქვენ გააჩინეთ? თქვენვე უშველეთ“,ო, მაგრამკი უცებ იმასაც მი-ჰხვდა რომ არ არგოდა, ეს – სუმთელი ხალხის დალუპვა-ესი:

„მე ვინდა მაჭმევს“ – „ვიდა მასმევს“ არ გახსენებია, – ძალიან ბევრი იყო, წყა-ლი, და „ვიდა მაჭმევს!“-ღა ახსომდა, მხ-ოლოდ,

არადა, აქამომდე-ხო ხომკი, ხომე? – კაიჭამა-ვა და რაკაი, სვა აქამომდი-სინ; რიქმავ, ხოკაი იყოყე, ეს? –

ჰაჰ, მა რა იყო!, – შუენიერი, ძრიალათ-კარქი... რა-შეკითხვაი უნდოდა, ამას..., – ვერჰ! – კარქიც იყო და მეტიც, ვუმფრო, –

– და, მეტად უფრო, ახლოვებოდა და ინვევდა ვითო-მალისკენ, მისკენ, დიდ-ნარღვით, დიდუშველებლად, რა დიდინ-ყალი და,

მაგრად დახმული სრა-სასახლისა ვერცხლ-სახურავზედ ალოღდა პადრე ოლონდაც პადრე მეტად შავშავი, და შავშავადე იქამდეც კი კირომ აჩქეფდა ყოველივესი მომძიებელი ძალიან შავად მისხანე წყალი და, პირანიებს თუკი რომ ჰყავდათ თავკაც-თავთეზად-ჯილა, პირველმა იმან ჩააჩო აჰ-რა სასტიკად როგორიჰხ ძლევად კბილებმოსილი ხახა სწორედაც ქუსლში რადგანაც რიქშას ვე-ლარ ძალუძდა ყურება-მისი, მოვარდნილ ნარღვინსნამღეკავის სუველაფრისა და, თავგზაცდაფლეთილს ეყვინა თუ თუნდ ზურგმექცევით-ამით-მანინც განუდგებო-და, ღვარცოფს მაგრამ იმ კბენით როგორ ძალიან გადაღმწარებულ თავად ელვის-ფრად სახეცვლილმაც აპბლაგლა, ზეცას, იმ შუადლისას ღრუბელთა ქუფრით მრუმედ ძალიან დაღამებულს, მთლად:

„მე ბუზიკანტი ვიყავი ღმერთო!.., არ შემინყალბ?!? – სულ-სუპირველად მხ-ოლობითი ახსენა, ღმერთი, აი ეს სიტყვა მისთვის როგორი ანაზდეული ახლად ნაგრძნობი მწყლობელისადმი, თვით, რა ვედრებით და სასონარკვეთით ახლად მიხვდა ერთადერთილა გადამრჩენის ზე-ნად-არსობას და ისლა უცებ ინატრულა-რო რომ კიტრიკოკოსი უკანასკნელი საჩუ-ქარი დიდად ძვიირ-ფასი მაგრამ საზიზლი რადგანაც სისხლით მოპოვებული – მარ-მარილოში ჩაჭედელი ოქროის მოსქო ფირფიტები, სხვადასხვა ბგერებს მოდრეკ-აშვებით რომ გამოსცემდნენ, – ასე-დ საკრავი, ისი, გვლისწილ ოქროთი აჟღერებულ კლაკნია ჟრჟოლოვით რომ ჟრიალებდნენ ნეტავი ისა რად ვერ-არ აიტანა სახურავზე იქიდან რომ-კი შეე-წირა დამმცქერებლისადმი და გინდ ყო-ფილიყო განკუთვნილი განკითხვისათვის, განსაკითხავი, ეგებ ქრთამით-ამ მოენა-დირნა-ვითომ, ღმერთი მაგრამ რადღა უნდოდა ისა-სიბილწე, ღმერთს, და ნაიხ-არაც მოდრეკილი, მათხოვარსავით ყო-ფილი, პადრე, მუხლებამდე-წყალთ მძღე-როკვეთა გარემოსილი, და – პირანიების რა ბასრებკბილა უთუო მთავარს ესლა, უნდოდა? – მთლადაც ამოხტა და თავის დამქამ-მეომართაგან პირველი ისა ისე შეეჭრა და მფლეთებლიებთ – შეიც-ნოვავა, თავად ბოროტმან ბოროტებისა რარიგ ერთგულად დამტრამელი ერთი-ცარიქშა აი ისე, რომ, ვიირიშაკასი ჯერ

ნანლაგათა ფლეთით და ღვეტი და მერე დიდად მრავლისმნახველი სტომარქისა კბილებისულ დაღრღნითა და მერე იმ-ისი შხამთ-გამოსასუნთქ ფილტვებ-გუ-ლის ნთქმით ამოულადრა გინდ რა სლიპ-ინა-საყლაპავი და იმ პირიდან სუმთლად იქედნედგადაცქეული გამოუძვრა გარე-დანაც(ე-ც იმ ძუძუ-მკერდის შთან-სანთქმელად რომელზეც ხალხზე მოჩვენებითი ზე-ზრუნვითა რომ ძალიან-აცე საჩვენებლად იბრაგუნებდა, მუშტით, და ექს-დომბასა, ასედაღრღნილს თუმც ვედარ ესმოდა გრძნობისმიერი ველ-არაფერი და, ნუთისოვლშიც ნეტავი-დ სუარ სმენოდა-რაიმ რადგანაც ბოროტს, მიუგებდა, ნიადაგ-მარად წასაბილწ ყურ-გულს, ერჩია იმას მისი აჰაქად-კვ-დომა – უფროშემდგომი ვუუიდი, – „სიციცხლეს“

და, ღირდა, ნუთუ, მისი სიკვდილი აჰასე წვრილად-აღწერიეთე, ჩაპირანიავებად მაგრამ, ეგება ესაც უნდა ვიცოდეთ, და, ჯერ სად იყო, მერედამერე ასეც მოკვდო-მა რომ დიდრამდენად ერჩია იმას-რაც მის მოკვდინებას –

მოკლედ-კი როვთქვათ, ფიორულად, აქაურულსა სიკვდილზე, მის-სა?:

იყო (ვაი იმ-ყოფას) და არა იყო რა (– მართალია, ეს?!., რადგან მისთვის-ნეტაი მართლაცდა არა-დ, ჰყოფილიყო, ის), იყო ერთიც, ბოროტებისა მთლად მონად, რიქშა ხოლო მისგან შორს,

კიდობანში, საოკუნტულიყვენე შუა სართულზე, შუა მართულის იატაკზე ნოე და მთელი ოჯახი, მისი,

და, ამა-ნარღვის ატეხვისას, „ნოეს ცხოვრების მეექვსასე წელს, მერე თვეს, თვით მეჩვიდმეტე დღეს“, – ამ დღეს მოასკდნენ უფსკრულის წყაროები და გაიხსნენ ცათა სარკმელები. აწვიმდა ქვეყ-ანას ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერე როგორ და ეს მერე თვის მეჩვიდ-მეტე დღე ნოეს კი არა, თვეები – ნისანი-სა და თიშრისას „მოსეს კანონმდებლობის ეპოქაში....., ამიტომ მეცნიერები....., ფიქრობენ რომ, ნარღვნა დაიწყო 17 მა-დე-ჰემანს,რაც ჩვენი ათვლით ემთხვევა ნოემ-ბრის პირველ რიცხვებს.“

და მხოლოდ ცით კიარ იყო, ნარღვნა,

არამედ

„დიდი უფსკრულის წყაროები...“ აღბათ, ამ სახელით იწოდებოდა დედამისის ქერქის ქვეშ არსებული წყალი, რომელმაც სავსებით შესაძლებელია, ძლიერი ვულკანური ძალების ზემოქმედების შედეგად დიდი რაოდენობით დაფარა მისი ზედაპირი“...

ასე რომ, ჯერ თავიდანვე დაატყდა ატლანტიდას ის ალბათ ყველაზე დიდი სისასტიკე მინისძვრისა როგორც-ზებეჯითად გამაუსუსურებელი და თავზარდამცემი კიარა და, ადამიანებს ისე, რომ ქარიშხლისასაც ოფლიც ცახცახად გამოსდიოდათ და ცვიოდნენ სახურავებიდან შემსრეს მიწაზე ხოლო შემოდან მარმარილოსი დიდი ფილები და ლოდები განაქტივობდნენ („წერილად დაჯექდნენ“, მთლადაც მყარ ფხვნილად გადაქცეულ ადამიანებს) და ეგება ეს სჯობდა იმ ზვიგენებსა და პირანიებს რომლებიცა რომ, როგორ ძალიან ამოქმედდნენ მაშინ, როდესაც

„...გაიხსნენ ცათა სარკმელები“ – ეს წყლის ჩამოდინების თვალსაჩინო და ძლიერი მხატვრული სახეა. წყალუხვი წვიმის ნაკადებიც ციდან მოდის და იგი სრულ თანხმობაშია ცის მყარ შეხედულებასთან, რომელიც სემიტებს (მოგვიანოებს) წარმოედგინათ კარვის ანუ თავშესაფრის სახით, რომელიც გადაჭიმული იყო დედამისის თავზე“

ხოლო „სწორედ ამ დღეს“... „რომელიც დავადგინეთ, რომ იგი შეესაბამება ნოემბრის თვის ერთ-ერთ პირველ დღეს როდესაც პალესტინაში, ჩვეულებრივ დიდი წვიმების პერიოდი“,

და ადიდდა ოქენე... და „დაიფარა მაღალი მთები“... „სავსებით დასაშვებია ის, რომ აქაც ტერმინში მთები იგულისხმება იმ მხარის მიწა და მთები რომელიც პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა და განლაგებული იყო მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის აუზში, რომლის უმაღლეს პუნქტს წარმოადგენდა“.....,

და, „მოისპო ყოველი ხორციელი, რაც კი იძვროდა ამქვეყნად, ფრინველი, პირუტყვი, მხეცი და ყოველი ქვენარმაველი, მიწაზე მძრომელი, და ყოველი ადამიანი. ყველაფერი, რასაც კი სიცოცხლის სუნთქვა ედგა ნესტოებში, ყველაფერი, რაც ხმელეთზე იყო, მოკვდა. აღიგავა ყოველი არსება, რაც კი მიწის პირზე იყო. ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვენარმაველამდე, ცის ფრინველებამდე — ყველაფერი აღიგავა პირისაგან მიწისა. გადარჩნენ მხოლოდ ნოე და მასთან კიდობანში მყოფნი“.

და თუმცა მთელ ორმოც დღესა და ღამეს შვავდებოდა ურიცხვი წყალი, მხოლოდ (— მხოლოდ!), შვავდებოდა და სასტიკად როგორ მიძიდ და მჭრელი წყალი დედამიწაზე, და მერეც, 40 დღის შემდეგც, მათულობდა წყალი დედამიწაზე ას ორმოცდაათი დღე“.

„წარღვნის წყლის დონის ზრდა და მატება გრძელდებოდა 150 დღის განმავლობაში, ანუ.... მაშინ მატება უმაღლეს დონეს მიაღწევდა მეშვიდე თვის, მეჩვიდმეტე დღეს, ანუ ჩვენებურად აპრილის თვის ბოლო რიცხვებში“,

და ჯერ კი მთელ ორმოც როგორ-გრძელ დღე-ღამეს ცის როგორჩამოქუფრულ-განხვნილისაც სარკმელებიდან ჩამოდიოდა წყალი და წყალი, მრისხანედ როგორ ამეტყველებული და სევდანარევიც კი, რამ, რა გრძელი რამ-არს 40 დღე... აი, ვთქვათ, გინდაც ამა-დღევანდლებმა? — რამდენიც გინდა, მაგალითი... აი, მთლად ბავშვობაში, როცა შესვენების ზარს მხოლოდ ხუთილა ნუთი აკლდა მკაცრი მასწავლებლის რიდით როგორ უჩუმრად, დიდად შეკითხვითური მოძრაობით ამოტირალებული ხელის-გულისა მეშვეობით ვეკითხებოდი საათთანსა, თანაკლასელს:

„რამდენი დარჩა?“

და ისიც, ხუთ თითს გვაჩვენებდა, და, როგორ იქვე, ჩვენთავანი: „ახლა, რამდენი?“ —

ოთხი თითი...“

და როცა სამ თითს მოგვადირსებდა მერე აღარ ვეკითხებოდი რადგან დასვენებისთვის ვითომც-დასვენებისეულ გეგმებს ვანყობდი და, მთელი ორმოცი დღეინდელი ის თქმური დრო კი, წყალით ძალიან, განმზანელი, კიდობანისა და მისი შიგანის, როგორ რაძენლად გადიოდა ნოესთვის, ალბათ კი არა, მართლა, ხოლო ორმოცი დღის შემდეგ?

„გაიხსენა ღმერთმა ნოე და ყოველი ცხოველი, ყოველი პირუტყვი, მასთან ერთად რომ იყო კიდობანში“; —

„...გაიხსენა ღმერთმა ნოე“... ეს სიტყვები გავიგოთ ღმერთისადმი საკადრისი მოწონების აზრით და არა იმ უხეში მნიშვნელობით, როგორც ეს სწვევია ჩვენს უძღურ ადამიანურ ბუნებას“ — იოვანე ოქროპირი: „რას ნიშნავს გაიხსენა? — გულმონყალებად გადმოხდა ღმერთმა ნმინდანს, რომელიც კიდობანში ცხოვრობდა, შეებრადა იგი, როდესაც ის ამგვარად მძიმე და შევიწროებულ მდგომარეობაში იყო, და არ იცოდა რითი დამთავრდებოდა მისი უხედურება. ღმერთის მიერ მისი მონების გახსენება, ნმიდა წერილის ენაზე ნიშნავს აღთქმის აღსრულებას და შეპირებული ჯილდოს ბოძებას — დაბადება XIX, 29; გამოსვლა II, 24“.....

და „მოავლინა ღმერთმა ქვეყნად ქარი“... ყოველად ძლიერია ღმერთის ხელში, ღრუბლების გამფანტავი ძლიერი ქარი რომელიც ან წარღვნის შეწყვეტის საშუალებას წარმოადგენდა ან ბუნებრივი მიზეზი იყო.... ღმერთი იყენებს ბუნების მოვლენებსა და კანონებს, რომლებიც მან დაადგინა, როგორც მისივე ნების აღმასრულებელი იარაღი“



და „დაიგმანენ უფსკრულის წყაროები და ცათა სარკმელები“... წარღვნის შეწყვეტის მიზეზი სრულ შესაბამისობაშია მისი წარმოშობის მიზეზებთან“.

„წარღვნის მატების სურათის პარალელურად ეს მუხლები იძლევა მისი (წარღვნის) თანდათანობით შეწყვეტას, წყლის საწყის კალაპოტში და ბუნებრივ საცავში დაბრუნების არანაკლებ სურათს. დაბადების აღმწერი მიუთითებს დეტალებზე, კერძოდ“.....

მაგრამ ამაზე, „განმარტებანი“ თ, შემდგომ, ხოლოკი, წარღვნა, აკი გრძელდებოდა მთელ ორმოც დღესა და ორმოც ღამეს და, X, X, X, X, I დღეს, გათენებისას, რომ ამოვარდა ღმერთით ქარი და გაფანტა ღრუბლები და თუმცა კიდობანს ქარი არ შეხებია მაგრამ გრძნობდა ნოე რომ მიაცურებდა მაინც კიდობანს მწყალობელი ღვთით, ძალი, და, შესცოდა ნოემ რადგან გაიფიქრა:

„როგორც იქნა“... — ღმერთმა იცოდა საქმე-თავისი, ხოლო

აკი რა ძნელად გადის ციციქნი-ვითო-მაც, ნუთი, გინდაც მერე, მოზრდილობისას, როცა გადავწყვეტთ რომ სიგარეტის მოწევა საათში მხოლოდ ერთხელ უნდა ჩავიდინოთ და, რაძენლად გადის, ამ შხამისაც კი მონატრებაზე ის მთელი, გრძელი, როგორ წელვადი სრულიად-ნუთი და ხოლო ნოეს, ღვთით გადარჩენისა-კენ-და-სათვის რა სულსწრაფად მსწრაფს, როგორ ბედნიერს გაეხარებოდა რომ შეწყდა უკიდევანო ისი, თქმში, და და იმ შეწყვეტილ ხმაურთან ერთად წვიმის წვეთების გადაღებას ზედა სარკმელიც დაარწმუნებდა, ნოეს, რომლის

„კიდობანს არ გააჩნდა გვერდითი სარკმელები (და არა გვერდითი შიდა გალიები) საიდანაც შეიძლებოდა წარღვნის პერსპექტივის დაწახვა და მასში სინათლე აღწევდა ერთადერთი გაჭრილი ზედა სარკმლიდან“ — „დაყუდდა წყალი“, შეწყდა, კი, წვიმა

მაგრამ, ეკ, მერეც „მატულობდა წყალი დედამიწაზე ას ორმოცდაათი დღე“ — წარღვნის წყლის დონის ზრდა გრძელდებოდა 150 დღის განმავლობაში ანუ ხუთ თვეზე ოდნავ მეტს, ხანს, იმორმოცი დღის ჩათვლით, რომლითაც დაიწყო წარღვნა... მაშინ მატება მიაღწევდა უმაღლეს დონეს ჩვენებურად აპრილის თვის ბოლო რიცხვებში“.

და, იმ ორმოც დღეს რომ დაემატა, 150, ნოე კვლავ იჯდა უსუსურად კიდობანში და სანამ გამორწმუნდებოდა ზემოთა სარკმლიდან მთათა მწვერვალები და ეს მოხდებოდა ივლისის შუა რიცხვებამდე მანამდე კი იმ ჯერაც უხილავი მწვერვალებისაკენ როგორ-საშვები მიზანდასახულებით მიაცურებდა კიდობანს-ნოესი რარიგმწყალობელი მაგრამ ერთხელაც არამცთუ დაწახვება არც ჩამოსწვდენია ნოეს მისი ხმა, ნოეს-ბოლომდე-გამოსაცდელს, მაინც, და ხოლო ნოეს კრინტიც არ დასცდენია საყვედურისა-იმ, რომ მივიწყა, ღმერთმა რადგანაც გრძნობდა, ჯერ კიდევ როდის, როდიდან, თავისი მღზრდელი-დიდებითი მოკიდებული და თ-თი მერე გრძნობდა, ნოე, ღმერთს,

ძალიან გრძნობდა, და თუმც მოპატარაო და უნებური ცოდვებიც ახლდა ნოეს იმ გზაში ხოლო იმ ცოდვებს კი არ სჩადიოდა სიტყვებით და საქმით მაგრამ გულსხმის-ყოფით, ჩადიოდა, ის მერე რა რომ გამორჩეული, — ადამიანი,ცი, იყო ნოე,

მაგრამ თან ჩადიოდა, შევებად, პირუტყვებთან და წყალით შეხელილ ფქვილს, ნედლ ცომს გამოზოგვით უზიდავდა, კი, უდებდა ქვამარილს ზოცა, უფენდა ბალახს თივად ქცეულს და მაგრამ მარაგი წყალისა იკლებდა და იმ წარღვნაში ნოე და მისი ოჯახი და სულიერები-მისი ერთადერთები იყვნენ ვისაც-რომლებსაც თვით წყალიც კი ენატრებოდათ, მეტი, და ნოემ ჯერ კიდევ როდის შეწყვიტა მინისეული საზრდოს მიღებამდე იდაყვიდან ჩამოყოლებული ხელებისდაბანა წესისამებრ და, განიცდიდა, ამას,

მაგრამკი ნოეს ღმერთის ხმა თუმცა არ გაუგია მაგრამ ი მ ის ი მოციქულების — გინდ ჯერ არამყოფთა, ადამიანებთან, და მაგრამ ძალიან-როგორ მომავალების? — ხმას როგორ გრძნობდა, კი, ძალიან კი, და, დამწუხრებულს, როგორულ შევებად ჩამოესმა ნოემ თუმცა აბა რა იცოდა იგი მაგრამ ნმიდა მარკოზის, მოციქულის, ქრისტესსას, თავად:

„ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ“ — ვინ მათს, და იმათ ვინც უზანელი ხელით ჭამა უსაყვედურა კი არა და მთლადაცუქიდურეს ურჯულეობად ჩაუთვალა მის მონაფეებს ეს რადგან არამცთუ მერე, ატლანტიდაშიც ფარისევლებს რა გამოლევდა რომელი ფარისევლებიც —

„ფარისევლი: იესუს დროს არსებული ერთ-ერთი ყველაზე უფორ მნიშვნელოვანი რელიგიური ჯგუფის წევრი. ფარისევლები ცნობილი იყვნენ იმით რომ მკაცრად იცავდნენ და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მოსეს რჯულს“,

და, სადუკეველებისაგან განსხვავებით „მათ სწამდათ სულის უკვდავება, მკვდრეთით აღდგომა, მომავალი ცხოვრება“ მაგრამ

„მათი მსახურება ძირითადად გარეგნული წესების შესრულებით შემოიფარგლებოდა“, ხოლო მარკოზის სახარებებით ხმა ჩამოესმა ნმიდა მარკოზს, როგორი მკვეთრი და მკაფიო და როგორი აღსავსე სათნოებით ხმა, ჩამოესმა:

„ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ“ — ანუ იმათ, ვინც უზანელი ხელით ჭამდა უსაყვედურა კი არა და მთლადაც უკიდურად

დურეს ურჯულოებათ ჩაუთვალა მის მონაფეებს, ეს, —

„რამეთუ ფარისევლებსა და ყოველთა ჰურათა უკუეთუ არა იდაყვით განდაიბანნიან ხელნი, არა ჭამიან“, და ასეც ასწავლიდნენ ატლანტიდელსაც ქურუმები და უხუცესები ანუ, გვეპატოს და აზრობრივად-ბოროტისაგან რა ნახნიშარნი ყოფით, ქურუმები,

ხოლოკი დიდად მიღებულ-იყო სასამელებისა და თეთრეთლისაც სასაჩვენებლოდ რეცხვა-გარეცხვა და ვერცხლის თასების გაპრიალება თვალის-მომჭრელსა აბზინებამდე-ფრიად, და როდესაც ნიშნისმოგებით ჰკითხეს თვით ძე-კაცისას თუ „რა სათვის მონაფენი შენნი არა ვღენინ მოძღურებისაებრ ხელისაგან მოქმედებნიარა? —

და აქ ნოესაც კი ჩაესმა პასუხი იმის, თვით თავად მისი, რომელიც უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, იყო, და რომელმაც როგორ ჯერ კიდევ ახლაც

„ჰრქუა მათ“, რომ — „რამეთუ კეთილად თქუა ესაია წინანარმუტყუელმან თქუენ ორგულთათვის, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ერი ესე ბაგთა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულ-ნი მათნი შორად განმოიხუტული არიან ჩემგან“,

და ასევე იყო, კი, როგორ-მანამდელს ატლანტიდაშიც და მერე როგორ, აჰ რა ხობები იცოდნენ მამა-ღმერთისადმი თუკი გაუჭირდებოდათ ხოლო კერპებისადმი როგორ-უნყვეტილვ რაებს აღარა აღავლენდნენ ორი ბატონის ვითო-მსახურები და ისიც ვითომც მითო-ფარეშები, ეს, რადგან

„ამაოდ მსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა“

ხოლო ეს იყო ის, რომ, რაც დაიდგინა თვით უფალმა-ღმერთმა თავად თავისთვის, — რომ:

„ალარ დავეყვლი მინას ადამიანების გამო“..... მაგრამ ამაზე, შემდგომ,

„და დაგიტყვების მცნება დმრთისა და გიპყრიეს მოძღურება კაცთა განცხრა (რეცხვა) სასუმლებისა და სხვასა ესეკითარსა მრავალსა ჰყოფთ“ —

აჰ როგორ გულდაგულ-საგულდაგულოდ (მაგრამ ამისათვის ჯერ გული ნამდვილად უნდა გქონდეს) აპრიალებდნენ ბროლის თასებს თუ ვერცხლის ფილებს, ხოლო თვით მომავალი წინასწარ-როგორ-მეტყუელი, მოსეს იმ მცნებას, რომლის მიხედვით

„პატივ-ეც მამასა და დედასა შენსა; და რომელმან ბოროტი თქუას მამისათვის გინა დედისათვის, სიკუდილით მოკუდინ“ მაგრამ,

„და არა უტყვევებ მათ მამასა და დედასა ყოფად“

რაც კიდევ მეტად დაგვისაბუთა და განგვანათლა თვით იესუთი, მახარებელმა მათემ,

და, მივყვით მარკოზს, თუ რა თქვა თვით ქრისტემ, ამ ჭრელსა ქვეყნად იესუდ როგორ მოვლენილმა,

„არარა არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი; არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“

მაგრამ თვით მონაფეებიც ვერ ჩახვდნენ ქრისტეს ამ სიტყვებს თქმული იესუთი და, მერე კი, როცა შევიდა თავის სენაკში, დროებით შინს, — უბრალო მეტად, ნაგებობაში მაგრამ ეს მხოლოდ შესახედად, მონაფეებმა მასწავლელს სთხოვეს ახსნა ამა-ნათქვამის, და, იესუმაც, მცირე გაკვირვებით და დატუქსებით, ასე

„ჰრქუა მათ: ეგრეთვე თქუენცა უფულისხმოვე ხართა და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს?“

გაოცებული შეჩერებოდნენ, მონაფეები, თვით მომავალი დიდად ნმიდა მოციქულები იმ-ერთის გარდა, ხოლო იესუმ: „რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად და განსავალით განვალს და გასწმედს ჭამადსა.“

შეავლო, უხმოვ მდგართა და გარინდულებს, თვალი და რა მრისხანედ დაამატა რადგან „იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამომავალი შეაგინებს კაცსა, რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთასა გამოვლენან გულის-სიტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლ-ვანი“,

დალილა ბედიანიძე

შიშველ სხეულზე მოსხმული
„ყარყუმნი უსაპირონი“
და ამის დამწერს სდიოდა
პირიდან ალბათ მირონი.

ვარდზე ნამი აიკინდა,
ნიშანია დილისაო,
ღმერთო, შებრალება გქონდეს
ჩემისთანა შვილისაო.

მზე მოკლეკაბიანი გოგონაა,
რომელსაც ეზოში თამაშით დალილის
დედა ეძახის შინისაკენ
და ისიც მიდის ფეხათრევიტო,

ნაბიჯ-ნაბიჯ განვლე ბენვის ხიდი.
ძალი ყფეს და ქარავანი მიდის.
ო, სიცოცხლე ზეიშია დიდი.

ვითვლი წუთებს და ვითვლი ნაბიჯებს,
თვეებს და დღეებს ვითვლი და ვითვლი.
ქარებს ვენდობი, როგორც ძმა-ბიჭებს,
რომ აიტაცონ სიცოცხლის მითი.



რის სიყვარული, რა სიყვარული!
სიყვარული რომ არსებობდეს,
ქვეყნად ამდენი ცოდვა-ბრალი
ალბათ აღარ იტრიალებდა.

სიტყვებს ქარივით გახედნის რითმა
და ჩასხამს ლექსის მყუდრო ბუდეში.
ჰპოვა სავანე ლექსებში მითმა,
ჰპოვა სიტყვებმა ლექსში ნუგეში.

სიტყვით ძლიერით ავიდგი ენა,
სადაც სიტყვაა, მეც რად არა ვარ.
სიტყვებს ქარივით გახედნის რითმა
და ჩაუდგება ლექსს სათავეში.

რომ აღარა ვარ თვრამეტი წლისა,
სამწუხაროა, სამწუხაროა.
თვრამეტი წელი დაუდგა ვისაც
და ვინც ჩემს ნაცვლად ქვეყნად ხვალ მოვა,

როგორც საათის დიდი ქანქარა,
მზე სველმა ქარმა გადააქანა.
მზე დასაველისკენ გადაიხარა,
ზღაპრული, როგორც ხარი ნიქარა.

ამაშორე სენი
ძნელი მოსარჩენი,
ო, უფალო, დამიფარე,
შეისმინე ჩემი!

სიძულვილით ვერ იცხოვრებ,
ასეთია ჩვენი წესი,
ნურც მარგალიტს უყრი ლორებს,
სხვა მონახე, უკეთესი!

გამარჯვების დროშეებით
აგვიყვავდა ალუჩები.

არავინ იცის, რა ხდება წყალქვეშ,
როცა ლოტოსზე ცრემლები ბრწყინავს
და როცა ტალღა ტალღას სცემს ნაგეშს,
როცა ბატონობს ხმელეთზე ყინვა.
არავინ იცის მტკივან ფესვების
წამალი, მინის ქვეშ რომ არიან
და აკრძალული ქვეყნად წესებით
თაგვები ხრავენ – გაგიხარია!
არავინ იცის, ზეცის სიღრმეში
კიდევ რამდენი მზე მიმალულა
და ჩვენი მზე კი დაღლილი ხვნიშის
და გაუმართავთ სხივებს მარულა.
არავინ იცის, სად ზის სიკვდილი
ჩასაფრებული და მოთარეშე
და ქრება სული ისე, ვით ჩრდილი,
აქ ყოველივე კვალის გარეშე.
არავინ იცის, ღმერთი სად არის,
იგი შენს გულში ეძებო უნდა
და გული სკდება ნალმის სადარი
და გული დნება, ვით თოვლის გუნდა.

ძლივს დაუხსნლტი მშფოთვარ ვნებებს,
დრო დამიდგა განრიდების.
ბუხრის პირას ისვენებენ
დაქანცული ქარიტები.
ქარიშხალმა ჩაიარა
და დატოვა შავი კვალი
ყავა გნებათ? ჩაი? არა?
მოვუხუჭოთ დარდებს თვალი.
სიტყვა სიტყვას აკლდება და
სიტყვა სიტყვას ემატება.
აი, ვილაც დაიბადა,
აი, უკვე ვილაც კვდება.
სიყვარული, სიხარული –
რა ვინატრო უფრო მეტი
და მზეთა ქვეშ სიარულით
ცის კარს ვუტევე გამოკეტილს.
ღმერთო, მომეც კარგი „ხვალე“
და შორს სცილა-ქარიბდები!
დღეს – ვისვენებ, დავილაღე.
ისვენებენ ქარიტები.

ახლა, როცა...

ახლა, როცა ყველა გამოცდა
ასე, თუ ისე, ჩაბარებული მაქვს
და არასასურველი არდადეგები მიახლოვდება –
სიბერის არდადეგები მიახლოვდება –
სიბერის არდადეგები...



ახლა, როცა უკვე ძალიან კარგად ვიცი,
რომ საახალწლო საჩუქრები თოვლის ბაბუას არ მოაქვს
და რომ ბავშვებს კომბოსტოში არ პოულობენ,
არც წეროებს მოჰყავთ...
ახლა, როცა ის დაღლილობა მიახლოვდება,
სიკვდილის ძილი რომ უნდა მოჰყვეს
და ავტობუსის ფანჯრიდან მტკვარს რომ გადავხედავ
სამსახურში მიმავალი,
ქარონის ნავი მელანდება გაღმა მოტივტივე...
ახლა, როცა სარკეში ჩახედვა აღარ მიხარია
და არავის თვალეში ჩახედვა აღარ მიხარია,
რადგან იქ სიყვარულს ვერ ვპოვებ...
ახლა, როცა დაცოტავდნენ მეგობრები და მტრებმა
იმატეს,
ბუნვის ხიდზე გამავალი უფსკრულს თვალს ვარიდებ,
რომ სიმალისგან თავბრუ არ დამესხას და არ
ჩავევარდე...
ვიცი, ყველა მოკვდავია, მაგრამ, უფალო,
ის მაინც მაცალე, ბუნვის ხიდი მშვიდობით გავიარო
და მშვიდობით მოგეახლო,
როცა ვიგრძნობ, სიცოცხლე აღარ შემიძლია და
მეძინება.

— სად იყავი?
— აბანოში!
— რა იპოვე?
— ოქროს ქოში.
ვიპოვე და გამიხარდა,
არ გამაჩნდა არცა გროში.
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი,
ეს ცხოვრება ასე მიდის.
ჩითის კაბას, პერანგს მოვის
ხან გაყვიდი, ხან – ვიყიდი.
ყველაფერი, რაც კი ხდება,
ბედია და ბედისწერა.
დაძველება, განახლება
ენაცვლება ერთურთს ჯერაც.
— სად მიდიხარ?
— განა ვიცი!
გზას მიყვარებ უსასრულოს.
არც მაცილებს, არც ვინ მიცდის,
შენს ამარა დავრჩი, სულ.
თეთრი დღე და შავი დღეა
ჩვენდა წილად დადგენილი.
გზა? აქ მხოლოდ კლდე და ღრეა...
მზე? აქ მხოლოდ არის ჩრდილი.

ღაბიუტი

ღამეა ახლა,
უბრალოდ ღამე...
უბრალოდ სძინავს
უბრალო ქალაქს...
გამოპარულა
ზეციდან მთვარე
და სარკმელს თავის
ნათებას ჰპარავს...
მოლაღურია,
ტოტზე რომ დახტის,
ხმით ვიცანი და
ფრთების შრიალით...
ზაფხულის ღამე,
ნიავე არ ქრის...
წვიმებო, რისთვის
დაგვიგვიანდით?

იცვლიდა ტალღა ათასგვარ რითმას,
მზე ჰორიზონტის ხაზზე ეკიდა...
ველოდი ღიმილს, ან სულაც სიტყვას
დღეს, სანამ ღამე არ მომიკიდა...
ქარმა გაშალა დროშად შენი თმა,
მე ეს ვიცოდი და უფრო ვგრძნობდი,
როგორც მონაფემ, ქარის შეგირდმა,
ვინამე მარცხი, მაგრამ არ გთმობდი...
რადგან დათმობა არ შემიძლია,

ლაშა ჯაიანი

მარცხია თავად ფიქრი ასეთი,
ზღვაზე დამწვარი წამი ნისლია
და სიკვდილია სახელი ერთი...
შორს, სადაც ნაძვი ნაძვს მიკრობია
და სიმფონია ზღვის ისმის მხოლოდ,
გადიწერება ეს ისტორია
და რას დანერენ, არ ვიცი, ბოლოს...
მე მოგატყუეთ, როს ვთქვი — დამთავრდა,
არ დავიცლები რადგანაც მუდამ...
ზღვამ ყველა ტალღა ააქაფქაფა
და ჩაიდინა ის, რაც მას სურდა...

აღამიანი

აღამიანი იყო,
აღამიანი არს...
ჩვენ ვერ გავიგებთ
ჩვენს
შექმნის მიზეზს
და არსს...
აღამიანი რბის
და რიტმს აყოლებს დროს.
აღამიანი ცის,
ცას მის
შენვენას სთხოვს...
აღამიანი რა?
აღამიანი ვინ?
უკან მოხედვა
თუ?

მუდამ სვლა
წინ და წინ...
აღამიანი იყო,
აღამიანი არს...
ჩვენ ვერ გავიგებთ
ჩვენს
ანმყოს,
მომავალს,
მრწამსს...
აღამიანი დრო,
აღამიანად ქმნა...
აღამიანი ვინ
და უფრო მეტად რა!

ზანტად ლოცულობს გამძლარი ბერი,
ალბათ ჩათვლენა სწყურია.
კვირადღის წირვას მოადგა ერი,
ხუთშაბათს მარხვა დაკარგულია...
გრილია ზეცა, მაგრამ მახინჯი.
იქნებ არაა, ის რაზეც ვფიქრობთ?!
მე ორმოც წამსაც აღარ დავიცდი,
ამ ორმოც დღეში მე მოვკვდი თითქოს...
წკრიალებს ზარი, ხალხი შუბლს იხეთქს,
უცქერენ ისე, ვით ერთ დროს კინოს,
მამა ჩიფჩიფებს დაზუთხულ სიტყვებს
და თვალს ადევნებს სისხლისფერ ღვინოს...
ზანტად ლოცულობს ერი და ბერი
ყველას ცხოვნება სწყურია,
გადავსებული წმინდა ნივთებით
გაკვირვებული ვაჭრობს ურია...

დასაწყისი №69

თამარ იაშვილი

თაგაუპი წესების გარეშე

ამჟამინდელი ჯერჯერობით ისევე საშა გამყრელიძის ქვერცხის ნაამბობს უბრუნდება:

„ერთხელ სახინკლში ხელსაწმენდზე საშაზე ლექსი დაწერა. საშა სახლამდე მოაცილა და ლექსი მე გადმომცა. ნავიკითხე და გადავიჩინე. ნიკო ამასთან ამბობდა, ნახე, ჩემ დაწერილ ლექსს რა შეუძლიანო! მე რე მანუგებებოდა, თუ ეს ნუგები იყო: ასეთი პატიოსანი და ცრემლივით მთრთოლვარე კაცი ჩვენს ქვეყანაში დიდხანს ვერ იცოცხლებსო“. როგორ არა ჰგავს ნიკოს საქციელს! ამას ამ ესსეს ავტორი მთელი სხეულითა გრძობს და ვინც ნიკოს კარგად იცნობდა, ისიც დაემორჩილა. ნუთუ, შეშინდა ნიკოს, მართლა არ დაექირათ და ასე უნიჭოდ და ულაზათოდ დადგა ეს სცენა? დირბელის შვილიშვილი ნიკოს შემინებას ვერასოდეს დაიჯერებს, რადგან მისთვის ის გაუტყეველი სული ადამიანია, ან იქნებ, ორჯერ ციხეგამოვლილმა ნიკომ ჭკუა ისწავლა და უფრო პრაქტიკული გახდა? სწორედ ეს არის ამ ესსეს ავტორის თავსატეხი. სიმართლე კი მხოლოდ ნიკომ იცის... იცის და კიდევაც რომ გვეთამამებოდა, ახლა აიღებს და ამ ლექსს თავის ბელეტრისტულ თხზულებაში ჩართავს. იქ ვინმე ქმრის მოლაღაპრე და ქმრისგან უღმობლად მოკლულ ქალს მიუძღვის და მის სამარეზე ამოკვეთავს:

„ის კამკამებდა, ვით ცრემლის გუბე ალალი გულის ფიქრებით სავსე...“ („შეხვედრები და სინანული“. გვ. 217. 1995 წ.)

მოსწონს ნიკოს ეს ლექსი... უნდა, რომ თავის თხზულებაში გამოიყენოს, სხვა ადგილი ვერ უპოვა, თავდაცხვდება: სად ქმრის მოლაღაპრე ცოლი და სად ალალი გულის ფიქრები? ამიტომაც ბოლოში გამართლებასავით დაამატებს — „ლაღაღაპრის ღამეს ეს ქედმოხრილი სტრიქონები როდი სჯეროდა“...

ამ ესსეს ავტორმა ნიკოს პატიმრობაზე კარგა ხანს არაფერი იცოდა, მაგალითები უწილავს ოჯახში ამ თემაზე საუბარს გაუზრდინენ. თუკი, როცა გაიგო, არ გაჰკვირვებია. ის უფრო გაუკვირდებოდა, ნიკოსავით თავისუფალი სულის ადამიანი იმ ავტორის ნაწარმოებს, რომლებსაც ნიკოს იცნობდა. დედის არქივში გაუგზავნულ ბარათს წააწყდა, ლექსად დაწერილ. 1944 წლის მარტია... საშა ფრონტზეა, ნიკო — ციხეში. 15 წლის ლეილა წერს:

პოეტ ნიკო სამადავილი
პირველად შენგნით მოძღვნილი
ალბომზე გაიბნა ჩემი ლექსის რითმები,
მუდამ მიყვარდა შენი ლექსები,
კვლავ მონატრული მათი ვიქნები.
შენ აქ არა ხარ, შენ ლექსის რითმებს
თავისუფლების ვერ ბერავს ქარი.
და შენს რვეულზე, სავსეს რითმებით,
ალბათ, ედება მტკვერი მწუხარი.
„ნაძვები კუბოს კვლავ აქროლებენ
და ყვავილებიც კვლავ
მოაქვთ ქარებს,“
ლაღად დარჩენილ ნაძვებს შრიალს
შენი ლექსები თავს რომ აფარებს.
იქნებ, შენ მანდაც უმღერო გრძობებს,
უძღვნი ლაყვარდებს წარმტაც
სტრიქონებს,
იქნებ, ქმნი ლექსათა და
რითმთა ბალებს,
ხან გასაღებებს, ხან დასაღონებს.
მანდ, სადაც სული სევდით
იმტვრევა,
სადაც სიბნელე აკვილებს გულებს,
იგონებ, ალბათ, წარსულ ცხოვრებას
ან დავიწყებულს, როგორცდასულს.
ან თბილისიდან მობერილ ნიავს
მკერდს გადაუშლი,
ალბათ ვედრებით;
ეს, სადღა ნახავ საშა დირბელსა,
ბინდზე დაცილილი ალავერდებით.
ან ძმაბიჭების სად ჩანს ქეიფი,
ალარ დაპქრიან გიჟი ეტლები,
ეს, ცხენებია თავაშვებული,
ეს, ცხენებია გასახედნიები.
შენი ოცნება თბილისს გაგონებს,
მწარე ფიქრში ხარ, ალბათ,
გართული,
იქნება ყანით ღვინო გწყურია,
ლექსად ამოსთქვა ტკბილი
ქართული.

ეს ბედი არის მონათე ტანჯვის,
სევდას ველარ ცვლის ბასრი კალამი,
დავწერე, მაგრამ სად გამოვგზავნო,
ჩემი მადლობა, ჩემი სალამი.
ამ დღიდან არც ისე შორს არის ის
მნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც

დირბელის ვენახში ქეიფს უკავშირდება. ყველაფერი კი ასე იწყებოდა:

ლეილას მეგობრები ჰყავს ოჯახში მიპატიუებული: რეზი თვარაძე და თამაზ ჩხენკელი. ბევრი აქვთ საერთო, სამივე ლექსებს წერს, პოეზია უყვართ, ერთმანეთს საკუთარ ლექსებს უკითხავენ, ლიტერატურაზე საუბრობენ... საერთო მეგობრები ჰყავთ. მოგვიანებით ლეილას ქალიშვილი დედის ხელნაწერებში სახუმარო ლექსებსაც აღმოაჩენს, რომლებსაც ერთმანეთს სწერდნენ: დღეს რეზი თვარაძე ვნახე, თამაზ ჩხენკელს ახალი ლექსი დაუწერია:

ჩემთან აღარ მოდიხარ,
აღარ მატკობ ღიმითა,
ჩემო კარგო დოდიკა,
ნეტავ რა მოვივიდა?
აღარა მატკებ ლხენა,
შენ კი დასდევი ყინებს,
შემოგველე შენა,
ნეტავ რა გაწყენინე?
პასუხი არ იგვიანებს, ლეილას დღეობის შემდეგ იფურცელი მეორე დღესვე დაწერა: რამე მწარე დავუწეროთ საპასუხოდ თამაზს, — მეუბნება დოდი. — კარგი, ვეთანხმები მე, მაგრამ იმ პირობით, თუ არ გააჩხელ, რომ ჩემი დაწერილია, ვითომ შენ დაწერე...

ლექსი დაგინერია,
მიჯავრდები რაღაზე,
თამაზ, მონატრებისარ
პლესხანოვის „ლაზაზებს“.
გინებო, ურჩევისხართ
ბაიროს და გივინს,
მე თუ დავდევი ყინებს,
ამით შენ გაწყენინე?
ლექსად დაგინერია,
ეს შენი სამდურავი,
შენ თუ რამე გეწყინა,
მოგიკვდა ჩემი თავი.
17. 10. 46 წ.

...ახლა სწორედ რეზისა და თამაზს ელოდება ლეილა. მამა არ არის სახლში. დედა სამზარეულოში ფუსფუსებს, ლეილა სუფრას შლის. მოულოდნელად საშა მიდის სახლში. ოთახში გაშლილ სუფრას რომ დაინახავს, იკითხავს, ვინმეს ველოდებითო? — არავის, სადილობას ვაპირებდითო, — პასუხობს ლეილა. — ძალიანაც კარგია, ამბობს საშა და სუფრას მიუჯდება. მეცაც (მამა) საშა და ბედავს ლეილა სიმართლის თქმას, ვითუ, გაბრაზდეს მამა, რადგან მას არ დაეკითხა და ისე მიიწვია სახლში ბიჭები. ეს ის წლებია, ყმანვილკაცების სტუმრობა ქალიშვილთან ცუდ ტონად რომ ითვლება... ის კი არა და, ქალები და ვაჟები სხვადასხვა სკოლაში სწავლობენ.

გარედან იძახიან... საშა დგება და კარებს აღებს. ძალიან კი გაუკვირდება ბიჭების დანახვა, მაგრამ როგორც ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესი მოითხოვს, სახლში შეიყვანს, სუფრასთან მიიპატიუებს და საუბარს გაუბამს. გამოჰკითხავს ვინ არიან, რას საქმიანობენ. მოსწონს ბიჭები... ბოლოს გამოიორკვევა, რომ ლექსებსაც წერენ. მაშინ ნიკო სამადავილზე ჩამოუგდებს სიტყვას. რეზი და თამაზი ნიკოს არ იცნობენ, მაგრამ მისი ზოგიერთი ლექსი უკვე მოსმენილი აქვთ ლეილასგან.

საშა ბიჭებს პირდება, რომ ნიკოს აუცილებლად გააცნობს. უხარია საშას, ნიკოს ერთი კარგი „პოეზიის საღამო“ უნდა მოუწიოს, ცოტა გახალისდებაო. ლეილას კი საყვე-



ალექსანდრე მაგალოლიშვილი



დურობს: თუ ასეთი კარგი ამხანაგები გყავდა, აქამდე რატომ არ გამაცანიო? რას წარმოიდგენს, რომ ამ ბიჭებიდან ერთ-ერთი — თამაზ ჩხენკელი წლების შემდეგ, გაარღვევს ყველაწარ ბარიერს და ნიკოს რამდენიმე ლექსს დაბეჭდავს გაზეთში, იმ ლიტერატურულ გაზეთში, რომლის რედაქტორიც რეზი თვარაძე იქნება...

1967 წლის 28 ივლისს, ნიკოს გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ, აღსრულდება მისი ოცნება. ამას თავად ნიკოც ვერ წარმოიდგენს, როცა დირბელის ვენახში ლეილას მეგობრებთან, შვილისტოლა ბიჭებთან იქეიფებს.

...ღვინო, სადღეგრძელოები, ლექსები... ხარობს ნიკო, უყვარს ახალგაზრდები პოეტურ სიტყვას რომ აფასებენ, სულიერ სიასხოვეს გრძობს მათთან. სიამოვნებით კითხულობს საკუთარ ლექსებსაც... რა იცის, რა მნიშვნელოვანი დღეა მის ცხოვრებაში. რას წარმოიდგენს, რომ სწორედ ამ ახალგაზრდებმა უნდა უპატრონონ მის პოეტურ მემკვიდრეობას, ეს ქოჩორა ბიჭი კი, ახლა მის გვერდით რომ ზის, სწორედ ის თამაზ ჩხენკელია, წლების შემდეგ (1973 წ.) ნიკოს ლექსების კრებული გამოცემას რომ მიანდევს და წინასიტყვაობასაც თავად წარუთმევს რამდენიმე ახალი სულაკაურთან ერთად; რომ ეს ბიჭი იქნება მისი მეორე კრების რედაქტორ-შემდგენელი როსტომ ჩხეიძესთან ერთად...

ახლა ნიკო ქეიფობს და ხარობს და, ვგონებ, სულაც არც კი აქვს დაწერილი თავისი ბელეტრისტული თხზულება „შეხვედრები და სინანული“, რომლის ერთ-ერთი რედაქტორთაგანი ისევე და ისევე თამაზ ჩხენკელი იქნება. რა იცის ნიკომ, რომ სწორედ ახლა, ამ ვენახში, ამ ხის მაგიდასთან ხდება ავტორისა და მისი მომავალი რედაქტორ-შემდგენელის პირველი შეხვედრა. ეს რომ იცოდეს, სხვა თვალთ შეხედავს მას, ახლაც და შემდეგაც, სხვა მრავალი შეხვედრებისა თუ საუბრების დროს, ...მაგრამ რას წარმოიდგენს, რომ თავის სიცოცხლეში ვერც ერთ ლექსს ვერ იხილავს დაბეჭდილს, და, რომ ამ ბიჭის იმედადღაა დარჩენილი მთელი მისი შემოქმედება.

და იქნებ ახლა, სულაც სათვალავში ჩასაგდები არცა ჰგონია ეს დღე. თუმცა, ის დაუფინყარი აღმოჩნდება თამაზ ჩხენკელისთვის... ავი ნახევათი საუკუნის შემდეგ გაიხსენებს ერთ-ერთ რადიო-გადაცემაში: ნიკო სამადავილი საშა მაგალოლიშვილმა გამაცნო, სადაც ბაღში ნაგვიყვანა საქეიფოდო. ეს მე რე იქნება, ახლა კი ის ნიკოს ლექსებს უსმენს, მაგიდაზე ჩამწკრივებულ თიხის დოქებს შეჰყურებს, საშა მაგალოლიშვილის ხელით დაწერილი „ნამდვილი“, მაგარი ღვინით რომ ივსება დაცლისთანავე და ფიქრობს, როგორ ჰგავს ნიკოს ლექსებს „გაუცრელი თიხისაგან გამომწვარ ასიმეტრიულ დოქებს, რომელთაც თუმცა ამწვევით კოფრები და ზოგჯერ მომტვრეულიც აქვთ ტუჩი ან ყური, მაგრამ რომლებშიც პოეზიის შეურყენელი, მაგარი ღვინოა ჩასხმული“.

ფიქრობს და, თავის ამ ფიქრს კარგად იმასვორებს, რომ შემდეგ, პოეტის პირველად გამოქვეყნებულ ათიოდე ლექსს მიწანწერად დაურთოს; მაგრამ, ეს ჯერ თვითონაც არ იცის... ესევე ავტორი ისევე ბავშვობისდროინ-

დელ ზმანებას გამოიხმობს:
— გამარჯობა, პაპა ნიკო!
— რაო, რისთვის დამიძახე?
— მართლა წესების გარეშე წერდი?
— ვინა თქვა ეგა?
— დედაო.
— შო, ეგრე ამბობენ. შენ რა, სულ წესებით თამაშობ? ვერ გამოგია, ეგ წესები ვიღამ დაადგინა; თანაც წესებისა არაფერი გამეგებოდა, როგორც მეწერებოდა, ისე ვწერდი; როგორც მედარდებოდა, ისე ვდარდობდი...
— თუ წესებისა არა გაგეგებოდა, რისთვისღა წერდი?
— ეჰ, შენ რა იცი, რა შეუძლიათ დარდებს...
ამ ესსეს ავტორი მაშინ ვერაფრით მიმხვდარიყო, დარდებს რა შეეძლოთ.

ნიკომ კი იცოდა, აბა, მასზე უკეთ ვინ იცოდა „რა მწარეა, როცა სიმთვრალესთან ერთად მთვრალი დარდებიც აგეტორღილაღებიან, გულზე გეჭიდებიან, საფეთქლებს გიხურებენ, ნეკნებს გიმტვრევენ, თვალში შუქს გინრიტავენ, მუბლის ძვალზე გასკვებიან, სხეულს გიმღვრევენ...“ და მერე, გსურს თუ არა გსურს, უწესო, თავაშვებული ბავშვბივით ცვივიან გარეთ, ზოგი წვიმის გუბებში ჩანოლილა და ზოგიც ლაყვარდებს გადავლებია... და თუნდაც კეტი სდო, მაინც ვერ დააოკებ...

ახლა ის უგრობამდე უნდა დათვრეს, რომ აღარაფერი ახსოვდეს და არაფერმა შეაშფოთოს... ღვინო აქარავს დარდს.

ამ ესსეს ავტორი, წერის არჩეული სტილის მეშვეობით, მუდმივად ღვინის სარდაფში „აბრუნებს“ ნიკოსა და საშას, მაგრამ ეს მისი ახირება არ არის; უბრალოდ, ავტორმა საქმე გაიადვილა, რომ თავისუფლად ემობრავა სივრცესა და დროში, და თან ხელიდან არ გასხლტომოდა, ყურადღების მიღმა არ დარჩენოდა მათი ზოგჯერ ცხოვრების ნირი:

„ის ყოველ ღამე დაეძებდა
ტიალ სარდაფებს,
თითქოს ცისმარე დღე შოთავადა
და ითოროდა,
შთამომავლობა მის ცხოვრებას
რას დაიჯერებს,
კაცი, რომელიც სულ ღვინოში
იფუფქებოდა.
რომ მას შეეძლო პოეტური
უმანკოება,
მინას ურბენდა, დედამინის
უარყოფელი,
არ დაგივებდა, თუ უქმებად
ედგა დროება,
ან თუ სივრცეებს გაყმოდა
სუთისოფელი.
ვიდაც ღიღინით ჩემს საფლავზე
ბალახს გათიბავს,
იტყვის რა კრულვით დაილუპენ
მამა და შვილი,
თან კლდის ნატებს ზე მიანწერავს
ოღნავ ირიბად:
(აქა მარხია ჩვენი ნიკო სამადავილი).
(აქა მარხია ჩვენი საშა
მაგალოლიშვილი).

და მაინც, ვინ იყო ის, ვინც ყოველ ღამე ღვინის სარდაფებს დაეძებდა, — ნიკო თუ საშა? — ერთი და მეორეც, ეს ლექსი ორივეს ცხოვრებას ერთნაირად შეესაბამება. ლექსის გამოქვეყნებულ ვარიანტში მხოლოდ ნიკო სამადავილი წერია, ალბათ, ხელნაწერში ასე იყო... მეორე ვარიანტი ამ ესსეს ავტორმა მიანწერა, რადგან ნიკო ასე კითხულობდა მას საშასთან დასწრებით. ისევე გვეთამაშება ნიკო... ხელს ისიც უწყობს, რომ სახელები და გვარები ადვილად ენაცვლება ერთმანეთს მარცვალთა თანაბარი რაოდენობის წყალობით, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს „სამადავილი“ უფრო უკეთ ერთიმეა „მამა და შვილს“, ვიდრე — „მაგალოლიშვილი“, მაგრამ განა ნიკო ამას დაგიდევდათ, სწორედაც რითმებს არ უწუნებდნენ?! საშა თვითონ არ წერდა ლექსებს, მაგრამ სულით საოცრად პოეტური ადამიანი იყო. კარგად განვითარებული პოეტური ინტუიციის წყალობით ადვილად იკვლევდა გზას ნიკო სამადავილის პოეტური შემოქმედების რთულ ლაბირინთებში.

ერთხელ ნიკოს უკითხავს: რატომ არ წერ ლექსებს, მგონია, კარგად გამოგივაო.

საშას უპასუხია: აგერ შენ და აგერ ლეილა, განა ერთი ოჯახისთვის ორი პოეტი საქმარისი არ არისო?

ზომბირთი დიდი მწერალი იმ ბიბლიურ პატრიარქებს ჰგავს, რომლებიც ხანგრძლივი მომთაბარე ცხოვრების შემდეგ პოულობდნენ ნაყოფიერ მიწას, თესავდნენ ხორბალს, ამენებდნენ ვენახს და მოთმინებით ელოდნენ, როდის გამოიღებდა მინა ნაყოფს... ფოლკნერისთვის ასეთი მინის ნაგლევი მისი სისხლის შტატის პატარა ქალაქი ოქსფორდი აღმოჩნდა, მოსავალი კი - შემოქმედება... იქ გაატარა ცხოვრების უდიდესი ნაწილი. თხუთმეტი რომანისა და სამოცდაათზე მეტი მოთხრობის მოქმედება თითქმის არ სცილდება 24000 კვ. მილის ფართობის იოკონოპატოფას საგრაფოს, რომელიც თავისი პატარა ქალაქ ჯეფერსონით ძალიან ჰგავს მწერლის მშობლიურ ქალაქს. მოგვიანებით ფოლკნერი შეადგენს თავისი ფანტაზიით შექმნილ საგრაფოს რუკას, გამოთვლის მის მოსახლეობას და გაუკეთებს წარწერას — „მისი ერთადერთი მფლობელი უილიამ ფოლკნერი“.

მაგრამ ვიდრე დაფუძნდებოდა ოქსფორდში, ვიდრე დაიწყებდა წერას იმაზე, რასაც ყველაზე უკეთ იცნობდა, ვიდრე შერეულ ანდერსონისაგან მიიღებდა დარიგებას: შენ სოფელური ბიჭი ხარ და ყველაფერი, რაც იცი, ის პატარა ბილიკია მისისიპიში, საიდანაც ხარ წარმოშობით, მაგრამ ესეც სრულიად საკმარისიაო, ფოლკნერს უნდა განეცადა ხელმოცარული პოეტის უსიამოვნო გრძნობები, პირველი მსოფლიო ომისგან მიღებული მძიმე შთაბეჭდილებები... მისთვის არც ომის შემდეგ ევროპაში მოგზაურობა აღმოჩნდა მაინცდამაინც სახარბიელო, ევროპაში, რომელიც სულიერი ფასეულობების რვევით გამოწვეულ იარებს ჯერ კიდევ იშუშებდა...

თუმცა თავად ფოლკნერს არ უყვარდა „ფოლკნერზე“ საუბარი. ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „ჩემი მიზანი ისაა, რომ ჩემი ცხოვრების ისტორია ჩაეციოს ერთ სტრიქონში, რომელიც ერთდროულად ნეკროლოგიც იქნება და ეპიტაფიაც... იგი წერდა ნიგებებს და მოკვდა“. თვით მას შემდეგაც კი, როცა უკვე საკმაოდ აღიარებული მწერალი გახდა, ნიუ-იორკისა და კალიფორნიის ლიტერატურულ წრეებში ტრიალს გაცილებით ერჩია ენადირა, ეთევზავა და მინა დაემუშავებინა თავის მშობლიურ ოქსფორდში. ფოლკნერი დაჟინებით იმეორებდა, რომ იგი საერთოდ არ იყო მწერალი და არ გააჩნდა არავითარი იდეები. ერთხელ კი, როცა რეპორტიორმა კითხვებით თავი მოაბეზრა, ასე უპასუხა: დავიბადე 1826 წელს. დედაჩემი იყო ზანგი მონა ქალი, მამა — ალიგატორი.

პირველი ნაწარმოები, რომლის წერის დროსაც მწერალი საკუთარ ძალებში დარწმუნდა, „სარტორისი“ იყო. მასზე მუშაობისას ფოლკნერმა იმ საყრდენ წერტილს მიაგნო, რომლის დახმარებითაც ფანტასტიკური სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვა შეიძლებოდა. ის მიხვდა, რომ შეეძლო საკუთარი პერსონაჟები არა მხოლოდ ფეხის წვერებზე ეტარებინა, არამედ ეიძულებინა ისინი, ჩრდილიც კი ჰქონოდათ. ის უკვე თავის პერსონაჟებს ისე ექცეოდა, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ეს იყო ფოლკნერის პირველი მწერალური „ნათობა“...

ფოლკნერი დიდ მწერლად პირველივე ნაწარმოებების გამოქვეყნებისთანავე არ უღიარებიათ. ამერიკის კოლეჯებში მეორე მსოფლიო ომამდე სემესტრში ერთ საათსაც კი არ უთმობდნენ მის შემოქმედებას, არადა, მისი ყველაზე ფასეული ნაწარმოებები „ხმაური და მძვინვარება“, „ავისტოს ნათელი“, „აბესალომ, აბესალომ!“ სწორედ 1929-1936 წლებში იყო გამოქვეყნებული.

სიცოცხლის ბოლოს ფოლკნერი დააჯილდოვეს ყველა იმ ჯილდოთი, რაც კი ადამიანმა მწერალური საქმიანობისთვის შეიძლება მიიღოს, მათ შორის ნობელის პრემიითაც. ამ პერიოდში მას უკვე სხვადასხვა უნივერსიტეტში ინვენიტ ლექციების წასაკითხად, პოლიფილიც იწყებს კინოფილმების გადაღებას მისი რომანების მიხედვით; დგება მისი პერსონაჟების გენეალოგიური კარტოთეკები; ინერება ასობით მონოგრაფია და მწერალიც იტყვის: ვფიქრობ, გარკვეული რაოდენობის ტანჯვას და უბედურებას ადამიანისთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს...

მართლაც, მთავარი ის კი არ უნდა


ყოფილიყო, ნაიბორძიკებდა თუ არა შემოქმედებით გზაზე უამრავი ბარიერის გადალახვისას, მთავარი იყო, შორს წასულიყო თავის სიბრძნეში და სიტყვებთან ჭიდილისას, ხანდახან მაინც დაევიწყებინა, არსებობდა თუ არა დრო. რაც შეეხება სირთულეებს, ტანჯვასა და უბედურებას, იქნებ მართლაც საჭირო იყო, რომ ადამიანს ისინი განეცადა, ვიდრე იზიემებდა გამარჯვებას — ტიტანური შრომის ნაყოფს?

მას შემდეგ, რაც ფოლკნერი სახელგანთქმული მწერალი გახდა, მისი შემოქმედების შესახებ უამრავი, ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულებებიც კი გამოითქვა. ზოგი მის რომანებში ფროიდის გავლენას ხედავდა, სხვებს კი არ მონონდათ მისი მეტაფიზიკა. მაგალითად, სარტორისი მიაჩნდა, რომ ფოლკნერის პერსონაჟები ევოლუცია არ ხდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწერალმა ტრიადიდან (წარსული, აწმყო, მომავალი) საერთოდ ამოავდო მესამე კომპონენტი — მომავალი, რის შედეგადაც აწმყო წარსულის აჩრდილებით დასახლდა, შეიქმნა გარკვეული დისპარმონია, ფოლკნერის პერსონაჟები კი ისეთი არაბუნებრივი გახდნენ, რომ შეუძლებელიც იყო, მკითხველს საკუთარი თავი ამოეცნო მათში.

რა შეიძლება, ითქვას ამის შესახებ? არსებობენ ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომელთა შესახებაც უბრალოდ „კარგის და ცუდის“ დონეზე

თემურ გაბუნია

სარტრი ფოლკნერის წინააღმდეგ



ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან მათ ავტორებს უფრო დიდი მისია ჰქონდათ დაკისრებული. ასეთ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება ფოლკნერი, რომელიც არასდროს ღალატობდა თავის ძირითად მრწამსს: ადამიანის სულის მოძრაობაში შეენიშნა რაღაც ახალი, რაც მანამდე შეუმჩნეველი იყო და მკითხველისთვის მიენოდებინა. ფოლკნერისთვის მთავარი ის კი არ გახლდათ, თუ რომელ სქემასა და მითს დაამუშავებდა, არამედ ის, თუ როგორ დაამუშავებდა, როგორ გაამხატვრულებდა და როგორ შეასხამდა ხორცს. ამ თვალსაზრისით კი მას ბადალი ნამდვილად არ ჰყავდა...


თუმცა, თავის მხრივ, სარტორისაც ჰქონდა სრული უფლება, რაღაც მოწონებოდა ან რაღაც არ მოწონებოდა ფოლკნერის შემოქმედებაში, რადგან მწერლის ზოგიერთი რომანის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მიცვალებულები უფრო რეალური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე ცოცხლები. თითქოს წარსული უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე აწმყო, თითქოს მომავალი საერთოდ არ არსებობდა...

„ფოლკნერის შეხედულება ქვეყნიერებაზე იმ კაცს შეიძლება შევადაროთ, ღია მანქანაში რომ ჩამჯდარა და უკან იცქირება, მაინც რას უნდა მივაწეროთ ეს უცარი თავდასხმა წარსულის... რომელიც, საუბედუროდ, არასოდეს იკარგება, ის ყოველთვის იქაა, თითქოს რაღაცას შეუპყრიაო?“ — სვამს კითხვას სარტრი.

მაინც რითი შეგვიძლია ავხსნათ ის ფაქტი, რომ ფოლკნერთან აწმყოში არეკილი წარსული ხდება სათავე ნგრევის, კატასტროფისა და ბოროტების? ან

რატომაა მის რომანებში აწმყო გატენილი რაღაც „ხერხელებით, საიდანაც წარსულის ამბები გაყინულნი, უძრავნი და მდუმარენი იჭრებიან მასში?“

ამ და კიდევ სხვა კითხვებს რომ ვუპასუხოთ, საჭიროა დავიწყოთ სულ თავიდან, ანუ იოკონოპატოფას ციკლის პირველი რომანით „სარტორისი“. რომანის პირველივე სტრიქონებიდან ჩვენ ვეცნობით მოხუც ფოლსს, რომელსაც ოთახ-



სარტორისის სული

ში შემოსვლისას თან შემოჰყვება გარდაცვლილი ჯონ სარტორისის სული, რომლის იქ, ოთახში, ყოფნაც უფრო საგრძნობია, ვიდრე ორი ცოცხალი ადამიანის. ის, ვინც კარგად არ იცნობს ფოლკნერის სამყაროს, შეიძლება გაცოცდეს, მართლაც რა არის ეს? რომანი აჩრდილებზე? რატომაა მიცვალებულის სულის ოთახში ყოფნა უფრო საგრძნობი, ვიდრე ცოცხლების? ალბათ, მსგავსი კითხვები აწუხებდა ფოლკნერის მკვლევარს, რობერტ კანტველს, როდესაც ის ქალაქ რიპლიში ჩავიდა, რათა ინფორმაცია მიეღო მწერლის დიდ ბაბუაზე, პოლკოვნიკ ფოლკნერზე, რომელიც „სარტორისის“ პერსონაჟის, ჯონი უფროსის პროტოტიპი იყო. პოლკოვნიკი ფოლკნერი 1889 წელს მოკლა მისივე პარტნიორმა რკინიგზის გაყვანის საქმეში. რობერტ კანტველი კი რიპლიში 1938 წელს ჩავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ნახევარი საუკუნე იყო გასული პოლკოვნიკის მკვლელობიდან, ხალხი მასზე იმ ლაპარაკობდა, როგორც ცოცხალზე, თითქოს ეს ლეგენდარული ადამიანი სადღაც მახლობლად მთაში იყო და მალე ჩამოვიდოდა. რობერტ კანტველი წერს: „როდესაც მე ვიკითხე პოლკოვნიკ ფოლკნერის შესახებ იქ (რიპლიში), ზუსტად ისეთივე გრძნობა დამეფულა, როგორიც „სარტორისის“ პირველი სტრიქონების კითხვისას, თითქოს გარდაცვლილის სული მართლაც სადღაც მახლობლად იყო“. ამრიგად, დღესაც ნათელია, რომ ფოლკნერი რაღაც სქემებისა და ფილოსოფიური სისტემების მიხედვით კი არ თხზავდა თავის რომანებს, არამედ ის უბრალოდ წერდა თავის წინაპრებზე, მშობლიურ ქალაქზე, ნაცნობ ადამიანებზე და უკვირდა, როცა მის წიგნებში ცდილობდნენ, ეპოვათ უფრო მეტი, ვიდრე მათში ჩააქსოვა, მას მოწონდა ისტორიების მოყოლა, ადამიანებისა და სიტუაციების აღწერა — ეს იყო და ეს.

ფოლკნერის ბევრი რომანი ამერიკის სამოქალაქო ომში დამარცხებული არისტოკრატიის შთამომავლების შესახებაა დაწერილი, რომლებიც „გმირი“, მაგრამ დამარცხებული წინაპრების აჩრდილებით დასახლებულ ქალაქში ცხოვრობდნენ. გავისხენოთ თუნდაც პოლკოვნიკ ჯონ სარტორისის ოთახი. ადრე იქ იმართებოდა მეჯლისები, ინთებოდა სანთლები, ახმინებდნენ ზანგები თავიანთ ინსტრუმენტებს. შემდეგ იმ ოთახს თითქმის აღარ ალებდნენ. კუთხეში მიგდებული გიტარა, ფორმინგი და კონტრაბასი, რომლის მტვრიანი კლავიატურა უტყვი მონმეები იყვნენ იმ შეწყვეტილი მასკარადისა, რომელიც არისტოკრატიული სამხრეთისთვის სამოქალაქო ომის დამთავრებისას გაჩერდა. რაღა დარჩენოდა ამ

სამხედრო ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდა თაობას, თუ არა ის, რომ თავისი „ტრიუკებით“ გაეკვირვებინა ახლობლები? თითქოს თვით ბავშვებსაც კი იმის დამტკიცება უნდოდათ, რომ სხვებისგან ყოველთვის გამოირჩეოდნენ. გავისხენოთ პოლკოვნიკის შვილიშვილი ჯონი, ბავშვობაში როგორ გაფრინდა საჰაერო ბურთით და როგორ გადმოხტა პარაშუტით. ეს სასაცილო ფათერაკი შეიძლება ერთგვარი გამოვლინებაც კი იყო იმ ბოლმის, რომელიც ომში დამარცხებული არისტოკრატიის შთამომავლებში დაგროვილი იყო. არისტოკრატია ამაოდ ცდილობდა, შეენარჩუნებინა თავისი მდგომარეობა და ტრადიციები. გავისხენოთ ქვენტინისა და კანადელი სტუდენტის დიალოგი, სადაც ქვენტინი დაჟინებით თხოვს თავის მეგობარს როზა კოლფილდს („აბესალომ, აბესალომ!“) დეიდა როზა კი არა, ქალბატონი როზა დაუძახოს (სამხრეთის ტრადიციისამებრ). კანადელ სტუდენტს მეგობრის გაფრთხილება წამდაუნუმ ავიწყდება და კვლავ დეიდას ხმარობს ქალბატონის ნაცვლად. ეს, ერთი შეხედვით, კომიკური სიტუაცია ტრაგიკულ ელფერს შეიძენს, თუ მას ასოციაციურად დავაკავებთ ქვენტინის კომპარატის თვითმკვლელობასთან. მან თავი სწორედ იმიტომ მოიკლა, რომ ვერ ეგუებოდა რეალურ სამყაროს, სადაც მისთვის ძვირფასი სულიერი ღირებულებები თანდათან ქრებოდა, სამყაროს, რომელმაც სამხრეთელი არისტოკრატია ქალბატონები ძველი დიდების აჩრდილებად და ჩვეულებრივ ქალებად აქცია. აი, რა უთხრა ერთხელ მას მამამ, რომელიც ლოთი იყო და აღარ შეეძლო ოჯახის მართვა: „წლების წინ სამხრეთში ჩვენ ჩვენი ქალები ქალბატონები გაგხადეთ. მაგრამ შემდეგ იყო ომი, რომელმაც ქალბატონები აჩრდილებად აქცია“ („აბესალომ, აბესალომ!“).

ეს ეპიზოდი ამკარად მიგვანიშნებს არისტოკრატიული სამხრეთის თავზე დატრიალებულ უბედურებაზე, რომელიც თავისი „გმირული“ წარსულის მფარველებითადა იკვებებოდა. უსუსლ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ომში დამარცხებული მამაკაცები თანდათანობით კარგავდნენ ოჯახის მართვის სადავეებს. აჩრდილებად ქცეულ ქალებს კი აღარ სურდათ დარჩენილიყვნენ „მირაჟულ ქალბატონებად“. მათში თანდათანობით პროტესტის გრძნობა ღვივდებოდა. ამ პროტესტის ნათელი გამოხატულებაა კედის გაქცევა ოჯახიდან („ხმაური და მძვინვარება“), ასევე იქცევა მისი ქალიშვილიც. მისი სიტყვები — თქვენთან ყოფნას ჯოჯოხეთში ყოფნა მირჩევნიაო — კიდევ უფრო აძლიერებს ამ პროტესტს და ახალი შტრიხი შეაქვს საერთო სურათის სრულყოფაში.

ამრიგად, სწორედ სამოქალაქო ომში დამარცხებისას გაჩერებული დრო ხდება ფოლკნერის პერსონაჟების მთავარი მტერი, მათი ტრავადიის მიზეზი. ასევე ის რომანტიულობაც, რომელსაც ისინი წარსულს მიაწერდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ოთხმოცი წლის მოხუცი ქალბატონი, დიუ პრე, რომელიც სარტორისების ოჯახის ერთგვარი მემკვიდრე იყო. მას უყვარდა ძველი ამბების მოყოლა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო რომანტიკული ხდებოდა წინაპართა „გმირული საქმეები“. მისი მეშვეობით ორი თავზეხელაღებული ბიჭის ყველაზე შავხელი ქმედებებიც კი ბრწყინვალე ლეგენდებად და მითებად იქცა. ამ ოჯახურ საუბრებს წინაპართა ცხოვრებაზე გადამწყვეტი როლი მიუძღვოდა ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ჩამოყალიბებაში. მათი სულელები ისევე ივსებოდა ილუზიებით „გმირობასა და სილამაზეზე“, როგორც ცარიელი ჭურჭელი — წყლით. მოხუცი დიუ პრე სწორედ ის არხი იყო, რომლითაც ეს ცარიელი ჭურჭელი ივსებოდა. აწმყოში კი სარტორისებისთვის ადგილი აღარ იყო. მოდიოდა ახალი დროება, თავისი ახლადგამომცხვარი „გმირებით“ — საქმოსნებითა და კომერსანტებით. და სწორედ მათში, როგორც ეს თომას ვულფმა ბრძანა: „სამხრეთმა ზურგი აქცია ყოველდღიური ცხოვრების სიბნელეს და სიმახინჯეს და დაიწყო გამოსავლის ძიება წარსულის დიად სილამაზეში, რომელიც არასდროს არ არსებობდა“.

დასასრული მე-16 გვერდზე

მწერალი

ლადო კილასონია

როგორც წესი, ჩვენი რესპონდენტებიდან ბავშვობაში თითო ლექსი, მოთხრობა ან ჩანახატი ყველას დაუწერია, მას კი ზრდასრულ ასაკამდე კალმისკენ ერთხელაც არ წასცდენია ხელი. ერთადერთი, რაგვის ანგარიშებს ინერდა. ამ ჩანახატებით სავსე ორი თუ სამი რვეული ჰქონდა, რომლებიც მერე ერთ-ერთ ტექსტში „გააცოცხლა.“ პირველი მოთხრობა — „მატარებელი“ 23 წლისამ დაწერა. პირველს მერე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ასე დაიძრა მისი მწერლობის მატარებელი. რაგვის სამყაროს, რომელიც მანამდე მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ლიტერატურის სამყარო დაემგზავრა და დღეს ცდილობს, ორივეგან გაიტანოს ლელო, ორივეგან თავისი სიტყვა თქვას. როგორ გამოსდის, მკითხველი შეაფასებს, ჩვენ კი დღეს ახალგაზრდა ავტორს, ლადო კილასონიას გავაცნობთ.

— რამდენადაც ვიცო, წერა სულ რაღაც 4 წელია დაიწყო, თუმცა უკვე 5 წიგნი გამოეცა. ახალგაზრდა ავტორისთვის ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის. შეიძლება ითქვას, საკმაოდ პროდუქტიული ხარ.

— მგონი, ზედმეტად პროდუქტიულიც. მეუბნებიან, რომ უნდა გავჩერდე, დავლაგდე და უფრო დინჯად მივუდგე საქმეს. ჩემს წიგნებს აჩქარება მართლაც ეტყობა, განსაკუთრებით, პირველს. ხასიათი მაქვს ასეთი — ძალიან ფატი-ფუთა ვარ და სწრაფად ვაკეთებ ყველაფერს, ამიტომ მოცდა მიჭირს. ახლაც კომპიუტერში იმდენი რამ მიდევს, ვერ გეტყვი: პიესები, დაწყებული და მიტოვებული რომანები, მოთხრობები, რომლებიც არ მომწონს... ერთი სიტყვით, უამრავი მასალა დაგროვილი. სხვათა შორის, მეექვსე წიგნიც მზად მაქვს და ველოდები, როდის დამიბეჭდავენ.

— რასაც წერ, ყველაფერს ბეჭდავ? — აქამდე ვბეჭდავდი. ახლა — აღარ. მას შემდეგ, რაც სალიტერატურო წრეებში მეგობრები გამიჩნდა, ჩემს თავს ცოტა კრიტიკულად ვუდგები.

— ხარვეზების მიუხედავად, ამ ტექსტების კითხვისას შენი ხმა ისმის. თუ ანალიზებ, ამას რა განაპირობებს?

— არ ვიცი. ვწერ ისე, როგორც ამას შინაგანად ვგრძნობ და როგორც მინდა, რომ ვწერო. ვინმეს დამსგავსებას არ ვცდილობ. რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე ყველა ვილაცას ბაძავს: ხან ერთ მწერალს, ხან — მეორეს. ეს იმიტომ, რომ საბოლოოდ საკუთარ თავს მიაგნო. ძალიან მინდა, ჩემი სტილი ვიპოვო, თუმცა ამას ალბათ წლები დასჭირდება.

— როგორია შენი რეაქცია, როდესაც ახალი თაობის ქართული ლიტერატურის წარმომადგენელს გინოვან? რამდენად მიეჩნია რაგვისტი ლადო კილასონია მწერალ ლადო კილასონიად მოხსენიებას და საერთოდ, აიგივებ თუ არა საკუთარ თავს ამ ცნებასთან?

— რომ გითხრათ, თავს საერთოდ არ მივიჩნევ მწერლად-მეთქი, ტყუილი გამოიგია, რადგან ხუთი წიგნი დაწერე და გაჩერებას არ ვაპირებ. ჯანსაღი ამბიცია მაქვს, ოღონდ ეს ამბიცია მხოლოდ ჩემთან რჩება. თუ ამას სხვა რალაცებიც მოჰყვება, კარგი იქნება, მაგრამ პრემიის მისაღებად ნამდვილად არ დაწერ. არც სკანდალად გამოვეყიდე. სხვათა შორის, ერთი რომანი, რომელიც დაწყებული მაქვს და რელიგიურ თემატიკას ეხება, ამის გამო ცოტა ხნით გავაჩერე. ალბათ, უფრო უნდა დაფიქრებდი, მაგრამ აუცილებლად დაწერ, აუცილებლად!

— არ ვიცი, რა ხდება შენს რომანში, მაგრამ ასეთ თემებს მართლაც ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. კლიშესგან ნებისმიერ გადახრას, მითუმეტეს, რელიგიასთან დაკავშირებულს, საზოგადოება ცოტა რთულად იღებს.

— არადა, სწორედ მაგის ნაკლებობაა დღეს საქართველოში. ვგულისხმობ სიმართლეს პროზაში. უამრავ თემაზე ვწერ, სატირა და პოლიტიკური კრიტიკა კი საერთოდ არ გვაქვს. რელიგიურ თემაზე დაწერილი ტექსტები, რომლებიც ფიქრისკენ მოგონებებს, ნაკლებია. ნორმალურ ტექსტებს ვგულისხმობ და არა ძალიან სკანდალზე გათვლილს.

— თუმცა „სუნსულეთში“ რაღაც მცდელობა გქონდა. ვგულისხმობ სატირას.

— სწორედ ამიტომაც მიყვარს „სუნსულეთი“, უამრავი რამის დანახვა შეიძლება, თუმცა ბევრი რამ იქაც ნაჩქარევად გვაგვკეთე. ახლა რომ დამენყო, ალბათ, უკეთესად დაწერდი.

— შარშანწინ შენი პირველი რომანი — „აბლაბუდას ზღაპარი“ გამოვიდა. მანამდე, ძირითადად, მოთხრობებს წერ-

დი. რა გახდა ამ წიგნში გადასვლის სტიმული, რამ გიბიძგა?

— სულ მეგონა, რომ რომანს ვერ დაწერდი, დიდი ფორმის მემიწოდდა. მერე აღმოჩნდა, რომ შემიძლება. „აბლაბუდას ზღაპარი“ თავიდანვე რომანად მქონდა ჩაფიქრებული. რომანი უნდა ყოფილიყო მოთხრობაც — „როცა უკვე დაგავიანდა“, მაგრამ არ გამოვიდა.

— ძალიან თუ მოინდომებ, ამ ნაწარმოებს შეიძლება მცირე რომანი უწოდო. სტანდარტულ მოთხრობაზე გაცილებით ვრცელია.

— რუსები ასეთ ტექსტს „I i āāññ“ -ს



ეძახიან. უცხოეთში დღეს სხვადასხვა „ხერხს“ მიმართავენ გამოცემის მოცულობის გასაზრდელად — წიგნის ყდას ამცირებენ, ველვებს ზრდიან და საშუალოზე დიდი მოთხრობიდან გამოდის რომანი, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. დღეს 600-700 გვერდიანი რომანები ნაკლებად იწერება, უფრო პატარა რომანები შემოდის, სწრაფ-სწრაფად საკითხავი. ცუდია ეს თუ კარგი, სხვა ამბავია, თავად ფაქტია ასეთი.

— ეს, ალბათ, უკვე ავტორზეც არის დამოკიდებული, რისი თქმა უნდა.

— რასაკვირველია, ძალიან არ უნდა განვლო სათქმელი. წიგნი თავისით უნდა დამთავრდეს, როგორც „როცა უკვე დაგავიანდა“ -ს შემთხვევაში მოხდა. რალაც ეტაპამდე რომ მივდი, მივხვდი, ერთ სიტყვასაც ვეღარ დაწერდი და წერტილი დავსვი. სხვათა შორის, ამ ტექსტზე მუშაობა ყველაზე მეტად გამიჭირდა. ყოველგვარი სიაზომების გარეშე ვწერდი.

— რატომ? — იმიტომ, რომ მოთხრობილი ამბების უმეტესობა რეალობიდანაა აღებული და ძალიან დამამძიმა. თან ზამთარში ვაკეთებდი, ციოდა, სიტუაციაც არეული იყო და ძლივს დავასრულე. ბოლო ნერთილი რომ დავსვი, ამოვისუნთქე.

— შენს ნაწერებში მოთხრობილი ისტორიები ძირითადად სინამდვილეს ეფუძნება?

— უფრო ფანტაზიისა და რეალობის ნაზავია, მაგრამ ნამდვილი ამბავიც ბევრია. მაგალითად, პირველი ორი მოთხრობა მამიდაჩემის მიერ მოყოლილ ისტორიებზე დაწერე. ეს იყო „მატარებელი“ და „დატირება ინგლისურად“.

— „როგორ წავიკითხე „განძის კუნძული“?

— ამ მოთხრობაში უამრავი სახეა შეერთებული, ერთ პერსონაჟზე არ ამიწყვიტე, თუმცა რეალური ფაქტებიც გამოვიყენე: ჩემს სოფელში მართლაც იყო კლდე, საიდანაც ველური თაფლი მოდიოდა; ბებიაც ეგეთი მყავდა, როგორც ტექსტშია გამოყვანილი; არსებობდა ადამიანიც, რომელმაც სათამაშო კაცუნებზე ამიხსნა „განძთა კუნძულის“ მთელი ძალთა განლაგება. თავად ამბავი გამოგონილია,

თუმცა შეიძლება მერე თავადაც დავიფიქრო ხოლმე, რომ მსგავსი რამ მართლა მოხდა.

— „რა შეედრება იმ სიაზომებს, როდესაც სრულიად მარტო ჭრქის შუქით განათებულ ოთახში გადაშლი წიგნს და სტუმრად მოინვევ ადამიანებს უხილავი სამყაროდან.“ ეს XIV საუკუნის იაპონელი პოეტის, კენკო-ხოსის სიტყვებია, რომელიც შენი რომანის, „აბლაბუდას ზღაპრის“ ეპიგრაფად გამოიყენე. ხშირად მოდიან შენთან უხილავი სამყაროს გმირები?

— თითქმის ყოველდღე. როგორი დალილიც უნდა მივიდე სახლში, არ არსებობს, ძილის წინ რამდენიმე გვერდი არ წავიკითხო, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო. მქონდა პერიოდი, როდესაც საერთოდ არ ვკითხულობდი და ახლა ვცდილობ, დაკარგული წლები ავიწინაზღაურო. ამის მიუხედავად, ყველაფერს თავისი დრო აქვს. წიგნები, რომლებიც ბავშვობაში უნდა ნამეკითხა, დღეს აღარ მაინტერესებს.

— ბავშვობაში ნაკლებად კითხულობდი?

— ბავშვობაში დედა მიკითხავდა

წიგნი თავისით უნდა დამთავრდეს

ძალიან ბევრს. ცოტა რომ ნამოვიზარდე, რაგვის თამაში დავინწყე და ბევრ რამეს მოვწყდი, მათ შორის, წიგნსაც. დიდი წყვეტის შემდეგ შედარებით მოზრდილ ასაკში „ოსტატები და მარგარიტა“ წავიკითხე. ამის შემდეგ აღარ გავჩერებულვარ. დღე არ გავა, რომ წიგნი არ გადავშალო. ორი რამეა ცხოვრებაში, რაც ძალიან მიყვარს და არ მზებურდება: კითხვა და რაგვი. რაგვი ჩემი სამუშაოა — ყოველდღე მოედანზე ვარ, ბავშვებს ვავარჯიშებ, სახლში რომ მივდივარ, როგორი დალილიც უნდა ვიყო, აუცილებლად ვკითხულობ. ამაზე მრავალფეროვან და საინტერესო სამყაროს სხვაგან ვერ ნახავ. აკუტავავას ჰკითხვს, კარგი წიგნი რა არისო და უპასუხა, კარგი წიგნი ის არის, რომელიც ადამიანს ოდნავ უკეთესს გახდის.

— შენი წიგნები ახერხებს ამას?

— არ ვიცი, მე არ ვწერ იმის გამო, რომ ვილაცას ვასიაზომო ან უკეთესი გავხადო.

— რისთვის წერ?

— ვერ გეტყვი, ამის ახსნა ცოტა არააბუნებრივად მეჩვენება. ვწერ იმიტომ, რომ სათქმელი მიგროვდება. ვწერ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია. ნამდვილად ვიცი, რომ ასე იოლად არ გავჩერდები.

— როგორც შენი ნაწერებიდან ვიგებთ, კიდევ ერთი საყვარელი საქმე გქონია — წიგნებში ქექვა.

— ძველი წიგნების თვალთვლა ახლაც ძალიან მიყვარს. ბუკინისტური მაღაზიებიდან შეიძლება 3-4 საათი არ გამოვიდე. ახლახან „ნიურნბერგის პროცესი“ ვიყიდე 2 ლარად, ასევე თაგორის ტომები. მეზობელი ყრიდა წიგნებს და ისეთი რალაცები ვიპოვე, თავად არ ველოდი. ძალიან სასიამოვნო პროცესია — თითოეულ წიგნს ხომ თავისი ისტორია აქვს, თავისი სურნელი, რომელსაც რალაც ეტაპზე შენც ეხები.

— თანამედროვე ქართული ავტორებიდან ვის კითხულობ, ვინ მოგწონს?

— აკა მორჩილაძე მიყვარს, განსაკუთრებით მისი „მოგზაურობა ყარაბაღში“. ერთხელ ქალაქიდან წასულს თან მქონდა ნაღებული და უამრავჯერ წავიკითხე, 9 თვე მე და ის წიგნი ერთად ვიყავ-

ით. ძალიან მიყვარს ბექა ქურხული, არჩილ ქიქოძე, ინა არჩუაშვილი, ირაკლი ლომოური და მისი „პარალელური საქართველოს ქრონიკები“. უფროსებიდან — ნუგზარ შატაიძე, რეზო ინანიშვილი და ოთარ ჭილაძე. ინანიშვილი განსაკუთრებით, რადგან ძალიან თბილია. ზუსტად თქვა მისი მოსულიმილომა, მაგის ორდობები მთელი საქართველო გამოეტევაო. სხვებიც მომწონს მაგრამ ეს ის ავტორებია, რომელთა კითხვა ყოველთვის მსიამოვნებს და უამრავ საჩემოს ვპოულობ.

— შენი მკითხველები ვინ არიან?

— ნათესავები და მეგობრები. პირველად დედა კითხულობს, მერე — სხვები. ბევრი მკითხველი მყავს-მეთქი, ვერ დავიტრახებ. ერთი-ორჯერ შემეპქეს, ჯერ არ გავუქიცხივართ, თუმცა ალბათ კრიტიკაც იქნება. ზოგადად, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენს ნაწერს ვილაც კითხულობს. ამ დროს ადამიანები ბევრ ისეთ აღმოაჩენენ ხოლმე, რასაც თავად ვერ ამჩნევ. ხშირად ისეთი რალაცები უკითხავთ, რაზეც წერისას საერთოდ არ მიფიქრია. ეს ბუნებრივია — წიგნი ხომ მანამდეა შენი, სანამ წერ. მკითხველის ხელში რომ ჩავარდება, უკვე მისია და როგორც უნდა, ისე წავიკითხავს, რასაც უნდა, იმას დაინახავს და ამას უნდა შეეგუო.

— საკუთარ ტექსტთან გაუცხოების მომენტი თუ გქონია?


— არის რალაცები, რაც ახლა აღარ მომწონს. ტექსტიდან ბევრი რამ ამომიღია, ბევრიც — კომპიუტერიდან არ „გამიშვია“. ყველაფერი არ უნდა დაიბეჭდოს.

— ახლა რაზე მუშაობ?

— ვმუშაობ ახალ წიგნზე სახელწოდებით „ფანტომის კვალდაკვალ ანუ ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“, რომელიც ნახევრად ფანტასტიკურ სიუჟეტზეა აგებული. ეს არის სათავგადასავლო რომანი დეტექტივის ელემენტებით. დაახლოებით ისეთი, როგორც ჩემი ბოლო რომანია. საერთოდ, ძალიან მიყვარს ასეთი წიგნების წერა, ჩამთრევის, სწრაფად რომ იკითხება.

— „დაე, ვერ მპოვოს ურჯულომ“ მართლაც ჩამთრევი წიგნია. თავად თამარის საფლავის ძიების თემა მომგებიანი. გაგიჭირდა მასზე მუშაობა?

— არა, ერთადერთი სირთულე პერსონაჟების ძველი ენით ამეტყველება იყო და კონკრეტული ადამიანების დახმარებით ესეც დავეძლიე. თემას რაც შეეხება, გამოვიყენე ოდნავ სახეცვლილი ლეგენდა თამარის დაკრძალვის შესახებ, დანარჩენი კი თავად გამოვიგონე. სამყარო, სადაც რომანის გმირები აღმოჩნდნენ, მთლიანად ჩემი შექმნილია, მეფეც მე ვიყავი, არქიტექტორიც და ისტორიკოსიც, ამიტომ ამ წიგნზე მუშაობა არ გამიჭირვებია. გაცილებით რთული აღმოჩნდა პირველი რომანის, „აბლაბუდას ზღაპრის“ წერა, რომელშიც სამეგრელოს აჯანყება ფიგურირებს. შეიძლება, წიგნი რომელიმე ისტორიკოსს წაეკითხა და შეცდომის დამტკიცება უხერხული იქნებოდა, ამიტომ ბიბლიოთეკაში ვიარე, უამრავი წიგნი გადავქექე და ამ თემაზე ბევრი რამ წავიკითხე.



დასასრული მე-14 გვერდზე

გაომცემელი

ელგუჯა თავბერიძე

შარშან მხატვარმა გოგი წერეთელმა ყველასთვის სასურველი სამტომეული მარჯა — მურმან ლებანიძის მიერ შედგენილი ქართული პოეზიის „შედევრები“ გამოცემის მხატვრულ ღირებულებებზე საუბარი, ვფიქრობ, ზედმეტიცაა. თუმცა აუცილებლად მინდა აღვნიშნო მისი ძალზე შთამბეჭდავი, გემოვნებით შესრულებული ვიზუალური მხარე და მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი. ბატონ გოგის ვკითხე კიდევ, ალბათ „შედევრები“ საზღვარგარეთ დაიბეჭდა-მეთქი და ძალზე გამივიწიდა, როცა ვავიკე, რომ გამოცემა ქუთაისის საგამომცემლო ცენტრს მოემზადებინა და მათივე სტამბაში იყო დაბეჭდილი.

დიდი ხანია, ამ საგამომცემლო ცენტრს ელგუჯა თავბერიძე ხელმძღვანელობს. ბატონი ელგუჯა ამავე დროს ათი წიგნის ავტორი და არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახლავთ.

— ინფორმაცია ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ძალზე მწირია. მიახლოებით, როდის და როგორ წარმოიშვა ცენტრის დაარსების იდეა და ვინ ედგა სათავეში ამ საქმეს?

— ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის დაარსების იდეა დაახლოებით ოცი წლის წინ გაჩნდა. იმ დროს, შეიძლება ითქვას, საგამომცემლო ინფრასტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში მოშლილი იყო და თუ ამ საქმეს შეეჭიდებოდი, ყველაფერი ნულიდან უნდა დაგვეწყობა. ასე რომ, ჩვენი ცენტრი ერთ-ერთი პირველი საგამომცემლო დაწესებულება გახლდათ, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა და რომელსაც თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ანუ სტამბა გააჩნდა. მართალია, გამოცემლობა და სტამბა საქმიანობის სხვადასხვა სფეროებია, მაგრამ ვფიქრობთ, აუცილებელია, თანამედროვე გამოცემლობას საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა ჰქონდეს, რათა საგამომცემლო საქმიანობის წარმართვა უკეთ შეძლოს, კონკურენციას წარმატებით გაუმკლავდეს და წიგნის გამოცემისას არამარტო მის მხატვრულ, არამედ პოლიგრაფიულ დონეზეც თავად იზრუნოს.

— რა არის ცენტრის მიზანი და რომელ ძირითად მიმართულებებს ეფუძნება თქვენი საგამომცემლო საქმიანობა?

— საგამომცემლო ცენტრმა შექმნილ სთანავე ქართული ლიტერატურის გამოცემა დაისახა მთავარ მიზნად. მოგეხსენებათ, ქუთაისში პროფესიონალი მთარგმნელების ნაკლებობაა, ამიტომ ყურადღება, ძირითადად, ეროვნული მწერლობის ნიმუშებზე გადამახვილეთ. მიუხედავად ამისა, მადრიდში თორმეტი წლის წინ გამართულ წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე სწორედ ჩვენი ცენტრის მიერ გამოცემულმა თარგმანმა — ეს ფედერიკ მარინის ლექსების კრებული გახლდათ — პლატინის ვარსკვლავი დაიმსახურა.


ძალიან ხშირად გამოცემთ სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომებს. წლების განმავლობაში ამ ჟანრის არაერთი საინტერესო წიგნი დაგებულა, მათ შორისაა ავთანდილ ნიკოლოშვილის, გიორგი მჭედლიძის, გივი ლობჯინიძის, ომარ ლანჩავას, პეტრე ვაჭრიძის, გურამ გაბუნიას, მერაბ კეზევაძის, ჟუჟუნა ფეიქრიშვილის, ტარიელ ფუტყარაძისა და სხვათა მონოგრაფიები, მეცნიერული გამოკვლევები, დამხმარე სახელმძღვანელოები და ა.შ.

— თქვენთვის, როგორც საგამომცემლისთვის, ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტებიდან რომელი იყო განსაკუთრებით საინტერესო?

— ბევრი წიგნის დასახელება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. ათიოდე წლის წინ რეზო ჭეიშვილის სამტომეული გამოცემა. რამდენადაც ვიცო, ეს საქართველოში განხორციელებული პირველი სასაჩუქრე გამოცემა იყო (იქამდე ე.წ. „ყუთში“ მოთავსებულ წიგნებს ქართველი საგამომცემლები თურქეთში ბეჭდებდნენ). ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა, დიდებული მხატვრის, გიორგი წერეთლის მხარდაჭერით შეძლო ამ პროექტის განხორციელება. სწორედ ბატონი გოგის დახმარებით სურვილი გახლდათ, რომ ჩანაფიქრისთვის ხორცი სწორედ ქუთაისში შეგვესხა და სამტომეული, როგორც სასაჩუქრე გამოცემა, ჩვენს სტამბაში დაგვებეჭდა. მოვახერხეთ კიდევ, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო და შთამბეჭდავი გამოცემა გამოვიდა. პროექტი რეზო ჭეიშვილის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა და გარკვეულწილად თავი მოუყარა მწერლის რჩეულ თხზულებებს.

დღეისთვის, საგამომცემლო ცენტრი ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა გამოცე-

მას აგრძელებს. არცთუ დიდი ხნის წინ მერვე და მეცხრე ტომები გამოვიდა. მკითხველი მეთექვსმეტე მალე მიიღებს. ძალზე საინტერესო იყო გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულზე მუშაობა. მოგეხსენებათ, გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ვაჟი იყო. თერგდალეულთა თანამოაზრემ საკმაოდ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. ის გახლდათ პოეტი, დრამატურგი, მწვავე პუბლიკაციების ავტორი. ცენტრის მიერ მომზადებული ორტომეული მწერლის ნაწარმოებთა აქამდე



„**ქუთაისის მკითხველი არასდროს აკლდა**“

არსებული ყველაზე სრულყოფილი გამოცემაა. პირველ ტომში მისი ნაწარმოებები შევიტანეთ, მეორეში კი შარვაშიძეზე დაწერილი ლიტერატურული-კრიტიკული და სამეცნიერო ნარკვევებია წარმოდგენილი. ესეც სასაჩუქრე გამოცემა გახლავთ, ორტომეული დაიბეჭდა გოგი წერეთლის ჩინებული მხატვრობით და მიეძღვნა დიდებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის 160 წლის იუბილეს.

— რამდენადაც ვიცო, ცენტრმა აკაკი წერეთლის 170 წლისთავიც შესანიშნავი გამოცემით აღნიშნა.

— დიახ, დიდი პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შევადგინეთ და გამოვეცით მისი ლექსებისა და პოემების რჩეული. ვიმუშავეთ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა საიუბილეო გამოცემაზეც. ნელს განზრახული გვაქვს ილიას რჩეულის გამოცემა, რომელიც მწერლის 175 წლისთავს მიეძღვნება. ამ საიუბილეო პროექტების იდეა ქალაქის კულტურის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს, გიზო თავაძეს ეკუთვნის. კულტურის სამსახურის მხარდაჭერით ამ მეთად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დღემდე გრძელდება.


— ვფიქრობ, ცენტრის გამოცემათა და განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მურმან ლებანიძის მიერ შედგენილი ქართული პოეზიის სამტომეული, სახელწოდებით „შედევრები“, რომელსაც პოეტის ნინასიტყვაობა ერთვის. იგი წერს: „...მომხიბლავი იდეის განხორციელებას ორი დაძაბული წელიწადი დასჭირდა. ცხოვრების გრძელ გზაზე მრავალგზის აზომილ-ანონი ფასეულობათა ხელახალი აზომვითა და ანონით, ჩემის ფიქრით, ძვირფასი წიგნი შედგა“. „შედევრები“ მართლაც ფასადუღებელია. ჩანს, რომ საგამომცემლო ჯგუფიც ძლიერ გაისარჯა მის გამოცემაზე.

— სამწუხაროდ, სამტომეული ბატონი მურმანის გარდაცვალების შემდეგ გამოცემა შედგენასა და რედაქტირებაში პოეტის მეუღლე — ქალბატონი ელენე ჭავჭავაძე იღებდა მონაწილეობას. იგი სიღრმისეულად იცნობდა ბატონი მურმანის მთელ შემოქმედებას, ნიუანსობრივად შეეძლო გაეხსენებინა და გადმოეცა ყოველი ფრაზის პოეტისეული გააზრება. სამწუხ-

აროდ, „შედევრებისა“ და მურმანის ექვსტომეულის გამოსვლას ვერც ქალბატონი ელენე მოესწრო. თუმცა ყოველთვის სჯეროდა, რომ ეს წიგნები მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაიბეჭდებოდა. აკი, ძლიერ მოსწონდა იქამდე გამოცემული ორტომეული, რომლის შედგენაშიც აქტიურად იყო ჩართული. მინდა გითხრა, რომ მურმან ლებანიძის წიგნების ქუთაისში დაბეჭდვა მხატვარ გოგი წერეთლის იდეა და სურვილი გახლდათ. მას შემდეგ, რაც ჩვენი ცენტრის მიერ გამოცემულ-დასტამბული ერთი ჩვეულებრივი წიგნი ნახა, დაგვარწმუნა, რომ მისი ჩანაფიქრის განხორციელებასაც შევძლებდით.

— თქვენს მიერ გამოცემული არაერთი წიგნის თავფურცელზე, — მხატვარი გიორგი წერეთელი, წერია. პროფესიონალ მხატვარ-ილუსტრატორებთან მჭიდრო თანამშრომლობა ნებისმიერი გამოცემლობისთვის მნიშვნელოვანია. მომხმარებლის ყურადღებას ხომ თავდაპირველად წიგნის გარეგნული მხარე იქცევს.

— გოგი წერეთელთან მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი გვაქვს. ჩვენი საუკეთესო გამოცემების მხატვრობა სწორედ მას ეკუთვნის. მალე გამოვა პოეტ



თეიმურაზ ლანჩავას ორტომეულიც, რომლის მხატვრობაზეც ბატონმა გოგიმ იმუშავა.

— კარლო ფაჩულიას მხატვრობა ამშვენებს თანამედროვეობის დიდი მწერლის ოთარ ჩხეიძის ორ რომანს — „მორჩილი“ და „ლაზერმოუ“. საგამომცემლო ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სხვა მხატვრებთანაც, მათ შორის ქუთაისელი ხელოვანებაც არიან — ჯავა ჭეიშვილი, ავთანდილ აბესაძე, არჩილ ჩოგოვაძე (კარლო ფაჩულიაც ხომ თბილისელ-ქუთაისელია) და სხვები. ვფიქრობ, წიგნი მხატვრობის გარეშე გაუსროლები ტყვიანა, მიზნამდე ვერმისული ტყვია.

— ისევ ავტორებს დაუბრუნდით... ალბათ, ამ წლების განმავლობაში არაერთ ქართველ კალმოსანთან გიმუშავათ. გვიამბეთ იმ შემოქმედებით კავშირებზე, განსაკუთრებით რომ დაგამახსოვრდით.

— სიამოვნებით გავისხენებ დღეებს, როცა ბატონ მაგალი თოდუას წიგნზე „ღვთისმშობელი და იესო სპარსულ პოეზიაში“ ავტორთან ერთად ვმუშაობდით. წიგნი სამად-სამი რამ ეწერა ქართულად: გამოცემლობის სახელწოდება, ავტორის ვინაობა და სათაური. მოგეხსენებათ, სპარსული ტექსტი მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება. მახსოვს, ბატონ მაგალის სტამბის თანამშრომლის ხალათი ეცვა და გვერდებს თვითონ ამონტაჟებდა. მერე სტამბის ერთ-ერთი მუშაკი გაარკვია რაღაც-რაღაცეებში. იმ დროს უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ, უამრავი საქმე ჰქონდა და ნასვლა მოუწინა. დილით, როცა დაბრუნდა და თანამშრომლის მიერ დამოუკიდებლად შედგენილი გვერდები ნახა, აღმოაჩინა, რომ ნახევარი შეცდომით იყო დამონტაჟებული. ისევ ჩაიცვა ხალათი და მუშაობას შეუდგა. შემდეგ, წიგნის გვერდების დაკეცვაშიც ჩაერთო. ასე, რომ ბატონი მაგალი არამარტო ავტორი გახლდათ წიგნისა „ღვთისმშობელი და იესო სპარსულ პოეზიაში“, არამედ რედაქტორიც, დამონტაჟებელიც, დამკეცავ-ამკინძველიც და ა.შ.

— კიდევ რამდენი რამ შეიძლება გაიხსენოს კაცმა... მაგალითად, ბატონი რეზო ჭეიშვილი წიგნს რომ შეადგენს, შენც დამეკითხება, მოგწონს თუ არაო, მერე იმ პრინციპსაც ვაგვიმხელს, თავად რომ

ხელმძღვანელობდა და მერწმუნეთ, მუშაობის მისეულ პრინციპსა თუ მეთოდს მსოფლიო საგამომცემლო პრაქტიკაში ანალოგს ვერ მოუძებნით. გარდა იმისა, რომ ის დიდი მწერალია, დიდი მოაზროვნეცაა. ნელს ბატონი რეზოს თხზულებათა შვიდტომეულის გამოცემას დავასრულებთ.

— ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის წვლილი ქართული წიგნის განვითარების საქმეში უდავოდ აღსანიშნავია. მაღალი პოლიგრაფიული სტანდარტის, თანამედროვე დიზაინის, უანობრივად მრავალფეროვანი გამოცემები გაქვთ. ზემოთ ბრძანეთ, რომ ცენტრის პრიორიტეტი უპირველესად ქართული ლიტერატურის გამოცემაა. საინტერესოა, რამდენად ადევნებთ თვალს ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებას და როგორ დაახასიათებდით თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს?

— ქართული ლიტერატურის ნიმუშებს ინტენსიურად გამოვცემთ, ვთანამშრომლობთ ახალგაზრდა ავტორებთანაც. მახსოვს, მესამეკლასელი სალომე ბენიძე დედამ გამოცემლობაში რომ მოგვიყვანა და მისი ლექსებით სავსე რვეული გადამოგვცა. იმ პატარა გოგონას პოეტურ თხზულებებში სწორედ ის მარცვალი, ის დვრიტა იდო, რამაც იმწამსვე მაფიქრებინა, სალომე მშვენიერი პოეტი გახდება-მეთქი. გაცნობისთანავე მიიქცია ყურადღება ეკა ქაჯაიას ლექსებმაც. ამ წლებში განმავლობაში არაერთ საინტერესო ახალგაზრდა ავტორთან მოგვინია თანამშრომლობა. მიხარია, ისინი დღეს მშვენიერი პოეტები არიან.

— დარწმუნებული ვარ, საგამომცემლო ცენტრის დაარსების შემდეგ, ქუთაისში და ალბათ მთელ რეგიონში ლიტერატურული ცხოვრება კიდევ უფრო გამოცოცხლდა. ასეა?



— ვერ გეტყვით საგამომცემლო ცენტრმა მთლიანად შეცვალა ჩვენი ქალაქის ლიტერატურული ცხოვრება-მეთქი, მაგრამ რაღაც სიახლე ნამდვილად შემოიტანა. ხშირად ეწყობა წიგნის პრეზენტაციები, იმართება შეხვედრები ავტორებთან, დიალოგები მკითხველთან და ა.შ.

— ქუთათურებს შორის „ხარბი“ მკითხველი, ლიტერატურის დამფასებელი ყოველთვის მრავლად იყო, აღარაფერს ვამბობ მწერლებზე, პოეტებზე, ლიტერატორებზე.

— ქუთაისის ჭეშმარიტი მკითხველი არასდროს აკლდა. მართალია, დღეს ისე აღარ ეტანებიან წიგნს, როგორც ადრე, მაგრამ ლიტერატურის მოყვარულნი, მისი დამფასებელნი მაინც შემორჩნენ. მოგეხსენებათ, ქუთაისის ცისფერყანწულთა ქალაქია, ეს კი ბევრს ნიშნავს — აქაურებს ავალდებულებს, სხვებზე მეტად უყვარდეთ ქართული მწერლობა, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამზიარებელი იყვნენ. რეზო ჭეიშვილის უთქვამს, ქუთაისის აულაგებელი სუფრააო. ეს სუფრები ერთგვარი ლიტერატურული ასპარეზობა გახლდათ, ქუთათურები საყვარელ მწერლებზე საუბარსა თუ ლექსების თქმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— ჩვენს ქალაქში ხშირად შეხვდებით მწერლობაში გათვითცნობიერებულ ექიმს, ინჟინერსა თუ სხვა სპეციალობის კაცს... ერთხელ ახალი გამოცემის — როსტომ ჩხეიძის „ქება სიზარმაცისას“ პრეზენტაცია პოლიკლინიკაში გავმართეთ. ყველას უყვირდა, ექიმებმა წიგნის გარშემო განა საყურადღებო რა უნდა თქვანო. თქვენ წარმოიდგინეთ, მედიცინის მუშაკებმა ისე საფუძვლიანად მიმოიხილეს მწერლის შემოქმედება და სიღრმისეულად ისაუბრეს წიგნის გარშემო, რომ, მართალი გითხრა, მე თვითონაც ვაკვირვებულ დავრჩი. ასე, რომ მწერალი და მისი დამფასებელი ამ ქალაქს არასოდეს მოკლებია.

— ალბათ ბუნებრივია, თუკი ჩვენს საუბარს დავით მიქელაძის მოგონებით განვავრძობთ. სამწუხაროდ, XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და ლიტერატორის ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ცოტა რამ იცის ჩვენმა საზოგადოებამ. 2009 წელს, საგამომცემლო ცენტრმა თქვენი ავტორობით გამოსცა ბიოგრაფიული რომანი „ნისლის ტიხარი“, რომელიც დავით მიქელაძეზე და მისი თანამედროვე ქუთაისის კულტურული და საზოგადოე-



ლალო კილასონია:

„ნიგნი თავისით უნდა დამთავრდეს“

დასასრული

— სიუჟეტი როგორ ააწყვე? — კარგა ხანს მქონდა ჩაფიქრებული „დონ ალექსანდრო დე ლა ვეგას ჩანანერების“ გაკეთება. მინდოდა ამაზე რაღაც დამენერა, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. ერთხელაც სახინკლეში მეგობრის მიერ მოყოლილმა ამბავმა დამაინტერესა. მაშინვე გამიჩნდა იდეა, ეს ჩანანერები ამ ამბისთვის დამეკავშირებინა. მერე სამეგრელოს აჯანყებისა და უტუ მიქვას თემა ჩავრთე. ამას მიება მოგზაური ნიგნის იდეა, რომელიც საიდუმლოს ატარებს და სიუჟეტიც შეიკრა. მოგვიანებით გადაწყვიტე, მეორე რომანიც დამენერა, რომელიც რაღაცით დაუკავშირდებოდა პირველს. ამასთანავე, სრულიად დამოუკიდებელი ნიგნი იქნებოდა. „დაე, ვერ მპოვოს ურჯულს“-ს შესავალში ვამბობ კიდევ, რომ ეს ორი ნიგნი ერთი ამბის სხვადასხვა ნაწილია. რომელია თავი და რომელი — ბოლო, მკითხველის გადასაწყვეტია. ამის მიუხედავად, ბევრმა ისინი ვერ დააკავშირა, მაგრამ დაკვირვებულნი თვალის საერთოს აუცილებლად დინახავს და პერსონაჟებსაც ამოიცნობს.

— როგორც ვხვდები, ერთი ტექსტიდან მეორეში პერსონაჟების გადაყვანა გიყვარს.

— ეს მე კი არა, ისეთ მწერლებს უყვარდათ, როგორც თომას მანი, ფოლკნერი, მარკესია... მასხოვს, როგორ მიხაროდა, მარკესის რომელიმე რომანში მისი მოთხრობის პერსონაჟს რომ ამოვიცნობდი. შევეცადე, ეს ხერხი ჩემს ნაწარმოებშიც გამოვიყენებინა.

— უკვე ორი სათავგადასავლო რომანის ავტორი ხარ. როგორ ფიქრობ, არის ეს ის ნიშა, სადაც შენი თავის პოვნა შესძელი?

— ვფიქრობ, ჩემი ნიშა ჯერ არ მპოვია. ხუთი ნიგნი დავერე და ყველაგან სხვადასხვანაირი თემატიკაა. ძალიან მსიამოვნებს სათავგადასავლო ისტორიების შეთხზვა. ამ დროს თავად ვხალ-

ისობ. აკა მორჩილადემ რომ თქვა, მწერლის სიხარული მოგონების სიხარულიაო, აი, ასე მემართება, მაგრამ არა მგონია, მართლ ერთი მიმართულებით შემოვიფარგლო. პირველი ორი რომანი მეტნაკლებად ისტორიულ ფაქტებს უკავშირდებოდა. მესამე, რომელსაც ახლა ვწერ, სრულიად განსხვავებულია — უფრო ფანტასტიკისკენ იხრება. გარდა ამისა, არის „აბელას ამბები“ და „ციხე“, „ლობი“ და „უსიზმრონი“ და ეს ყველაფერი ძალიან განსხვავებულია.

— ბოლო რამდენიმე წელია, შენი ცხოვრება ორად გაიყო — ეს არის სპორტი და ლიტერატურა. ამათგან ჯერ იყო რაგბი, მერე — მწერლობა. არ გიჭირს ორივეს შეთავსება? მით უმეტეს, რომ ჩვენთან სპორტის ან ნებისმიერი სხვა სამყაროდან მოსულ მწერალს ეჭვის თვლით უყურებენ. ზოგადად, ეს ორი რამ ერთად ადამიანებს ნაკლებად წარმოუდგენიათ.

— ვერ დაგეთანხმებით. ალბერ კამიუ ფეხბურთელი იყო, ნერდა ბრაზილიელი ფეხბურთელი სოკრატესიც. მეტს ვერ ვიხსენებ, ის კი ვიცი, რომ ერთი მეორეს ხელს არ უშლის. პირიქით, ეხმარება. ჩემს მოთხრობებში რაგბი ძალიან ხშირად ფიგურირებს. ზოგადად, ლიტერატურაში თემატიკას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, კარგად დანერო, კარგად კი იმაზე წერ, რაც ძალიან კარგად იცი. ეს თემა თავისთავად „იპარება“ ხოლმე ტექსტში და ბუნებრივია — როდესაც სპორტი შენი ცხოვრების ნაწილია, გულგრილად ვერ ჩაუვლი.

როგორ აღიქვამენ სპორტიდან მოსულ მწერალს ადამიანები ნამდვილად არ ვიცი, ეს მკითხველზეა დამოკიდებული, თუმცა ერთის იმედი მაქვს — ნიგნს რომ დახედავენ და შეიტყობენ, ავტორი რაგბისტიაო, იქნებ დაინტერესდნენ და ისიც წაიკითხონ, რაც შიგნით წერია. მოეწონებათ თუ არა, მათი გადასაწყვეტია, მთავარია, ჯერ წაიკითხონ.

ესაუბრა ნანა კობახიძე

ელგუჯა თავბერიძე: „ქუთაისის მკითხველი არასდროს აკლდა“

დასასრული

ბრივი ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

— XIX საუკუნეში უამრავი ლირიული ქართველი შვა. ისინი გამუდმებით უგდებდნენ ყურს სამშობლოს მაჯისცემას, არ ზრუნავდნენ პირად ბედნიერებაზე, არ იხსდნენ უქმად და არ ელოდნენ, როდის მოხდებოდა სასწაული — დაინყებოდა ეროვნული გამოფხიზლება. ამ ადამიანების მცდელობამ საბოლოო ჯამში, უდიდესი შედეგი გამოიღო. ბევრი მათგანის ღვაწლი სათანადოდ გამოიკვლია და დააფასა შთამომავლობამ, თუმცა არიან ისეთებიც, „ნისლის ტიხარის“ მიღმა რომ დარჩნენ. ერთ-ერთი იმათგანია დავით მიქელაძე — დიდი მამულიშვილი და ჩინებული პუბლიცისტი. „მეველეს“ ფსევდონიმით წერდა ერის ტკივილზე, კალმით ილაშქრებდა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. მიქელაძისა და დიდი ილიას პუბლიცისტური საზომები თითქმის ერთხვევად ერთმანეთს. დავითმა ფსევდონიმით უბრალო და საქვეყნო ტკივილის გამოხატველი აირჩია. მეველეს ხომ ნათესის, ბაღ-ვენახის მცველს ნიშნავს. ისიც გამორჩეული მცველთაგანი იყო, ერთგული გუშაგი მამულისა. მისი პრინციპულობა, გამბედაობა გადამდები გახლდათ სხვათათვის.

მართალია, „ნისლის ტიხარის“ შექმნამდე ელგუჯა მალრადის „მეველე“ უკვე დანეროლი იყო, მაგრამ იმ წლებში, როცა ის ნიგნი გამოიცა, ყველაფერს ღიად ვერ იტყვოდი. ბიოგრაფიულ რომანში შევეცადე, გამორჩეული ქართველი მოკალმე გამეცოცხლებინა.

— „ნისლში გახვეული“ სხვა ქართველი მამულიშვილების შესახებაც ხომ არ აპირებთ დაწერას?

— დათა მიქელაძის მსგავსად მივიწყებული ადამიანი უამრავია. ვფიქრობ და ალბათ ბევრი დამეთანხმება, XIX საუკუნის ქუთაისის ალქმა წარმოუდგენელია კირილე ლორთქიფანიძის, მამია გურიელის, გიორგი შარვაშიძის (მასზე ბიოგრაფიული ნარკვევი ამ რამდენიმე წლის წინ გამოვეცი) და სხვათა გარეშე. ალბათ მალე დავასრულებ მუშაობას

ბიოგრაფიულ რომანზე, რომელიც კირილე ლორთქიფანიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. ვფიქრობ, სათანადოდ შეუსწავლელი და შეუფასებელია, ასევე, ლავრენტი არდაზიანის ღვაწლი და დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე. მინდა ეს გვარ-სახელი ახლებურად გავაცნო ფულზე დახარბებულ ადამიანებს და მათაც, ვინც არასოდეს ყოფილა ვერცხლისმოყვარე.

— მასხოვს, თავის დროზე, დიდი ინტერესი გამოიწვია რომანმა „აირევი ივერია, ანუ ჯენტლმენ სოლომონ ამორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“, რომელიც ქუთაისის საგამომცემლო ცენტრმა გამოსცა.

— „სოლომონ ამორდიაზე“ დიდხანს ვმუშაობდი, წერითაც კარგა ხანს ვწერე. მუშაობის პროცესში უამრავი მასალა დამიგროვდა. ჩვენს არქივში, დოკუმენტებით სავესთორმეტი საქმიანობა. თითოეული მათგანი ამოვიკითხე და ამოვწერე. ოდესღაც ალბათ ამ დოკუმენტებსაც გამოვცემ. მოკლედ, „სოლომონ ამორდიას“ გაცნობის შემდეგ, მკითხველს გალაკტიონის პალინდრომის ნაკითხვისას აღარ გაუჩნდება კითხვა, რას ნიშნავს „აი დროშა, ამორდია“-ო. არადა, ჩემი დაინტერესება ამორდიათი სწორედ ამ ფრაზიდან დაიწყო.

— როგორც გამომცემელსა და მწერალს სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— როგორც მოგახსენეთ, წელს, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი ილიას თხზულებათა „რჩეულს“ გამოსცემს, დასრულდება რეზო ჭეიშვილის შვიდტომეულზე მუშაობაც, მკითხველს ნიკო ნოკოლაძის მეთექვსმეტე ტომსაც შევთავაზებთ. გეგმები ბევრია.

ლიტერატურულ საქმიანობას რაც შეეხება, სიტყმატურად ვწერ ესეებს აკაკიზე. ისინი წარმოდგენილი იქნება ნიგნში სახელწოდებით „ან განჯაში, ანდა საიქიში“. ახლახან დავასრულე პამფლეტი დათა ამორდიაზე.

ესაუბრა თამარ ჟურული



გურამ დოჩანაშვილი: კაცი, სახელად ნოე

დასაწყისი მე-6 გვერდზე

და, განაგრძობდა ჩამოთვლას უკეთურებისა, იმ, ასე პირთამდე რომ უკუდმართულად გამდიდრებულიყო ჯერ კიდევ ატლანტიდა და მერე როგორ:

„ანგარებანი და უკეთურებანი, ზაკუვანი, არანმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი.

ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა“.

ხოლო ნაყამას განსაკუთრებით სჩვეოდა, კი, მოსამსახურებისა თუ შემეტრფევი-ბისაგან მთლად გადახვევამდე „ორნამენტები“ გაპრიალებული სასმისით სასმელის შესმა ან საჭმელისა შეჭმა აბზინებული ჯამბიდან იმ პირითა რომელი პირითაც? —

სხვადასხვაგვარებს, სხვადასხვაგვარეებს, როგორძალიან სჩადიოდა,

და შეგვაცდინა მაინც, აქაც კი, აქაც, და ის არ სჯობს რომ ნოეს კვლავ უფრო მეტად დახვდებოდა? — არა, — რომ ახვდებოდა ის მერე რა რომ კიდობანშია, მოკუნტული,

და მაგრამ ნოე მარკოზის როგორძალიან მიმტევებლური გადმოცემის შემდგომ კი დაუბანელი ხელით რომ იღებდა თვით ღმერთის მიერ ნებადართულ და ნაწყალობევ, საზრდოს, სულ-ალარ ეთაკილეობდა ეს მაგრამ უფრო ძალიან ფიქრობდა იმაზე თუ რატომ შეურაცხპოფდა ადამიანი ასე და მეტიც, მთლად ნამდაუნუმ საკუთარსა პირს საკუთარსავე, მაინც — „თავისუფლება“ თი? — თავს,

ეს ენა იყო, მისი, თავისი ანუ სუყოველადამიანთა, ჩვენი,

რომელი ენის შესახებაც გამორჩეულმა მონაფეთაგანმა ქრისტესი რომელსაც ისე-

თი დიდად დიადი პატივი დასდო რომ ფერისცვალების გახადა, დამსწრედ, და ვისი სახელიც არამცთუ მცირე დასახლებებს და ადამიანებს დედაქალაქსაც ერთსაც კი-ჰქვია, დღეს,

„ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემო! უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი სასჯელი მოვილოთ“, —

მიმოვიხედოთ, დღესვე ამდღესაც, თუნდაც, —

არაა, ასე?

განვაგრძოთ, წმიდა იაკობით:

„რომელი სიტყვით (ქრისტეთი ანუ) არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს, შემძლებელ არს იგი აღვირ-ხსნად ყოვლისავე გუამისა (— . . . იგია სრულქმნილი კაცი, რომელსაც ძალუძს დაურევება თავისი ხორცის)“

და, „უკუეთუ ცხენსა აღვირნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა იგი, და ყოველი გუამი მისი მოეპციოთ“, — რაც: ჩვენ ლაგამით ვიურვებთ ცხენებს, რათა დაგვემორჩილონ და ჩვენს ნებაზე ვათამაშებთ მოთელს მათ სხეულს,

მაგრამ,

რა ძნელი იყო, ჩვე-კაცთამიერი „თავისუფლება“ თი, ეს, ჩვენივე თავის დაურევება ვიდრე ცხენების, ცხენის გახედნვას რა უნდოდა, სიყოჩაღე და იმისი ჯანი, ხოლო ეს თავი, საკუთარი, ჩვენი? — ეეჰ... — იცოდა ნოემ, ეს,

და ცხენებს კი არა, ჩვენსა მიერე აგებულსა ხომალდებსაც ხომ —

„აჰა ესერა ნავებიცა იგი დიდ-დიდები და ფიცხელთაგან ქართა მიმოტაცებულნი მოიქცევიან მცირისაგან საჭისა, ვიდრეცა-იგი ჰნებავნ მისლვა მმარებელსა მას მათსა“... — ... პატარა საჭით იქით მიაქცევს მენავე ნავს, საითაც კი ჰსურს,

ხოლო ჩვენი მიმქცევი, ანუ რახშირად დამაქცეველი? —

„ეგრეცა ენა მცირე ასო არს და დიდად მალის. აჰა ესერა მცირემან ცეცხლმან რაოდენი ნივთი აღაგზნის!“

და, მაგრამ ჩვენდა როგორსა-ჭირად? —

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვიდრე იუსტინას მარცინკევიჩუს პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ მცირე ინფორმაციას ლიტერატურული სპეციალისტისაგან მივიღებთ, ორივე სიტყვას სწორედ მასზე, ნანა დევიძეზე უნდა მოგახსენებთ.

ჩვენ მაშინ მარცინკევიჩუს ნაწინა საბჭოთა სივრცეში ისეთ უჩვეულო „დისიდენტურ დაწესებულებაში“ ვამზადდებით, როგორც მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია იყო. ნანას მიერ მოწვევით შესანიშნავი ბუნებრივი თარგმანები გასული საუკუნის „ბალტიისპირული ლიტერატურის“ ამ სამოციანეული შემოქმედებიდან ისეთ ინტერესსა და ალტაცებასაც კი იწვევდა ჩვენში, რომ ჯერ კიდევ აჯიაშვილმა, გივი გვეგეჭორმა, გიორგი ნიშნიანიძემ და მე, თქვენმა მონა-მორჩილმა სიამოვნებით დაეინყეთ მისი ლირიკისა და ისტორიული ჟანრის დრამების (ლექსად) თარგმანა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც არა ერთხანს და ორ საშურ საქმეს, არც ამას ეწერა, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ბოლომდე მიიყვანა.

აირია ქვეყანა...

გულგრილთა თუ მოშურნეთა ხელით „დაშრიტეს“ ლიტერატურული ცხოვრების ეს „ობოლი ოაზისი“ და აი, ახლა ფრაგმენტულად თუ გვიჩვენებს იმ „აუხდენელი ძველის“ ნარმოჩენა იაკარქმნილი კოლეგებიდან...

ნანა დევიძე:

„1998 წლის 6 მაისს ვენის უნივერსიტეტის დიდ დარბაზში ლიტველ პოეტსა და დრამატურგს, იუსტინას მარცინკევიჩუს გადასცეს ევროპაში ერთ-ერთი პრესტიჟული და ელიტარული პრემია, რომელიც გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერის სახელს ატარებს და ყოველწლიურად ენიჭებათ აღმოსავლეთ ევროპის ხელოვანთა მეცნიერთ.

ამას გარდა, პოეტი კიდევ ერთი პრემიის ლაურეატი გახდა. პოლონური პენკლუბის გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა პრემია ლიტერატურული წარმოშობის პოლონელი პოეტის, ადამ მიცკევიჩის ლირიკის თარგმანისათვის.

ლიტვის სახალხო პოეტის, იუსტინას მარცინკევიჩუს შემოქმედებას ქართული მკითხველი თითქმის არ იცნობს, მაშინ, როდესაც იგი ძალზე პოპულარულია არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

იუსტინას მარცინკევიჩუსი 1930 წელს დაიბადა. 1954 წელს ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ლექსების ბეჭდვა 1953 წლიდან დაიწყო და იმთავითვე ხალხის დიდი სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა.

მარცინკევიჩუსი სამყარო ლირიკაში იხსენება... აქ ვლინდება მისი შემოქმედების ძირითადი მოტივები, მისი პიროვნების ძირითადი სულიერი სიღრმეები. სამყარო, მისი მთლიანობა და ამ სამყაროში ადამიანისა და უშუალოდ ლიტველი კაცის როლი, სწორედ მაშინ, როცა საბჭოთა ოფიციალური ხალხში ერთიანი სამშობლოს იდეას ნერგავდა, როცა ლიტველ სტუდენტებს უნივერსიტეტის კედლებში თუ მის გარეთ დაინების ნაღილინებაც კი ეკრძალებოდათ, იუსტინას მარცინკევიჩუსი ლიტერატურული ტრიბუნადან ხმამაღლა და ამაყად აცხადებდა, რომ იგი სულით ხორცამდე ლიტველია და რომ თავისი პატარა ქვეყნის უკუდავების რწმენას ვერაფერი შეარყევდა. იგი ახალ თაობებს ყოველთვის ახსენებდა მათი სამშობლოს გმირულ წარსულს, მათი წინაპრები თუ როგორი ტკივილით იკვლევდნენ გზას სახელმწიფოებრიობისაკენ, ქრისტიანული რელიგიისაკენ, რომელიც უკულტურულ ევროპასთან კვლავ დაბრუნებისა და მასთან შერწყმის ერთადერთი გარანტი იყო. პოეტს გაუჩვენებდა სტანჯავდა და მძიმეობით დაჩაგრული მამული; სწორედ ამ ტკივილის გამოძახილია მისი ლირიკა თუ ისტორიული დრამები, რომელიც თავის დროზე მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მზადდებოდა, მაგრამ... რატომ არ იხილა მზის სინათლე, ამის თაობაზე მარცინკევიჩუსის ამ ლირიკული ლექსების მთარგმნელმა თავად უკვე მოგახსენათ“.

აქვე მეც უნდა მოგახსენოთ, რომ მარცინკევიჩუსმა დამოუკიდებელ, სუვერენულ სამშობლოში თითქმის ორი ათეული წელი უფრო აღმატებული შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, მრავალი მაღალი ჯილდო და პრემია დაიმსახურა და უკვე ოთხმოცდაცხედარი სახალხო პოეტი შარშან გარდაიცვალა.



იუსტინას მარცინკევიჩუსი

სამშობლოვ ჩემო

ჰოი, სამშობლოვ, ველ-მინდვრების ჭრელი პეპელავ, შენი ხასხასა მდებარეობს ხსოვნა ჩემი... ვხედავ თავსაფრებს, სოფლის მაღალ ორღობებით რომ შენსავით ფრენით ეკლესიის გზას მიჰყვებიან...

ჰოი, სამშობლოვ, ნაქცეულო ცერად ჭიშკარო, ხის კოვზო, ტარში გადამტყდარო, უტარო დანავ, ბავშვობის ბაღში ჩაკარგულო წმინდა ბილიკო, სად სანთელივით დღესაც კრთება დედის ხატება...

მამისეულო გაბზარულო ხის ფეხსაცმელო, თბილი რძით სავსე სალამიის ჟამის ბადიავ, ცხოველმყოფელო დის ლოცვანო! ო, დედაენავ, ვაშლო ჭინჭარში ჩავარდნილო... ო, დედაენავ...

ჰოი, სამშობლოვ, ხმელა პურის მომცრო ნატეხო, ღამის წყვიადში ავადმყოფის ხველავ გაბმულო, საბლის ნანყვეტო, ძროხის თბილო დრუნჩო და დორბლო, ჰოი, ნეტარო ზიარებავ, სამშობლოვ ჩემო.

შენ, ღამის შუშავ, გაჭვარტლულო, წინდის ნარღვევო, დაშლილო კასრო, ანონილო ჭვავის ბულულო, არყის ხის წვენით თავმოდგმულო ჭრელი ქოთანო, ძენძის ფთილავ და ცაღ ასულო ბუხრების კვამლო...

არყის ჭაღებში მოგუგუნე ჩემო გუგულო, ჩემი ბავშვობა სამშობლოის იღუმალ ფესვებს აქ ძიებდა, რომ ვით სასოს ჩასჭიდებოდა, რაიც, მონიფულს, დღემდე თან მდევს სავანესავით...

ჰოი, სამშობლოვ, ჩემო ჭრელი, ჭრელი პეპელავ! — შენს გატანჯულ და მოშლილ ზღურბლზე აურაცხელი ძევს ჯადოსნური სიტყვა დღემდე, რომლებსაც, ვაგლახ, ამიერიდან, მგონი, არვინ მიუბრუნდება!..

აოაზია

ჩემი დუმილით სიტყვის შექმნა შენ ერთმა იცი!.. შენ ამეტიყველებ, თურმე რისი პატრონიც მე ვარ და არც კი ვუწყე...

გულმონყალე ნებაა შენი, რათა ისინი ჩემ სიმღერად იწოდებოდნენ...

„გამოზაფხულის პირზე მთვარე მზეს დაწინდვია“* — მიუგდეთ ყური: მზე მთვარესთან უღელს შებშია...

აოაზის ცხოვრება

საგალობლებად აღუვლენდნენ მიმწუხრის ლოცვანს, არც სელის ცეხვის მიუკლიათ ნადური მისთვის, ჭვავის ძნის ძირშიც იფოფინა ერთი ხანობა, საკუჭნაოში, მოშიებულს, თვალღაც კი მოჰკრეს...

*ლიტერული ხალხური ლექსიდან.

მერე, უბრალოდ, უთხრეს, გადი ხალხში და... საცა კაცო შეგხვდება, ქუდის მოხდა შენ დაასწარო...

რა სინმინდვა, ვინ რა იცის, ეს ქუდის მოხდა — სალამი ყველას, ყველას! — შენ პურს, შენ ცრემლს, შენ ოხვრას!

...და რაიც თქვენგან მეც მრგებია, ისეთი მძიმე განძია... ვერ ვძლევი, ვით ჭეშმარიტ ჯვარსა და იმედს... არადა, საცა არ ვყოფილვარ (ინამეთ ღმერთი!), იქ რანაირად დავბრუნდები, მიბრძანეთ ერთი!

ზრამენთები „ზიჰრის ავტოპორტრეტიდან“

*** მრავალთუმრავლეს ვეძას უკვე დანაფებული ახლად ვფიქრობ: უცაბედი რად მტანჯავს იჭვი?... რა არის იგი — შემეცნება?... რაღაც მეფური?! თუ სხვა რამ... რისი შეცნობისთვის არ მყოფნის ნიჭი...

ხომ ჭეშმარიტად ღვთაებრივი სიდიადეა ადამიანი, ბალახი და, თუ გნებავთ, მინა! — მათ შორის შურის არც კედელი და არც ბადეა, ერთურთს სისავსით ერწყმიან და შეკვირან ფიცად...

რადგან წვეთივით დიადია თითოეული და ყველა ერთად მზის დარია, ძე ადამისა არცროს ყოფილა ნამცეცობის ბედით ძლეული, როცა მეუფე ბრძანებულა თავის თავისა...

კაცის ფიქრსაც ხომ ფრინველივით უყვარს სიმაღლე! — თვინიერები ზოგჯერ ხელის გულზეც გვისხედან... ფიქრებს რად აჭრით ფრთებს, რად ართმევთ ჩვეულ სილაღეს, — ვინ აგებს პასუხს, ავყოლივართ ნეტავ ვის ნებას?!

ო, ვებერთელა ქალაქების ან ბნელ ქუჩებად ქცეულო ჩვენი დროის მძიმე ლაბირინთებო, თენდება უკვე! ცინცხალ ფიქრებს ნუ ეურჩებით, გამოიფხიზლეთ, მზე საცაა ამოენთება!

*** ბევრი რამ არ მსურს, მხოლოდ ხსოვნის მინდა მეტობა... უკიდევანო — განთიადი, მზე — ცისკრით მხედი, გამოღვიძება ღამის შემდეგ, ცოდვის შენდობა, მხოლოდ — იმედი, გნებავთ, ზოგჯერ უიმედობაც, — ჩემ ფანჯარასთან ჩამომსხდარი ყვავი და მტრედი...

როს მსურს გავიგო იდუმალი ენა იმათი, საუბრის აზრი — ხმით... დუმილით... მათი — სახება... უილაჯობის ყელში მწვედება ფიქრი კვიმატი და ინტერესი შეცნობისა წუხილს მიმატებს, — სიცოცხლე ჰქვია თუ სიკვდილი ამას სახელად?!

ორი სიმღერა

1. როგორც კი ხელი გუგულის ფრთას შევახე, უმაღ „გუგუ-გუგუ“-ო წასცდათ არყის ვრცელ ჭაღებს მდუმართ.

როგორც კი ხელი ტოროლის ფრთის შევახე ბუმბულს, უმაღლე ყანა დაემსგავსა მაგალობელ ბულბულს.

და როცა ჯვარი უმძიმესი ავნიე მხრებით, ლიტვას აღმოხდა გატანჯულის გოდების ხმები...

2. ლიტვავ, ღვთის თვალზე გაყინულო ობოლო ცრემლო, გეშუადარები, უთქმელობით აროდეს ევნო;

„არა“-ზე „ჰო“ და „ჰო“-ზე „არა“ არასდროს არ თქვა, მამაღმერთი ხომ განსაცდელში არ ტოვებს მართალთ!

თუნდ ქვადქცეულმა, შენც იყიველე ჭეშმარიტ გზისა, როგორც მუხაზე მოლაღური იკივლებს, ისე!..

სურვილნაგვრილებს მოეც სიმშვიდე, გაუცინარებს — მზე და მზის გული... იყავი ლალი, რომ ჩიტებს და ბავშვებს უყვარდე!

ფესვი სუსტი და ზრო ძლიერი სახეა შენი, ჩვენ შორის ცხოვრობ და ჩვენ შენით შეგან თუ გვესმის ამონაკენესი შენი სულის — ეჰ, ხალხო, ხალხო!..

ისე სათუთად გვეყურება გულისთქმა შენი, რომ უნებურად ვჩერდებით და თვალს ცას ავაპყრობთ და სიმაღლე და სილაყვარდე გვაოგნებს მისი...

ოლონდ, ღმერთმანი, არც კი ვიცი, მომეჩვენა თუ ახლაც შეგყურებ ცხოველმყოფელ შენ ნათელ თვალებს და მუშტად შეკრულ აურაცხელ ხელებს აღმართულს...

ეს ყოველივე ნუთუ იყო და უმაღ გაქრა!..

სალამო

მე არსად წავალ, სასეირნოდ დღეს გულს გაგუშვებ... ისე ბრწყინვალე სალამოა, ვერსად წაუხვალ...

ენითუთქმელი რა სისავსე იგრძნობა ირგვლივ... რა სიმსუბუქე — სამშობლოის ლურჯი კვამლივით... და შორით, შორით მეყურება ხმა სიმღერისა: „ისეთი ხიბლის სალამოა, ვერსად წაუხვალ...“

თავად არ წავალ, სასეირნოდ დღეს გულს გაგუშვებ, ოლონდ, ერთხა გთხოვთ, ემანდ, ნებსით თუ უნებლიედ, არ შემდგეთ ფეხით, სალამოა ენითუთქმელი.

თემურ გაბუნია

სარტრი ფოლკნერის წინააღმდეგ

დასასრული

მანც რატომ ხდება წარსული ამდენი ნგრევისა და ბოროტების სათავე? იმის გამო ხომ არა, რომ ხშირად ბრმად და ინსტიტუტურად ღებულობენ მას, ყოველგვარი ანალიზის გარეშე? ფოლკნერი ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, თუმცა ის ერთგვარ მხატვრულ მინიმუმებს აკეთებს. „სარტრისში“ მოქმედების განვითარებისას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ძაღლების აღწერას. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და არც პირველი და უკანასკნელი (გავიხსენოთ ტრილოგია, სადაც მწერალი სწოუპსებს ვირთხებსა და ვეფხვებს ადარებს, როცა უნდა, რომ ხაზი გაუსვას მათ მომხვეჭელობასა და სისასტიკეს). ახალგაზრდა ბაიარდს რომანში ორი წლის სეტყვი დაჰყვება, მოხუც ბაიარდს კი ბებერი ძაღლი, რომელიც პატრონივით გამოთიშულია გარე სამყაროს სიბრძნის გამო (მოხუცი ბაიარდი ნახევრად ყრუ იყო). თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ძაღლის, ისევე როგორც ყველა ცხოველის მოქმედება, ბრმა და ინსტიტუტურია, უნებლიედ შეიძლება დაგვებოდოს კითხვა: ხომ არ იგრძნობა ანალიტიკურ აზროვნებას მოკლებულ ადამიანთა და ბრმა ინსტიტუტებს დამონებულ ცხოველთა აღწერისას მწერლის სურვილი, მკითხველში სულიერი სიბრმავისადმი ერთგვარი პროტესტის გრძობა გააჩინოს? ამ თვალსაზრისს აღრმავებს ერთი ეპიზოდიც „სარტრისშიდან“, სადაც ფოლკნერი უკვე აშკარად ადარებს ომში წასულ ძმებს ხმაურიან ძაღლებს: „შემდეგ ის წავიდა, თავის ძმასთან ერთად, ომში ისინი ისე დაამწყვდია, როგორც ორ ხმაურიან ძაღლს გამოკეტავენ ხოლმე სადღაც შორს, სადგომში...“ („სარტრისი“).

ფოლკნერი კიდევ ერთ მხატვრულ მინიმუმს აკეთებს რომანში, რითიც ხსნის, თუ რამ მიიყვანა სარტრისები განადგურებამდე. ის მათ განწირულობას ფრანგული ხალხური ეპოსის გმირის, როლანდის, ბედუქუმართობას ადარებს. რამ დალუპა რაინდი? გადაჭარბებულმა სიამაყემ. მან არ ჩაბერა საყვირს, რათა ეხმო მასველისთვის, როცა უჭირდა. სარტრისებიც ამპარტყავებამ დალუპა, მათ არათუ უარი თქვეს დახმარებაზე, არამედ იმის აღიარებაც კი არ სურდათ, რომ უჭირდათ...

მწერალმა ნობელის პრემიის მინიჭებისას წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში დაასახელა კიდევ ერთი მიზეზი, რაც, მისი აზრით, ადამიანის ტრაგედიის საფუძველი იყო: „ჩვენი დღევანდელი ტრაგედია საერთო და ყოვლისმომცველი შიშია, რომელსაც იმდენ ხანს განვიცდიდით, თითქოს შევეჩვიეთ კიდევ“. ფოლკნერის პერსონაჟებსაც თითქოს სწორედ ეს ყოვლისმომცველი შიში ამოძრავებდა, როცა ისინი გარბიან, ავტოკატასტროფებში ხვდებიან ან თავს იკლავენ. ხანდახან ისინი თავშესაფარს ეძებენ, მაგრამ მათ მიერ ნაპოვნი თავშესაფარი არასაიმედო აღმოჩნდება ხოლმე. გაქცევის თავისებური გზა აქვთ სარტრისებსაც. „რედლოუ მომკლავს მე ხვალ, რადგან უიარაღო ვიქნები. მე დავიღალე კაცის კვლად...“, იტყვის ჯონი, რომელიც 1876 წელს გარდაიცვალა. „ომმა კარგი საბაბი მისცა ჯონს, რომ მოეკლათ“, — იტყვიან უფროსი ჯონის შვილიშვილები, რომელიც 1918 წელს დაიღუპა. („სარტრისი“).

რითია გამოწვეული ფოლკნერის პერსონაჟების ასეთი ფატალურობა? იქნებ, მართალია სარტრი, როცა ამბობს, „პრუსტმა და ფოლკნერმა უბრალოდ თავი მოკვეთეს დროს; მათ უარყვეს მომავალი, საზომი თავისუფალი ქმედებისა?“ იქნებ, შეიძლება „მოგწონდეს“ ფოლკნერის „ოსტატობა“, მაგრამ „არ ვნამდეს მისი მეტაფიზიკა“, რადგან ჰაიდეგერს უთქ-

ვამს: „არარსებულის მომავალი მანც მომავალია, თუნდაც ადამიანურ რეალობას წინ არაფერი ელოდეს, თუნდაც დახუროს თავისი დავთრები, მისი ყოფა განსაზღვრულია, საკუთარი თავის მოლოდინით“, ყველა იმედის დაშრეტა არ გამოიციხავს ადამიანთა შესაძლოებებს, ესაა უბრალოდ „გზა იმ შესაძლებლობების იმედად ყოფნისა“. ფოლკნერის პერსონაჟს ქვენტინს კი (ჰაიდეგერის დებულების სანინააღმდეგოდ) „ყველაზე მეტად სიკვდილი უყვარდა. მას მხოლოდ სიკვდილი უყვარდა. უყვარდა და ცხოვრობდა სიკვდილის წინასწარგანზრახულ და თითქმის ავადმყოფურ მოლოდინში...“ („ხმაური და მძვინვარება“). რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

სარტრის პოზიცია წმინდა ეგზისტენციალურია. თავისი პოზიციიდან მას სრული უფლება ექნება ეთქვას ის, რაც თქვა. პლატონს თავისი პოზიციიდან შეეძლო, იერიში მიეტანა ჰომეროსისეულ ღმერთებზე და გამოეთქვა აზრი, რომ პოეტის მიერ ღმერთებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, სრული უაზრობა იყო. ტოლსტოის, თავისი პოზიციიდან, ალბათ, უყურებდა და შენ თვითონაც მონაწილეობას ღებულობდა მასში“. ეს გენიოსების დავაა და მას მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია ხალხისთვის, რადგან მწერლებსა და ფილოსოფოსებს ერთი საერთო მიზანია აქვთ — მონაწილეობა მიიღონ ადამიანის სულიერ განვითარებაში...

კრიტიკოსები ხანდახან აჭარბებენ, როცა ფსიქონალიტიკური სქემების მორგებას ცდილობენ ფოლკნერის შემოქმედებისადმი. ქვენტინს, როგორც ამას თავად ფოლკნერი მიგვაჩვენებს, ინცესტის შეუსრულებადი სურვილის გამო არ მოუკლავს თავი, მას უბრალოდ ვერ წარმოედგინა, ეცხოვრა და დამკვიდრებულყო იმ სამყაროში, სადაც მისი დის პატივი შეიღახა.

თავის მხრივ, საინტერესოა სარტრის ეგზისტენციალური დებულებებიც, თუმცა მათ ჩვენ აქსიომებად ვერ მივიჩნევთ და თუკი მკითხველი თავის თავში ვერ აღმოაჩინს „ფოლკნერის ადამიანს, არსებას, რომელიც მოკლებულია შესაძლებლობას და განიმარტება მხოლოდ იმით, რაც იყო“, ეს შეიძლება თავად მკითხველისთვის უკეთესიც იყოს და აი, რატომ: სისასტიკე, გულქვაობა, ნგრევა და სიკვდილი მწერლისთვის უბრალოდ ის ინსტრუმენტები იყო, რომლებზე დაკვირვებაც ცდილობდა, მკითხველში წინააღმდეგობის ძალა გაეღვიძებინა, რომელიც მას ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში დაეხმარებოდა, დაუბრუნებდა დაკარგულ რწმენასა და სიყვარულს.


— რატომ არიან, ბატონო ფოლკნერ, თქვენი გმირები ასეთი დაწყვეტილები და გადაგვარებულები? — ჰკითხეს ერთხელ მწერალს, რაზეც მან ასე უპასუხა:

— მხოლოდ იმაზე რომ ვწერო, რაც კარგი რამ ხდება ჩემს ქვეყანაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი გამოსწორდება.

დაახ, სარტრის დაკვირვება, რომლითაც ის ჰაიდეგერის ეგზისტენციალური ფილოსოფიის საფუძველზე ცდილობს, მწერალში მეტაფიზიკური ხედვა აღმოაჩინოს, საინტერესოა და მიზანშეწონილი მეცნიერული თვალსაზრისით, მაგრამ, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ფილოსოფოსსა და ხელოვანს გამოხატვის სხვადასხვა ფორმა გააჩნიათ.

გამოსათხოვარი

ცნობილი სახლის ბინადარი



ერლომ ახვლედიანს ყველა იცნობდა, ვისაც უნდა სცნობოდა.

იგი იყო ცნობილი პედაგოგის სერგო ახვლედიანისა და ვარინკა დადიანის ვაჟი; ცნობილი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის ძმისშვილი. ცნობილი მწერლის გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობარი; ცნობილი ნიგნების „ვანო და ნიკო“, „ქველი და ახალი სახელები“, „კოლო ქალაქში“ ავტორი; ცნობილი ფილმის „არასერიოზული კაცი“-ს სცენარის ავტორი; მთაწმინდის ძირში მდებარე ცნობილი სახლის ბინადარი (სწორედ ამ სახლის სხვენში დაინერა გურამ რჩეულიშვილის რამდენიმე საუკეთესო მოთხრობა). სახლისა, რომელიც ბავშვის ნახატს ჰგავდა: მიბრეცილ-მობრეცილი ქვის კედლები, სხვადასხვა ზომის ფანჯრები და თავისდღეში ღია კარი.

ეს ის ცნობილი სახლი იყო, რომელზე გავლითაც შეგვძლო მოკლედ მოგვეჭრა და მთაწმინდაზე ასულიყავი. თუ ვინცობაა კარს ჩაკეტავდა, ჩნდებოდა წარწერა: „ნუ აწვალებთ კარს, ადამიანები არა ხართ“?!

პატარა, სკანდინავურ ზღაპარში აღწერილი, მოუვლელი და იდუმალი ბაღი. იმ ბაღში იდგა ხის, წვიმისაგან გამავეებული მაგიდა და გრძელი სკამი. სკამს მიუახლოვდებოდი თუ არა, ყანყალს იწყებდა. რატომ იძენდა ეს ყველაფერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მხოლოდ იმ წლებში იციან.

ჭიშკარი „ცალ ყუნზე“ უცნაურად ამოტრიალებული ეკიდა ისე, რომ ჭიშკარიც კარივ-

ით სულ ღია იყო. ოღონდ პატრონის გარეშე ვერც ჭიშკარში შეეტეოდი, ვერც კარში. საძინებლის კარიდან მარჯვენა კუთხეში ნახშირით ეწერა:

ახვლედიანი სერგო პედაგოგი დადიანი ვარინკა დიასახლისი ახვლედიანი მადონა არქიტექტორი ახვლედიანი ერლომ სცენარისტი ახვლედიანი ანნა ჩვილი.

ეს კედელი ჩვენ, მის სტუდენტებს, ტაჯ-მაჰალის კედელივით მოგვწონდა და აღგვაფრთოვანებდა. მოგვწონდა ამ სახლში გამეფებული სიღარიბე და უბრალოება — სიღარიბეს გემოს თუ გაუგებ, აღარასოდეს შეგანუხებსო — გვმოდვრავდა.

ეს უცნაური სახლი ჩვენს ჯერ კიდევ მოფარფატე სულელებს ისე ანთობდა, არაფერს იმჩნევდა.

ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში კინოდრამატურგიას რეჟო გაბრიელი გვასანავლიდა.

მოულოდნელად მის ნაცვლად აუდიტორიში შემოვიდა 39 წლის სათვალისანი ახალგაზრდა. შემოვიდა და გამოგვიცხადა: მე უნდა გასწავლოთ ის, რაც თვითონაც არ ვიცი, ამიტომ დალენებული მოვდიოდი თქვენსკენ. გზაში მამაკაცებს ვიხიებზე ვაკვირდებოდი. შარვალს ვიკერავ და მინდოდა გამომეცნო, როგორ აკერებენ ჯიბეს.

ჩვენ მამინევი მის ტყვეობაში აღმოვჩნდით. მერე მთელი ჯგუფი შინ დაგვპატიუა. შეგვიყვარა ყველა ცალ-ცალკე და ერთად.

ისე გვასანავლიდა ყველაფერს, არაფერს გვასანავლიდა.

უშეცდომოდ არ უცხოვრია. დგებოდა დრო, როცა ვფიქრობდით, ეს ის არ არის, რაც გვეჩვენებოდა.

ახლა ვფიქრობთ, ეს ის იყო, რაც გვეჩვენებოდა...

როცა ყველას უყვარხარ, ვისაც უყვარდე, როცა ასეთი განსაცვიფრებელი ნიგნების ავტორი ხარ, როცა შენი ლექსის ორი სტრიქონი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ სვამდა საჭირბოროტო კითხვას: „ნუთუ ეს იყო ყველაფერი, ნუთუ ეს იყო, იდგე, ჭკრეტდე, როგორ მიღის ნისლში წარსული?“ სიკვდილი დროულია და შეება.

სიყვარულით გემშვიდობებით:

ლილა გაროშვილი
რამაზ შენგელია
მანანა კიკნაძე
ბია გორგოძე
ბია მაცაბერიძე
ხათუნა ლორთქიფანიძე
ბააკა ფილინა

კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს: **პუბლიცისტიკა. კრიტიკა. ესეისტიკა.** ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი პუბლიცისტური, კრიტიკული ან ესეისტური ნაწარმოები, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 25 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე: **konkursi2012@yahoo.com** ნაწარმოებს თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი. ნაწარმოების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2012 წლის 5 აპრილი. სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება მაისში. გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი ლიტერატორისგან შემდგარი ჟიური. გამარჯვებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1000 ლარი
II პრემია — 800 ლარი
III პრემია — 600 ლარი

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახიძე**
რედაქტორის მოადგილე **ურა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com